



საქართველოს კოალიცია
ბავშვებისა და ახალგაზრდების
კეთილდღეობისათვის



ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვთა ზრუნვის სისტემის შეფასება

კვლევის ანგარიში



This project is funded
by the European Union



ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება



კვლევის ანგარიში

ივლისი
2014

კვლევის გუნდი

კვლევის ხელმძღვანელი და მთავარი მკვლევარი:

სალომე ნამიჭეიშვილი, სოციალური მუშაობის მაგისტრი, დოქტორანტი

კვლევის ექსპერტი:

შორენა საძაგლიშვილი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალური მუშაობის მაგისტრი



This project is funded
by the European Union

მოცემული პუბლიკაცია გამოცემულია ევროკავშირის მხარდაჭერით.

პუბლიკაციის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია გამოცემის ავტორი და არავითარ შემთხვევაში არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.



კვლევა ჩატარდა “ძლიერი კოალიცია ბავშვების კეთილდღეობისთვის” პროექტის ფარგლებში

შინაარსი

მოკლე შინაარსი	6
ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკისა და პრაქტიკის მიმოხილვა	8
მეთოდოლოგია და პროცედურები.....	12
შერჩევა, ინსტრუქციები, კვლევის ეთიკა და შეზღუდვები.....	12
მეთოდები	12
მონაწილეები.....	12
კვლევის შედეგები	13
პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება.....	13
ინტერვიუების ანალიზი	13
ფოკუს ჯგუფების ანალიზი.....	16
დასკვნა	20
ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ახალგაზრდებთან მუშაობა	21
ინტერვიუების ანალიზი	21
ფოკუს ჯგუფების ანალიზი.....	24
დასკვნა	26
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	27
ინტერვიუების ანალიზი	27
ფოკუს ჯგუფების ანალიზი.....	33
დასკვნა	36
ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	39
ინტერვიუების ანალიზი	39
ფოკუს ჯგუფების ანალიზი.....	42
დასკვნა	45
კონტენტ-ანალიზის შედეგები	46
პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება	46
ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ახალგაზრდებთან მუშაობა	51
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.....	52
ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.....	54
შემაჯამებელი მსჯელობა და დასკვნები	57
პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება.....	57
აქტორების საერთო ხედვები და მიდგომები	57
სისტემის ხარვეზები რესურსის (Input) თვალსაზრისით.....	57
სისტემის ხარვეზები პროცესის თვალსაზრისით	58
სისტემის ხარვეზები მომსახურებების (Output) თვალსაზრისით	59

ზრუნვის სისტემიდან გასულ ახალგაზრდებთან მუშაობა	60
სისტემის ხარვეზები რესურსის (Input) თვალსაზრისით.....	60
სისტემის ხარვეზები პროცესის თვალსაზრისით	60
სისტემის ხარვეზები მომსახურებების (Output) თვალსაზრისით	61
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	61
სისტემის ხარვეზები რესურსის (Input) თვალსაზრისით.....	61
სისტემის ხარვეზები პროცესის თვალსაზრისით	61
სისტემის ხარვეზები მომსახურებების (Output) თვალსაზრისით	63
ძალადობისაგან დაცვა	63
სისტემის ხარვეზები რესურსის (Input) თვალსაზრისით.....	63
სისტემის ხარვეზები პროცესის თვალსაზრისით	63
სისტემის ხარვეზები მომსახურებების (Output) თვალსაზრისით	64
რეკომენდაციები	65
პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება.....	65
კოორდინაცია	65
მომსახურებათა განვითარება	65
სოციალური დახმარების გაზრდა.....	66
დასაქმების ხელშეწყობა მომსახურებათა განვითარება	66
განათლება და ცნობიერების გაზრდა.....	66
უნარების განვითარება	66
გადანყვეტილებაზე ზეგავლენა	66
ზრუნვის სისტემიდან გასულ ახალგაზრდებთან მუშაობა	68
მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა.....	68
მომსახურებათა განვითარება	68
კოორდინაცია	69
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	69
მომსახურებათა განვითარება	69
კოორდინაცია	70
ინსტიტუციური ცვლილებები	70
ძალადობისაგან დაცვა	71
კოორდინაცია	71
უნარების გაძლიერება.....	71
მომსახურებათა განვითარება	71
ცნობიერების გაზრდა	72
გამოყენებული ლიტერატურა.....	73
დანართი: დეტალური ინფორმაცია კვლევის მონაწილეთა შესახებ	75

გვსურს, აღვნიშნოთ იმ პირთა წვლილი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს კვლევის პროცესში, ესენი არიან: ბავშვზე ზრუნვის სფეროს ექსპერტები, მომსახურების მენეჯერები, პრაქტიკოსები და ბენეფიციარები. ასევე, აღსანიშნავია ნათია სიბაშვილის, თეონა გოცირიძის, ნინო დემეტრაშვილისა და ნინო ნუცუბიძის წვლილი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს სავსე სამუშაოების განხორციელებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბავშვებისა და ახალგაზრდების წვლილი, რომელთაც მოგვცეს შესაძლებლობა, მოგვესმინა მათი მოსაზრებებისათვის და გაგვეთვალისწინებინა ეს მოსაზრებები კვლევის ანგარიშის მომზადების პროცესში.

ასევე, მადლობას ვუხდით ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენის“ თანამშრომლებს, მაია მგელიაშვილს, ბავშვთა დაცვის მომსახურებათა და ადვოკატობის მენეჯერს, კვლევის ანგარიშის დეტალურ განხილვაში შეტანილი წვლილისთვის და ირინა გრძელიძეს, პროექტის - „ძლიერი კოალიცია ბავშვთა კეთილდღეობისათვის“ - კოორდინატორს, რომელიც მხარს უჭერდა კვლევის პროცესს ყველა ეტაპზე.

მოკლე შინაარსი

2012 წლის 24 აპრილს დამტკიცდა **ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 სამოქმედო გეგმა**. აღნიშნული სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს გააგრძელოს 2008-2011 წლებში განხორციელებული ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის კურსი და ხელი შეუწყოს განსაკუთრებით მონყვლადი ბავშვებისა და მათი ოჯახების გაძლიერებას. ამ გეგმის მიხედვით, დღესაც მიმდინარეობს რეფორმა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. ეს რეფორმა მეტ-ნაკლებად შეეხო ბავშვთა კეთილდღეობის ისეთ სფეროებს, როგორებიცაა პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება, ზრუნვის სისტემიდან გამოსული ახალგაზრდები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

წინამდებარე **კვლევის მიზანია**, განახორციელოს ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის ძირითადი მიმართულებების შეფასება, გამოკვეთოს ძირითადი საჭიროებები და წარადგინოს შესაბამისი რეკომენდაციები არსებული ბავშვთა დაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

2012 წელს **შეიქმნა საქართველოს კოალიცია** ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის, რომელშიც ერთიანდება 40 ორგანიზაცია. კოალიციის მიზანია ქვეყანაში ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობის არსებული სისტემის განვითარება და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობა. **კოალიცია გამოიყენებს წინამდებარე კვლევას** ბავშვთა და ახალგაზრდათა უფლებების ადვოკატობისას ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

კვლევა განხორციელდა **თვისებრივი მეთოდების გამოყენებით**, როგორებიცაა საკაბინეტო კვლევა, ფოკუსირებული დისკუსიები და ინტერვიუები ბავშვზე ზრუნვის სფეროს ექსპერტებთან. გამოკითხულ იქნა 15 ექსპერტი. ჩატარებულ 10 ფოკუსურ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს 37 პრაქტიკოსმა, მენეჯერმა და 44 ბენეფიციარმა.

კვლევის შედეგად გამოიკეთა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ფუნქციონირების რიგი პრობლემები. სისტემის მნიშვნელოვან **ხარვეზებს შორის, რესურსის (Input) თვალსაზრისით**, აღსანიშნავია სოციალური მუშაკის ინსტიტუტის შემდგომი განვითარების საჭიროება. ზრუნვის სისტემიდან ბავშვის გასვლის მომზადების თვალსაზრისით არასაკმარისია აღმზრდელების, სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და სხვა სპეციალისტების კვალიფიკაციის დონე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის მნიშვნელოვანია პრობაციის მუშაკების პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერება, სამართლის სფეროში სოციალური მუშაკთა რაოდენობის გაზრდა და, ასევე, არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზებულ მოსამართლეთა ინსტიტუტის დამკვიდრება.

ბავშვთა ძალადობისგან დაცვის თვალსაზრისით არსებული სისტემის ყველაზე სუსტი რგოლებია პოლიცია და სკოლა, როგორც ბავშვისა და ოჯახის მხარდამჭერი ინსტიტუტი.

პროცესის თვალსაზრისით სისტემის ხარვეზებს შორის აღსანიშნავია, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკის ინსტიტუტის რეაქტიული ხასიათი ზღუდავს რისკის ჯგუფის ბავშვთათვის პრევენციულ საქმიანობას. ოჯახისგან ბავშვის დაშორების პრევენციაში საჭიროა პირველადი ჯანდაცვის, სამშობიარო სახლებისა და სკოლების ჩართულობის უზრუნველყოფა. საჭიროა, ასევე, სოციალური მუშაკის მომსახურების დეცენტრალიზაცია.

დეინსტიტუციონალიზაციისას ადგილი აქვს ბავშვთა ბიოლოგიური ოჯახების დისკრიმინაციას. მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები დისკრიმინირებულნი არიან მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბავშვებთან შედარებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მიღმა დარჩა. ბოშა ბავშვების, მათი ოჯახებისა და სხვა ეთნიკური ჯგუფის დისკრიმინაცია გავრცელებული პრაქტიკაა და გამოიხატება სახელმწიფო მომსახურებებზე მათთვის ხელმისაწვდომობის შეზღუდვაში.

არსრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნით ჩარევა საჭიროა იყოს სისტემური და მოიცავდეს მულტიდისციპლინური მიდგომების გამოყენებას სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საჭიროა, ეს ჩარევები მეტად იყოს ორიენტირებული ქუჩაში მომუშავე და მცხოვრებ ბავშვებზე.

პრობლემაა სამართალდაცვის სფეროში ბავშვთან მომუშავე უწყებებს შორის არაეფექტური კომუნიკაცია ისევე, როგორც დისკორდინაცია სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სკოლას შორის. მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრის ჩარევით სკოლამ უნდა შეასრულოს აქტიური როლი რისკის ქცევების ბავშვების გამოვლენასა და სათანადო ჩარევების დაწერგვაში. უნდა დამკვიდრდეს ამ ცენტრებსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკებს შორის თანამშრომლობა.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები საფუძვლიან ცვლილებებს საჭიროებს. საჭიროა სკოლის მასწავლებელთა, პოლიციისა და პირველადი ჯანდაცვის მუშაკთა ინფორმირებულობის ამაღლება ამ პროცედურების შესახებ. სკოლის მანდატურები არარეალისტურად აფასებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების აღსრულების პროცესში. მედია ვერ ასრულებს თავის საგანმანათლებლო როლს ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის კუთხით.

მომსახურებების (Output) თვალსაზრისით სისტემის ხარვეზებს შორის აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მხრიდან რისკის ჯგუფების ოჯახთათვის შეთავაზებული მხარდამჭერი მომსახურებები მწირი და ძნელად ხელმისაწვდომია. ამ ოჯახების დასაქმების მიმართულებით საჭიროა სახელმწიფოს როლის გაძლიერება. ალტერნატიულ მომსახურებათა სიმწირე მნიშვნელოვან სირთულეს ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში.

არ არსებობს ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების და ზრუნვიდან გასვლისას მათი დახმარების პროგრამები/მომსახურებები. დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებასა და პროფესიულ განათლებასთან ერთად პრობლემად რჩება სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდებისათვის საცხოვრისის არარსებობა.

არ არსებობს მონაცემთა ერთიანი ბაზა იმ ბენეფიციარების შესახებ, რომლებმაც დატოვეს სახელმწიფო ზრუნვის სისტემა და დახმარება სჭირდებათ. მათთვის სახელმწიფომ უნდა დანერგოს სკოლის შემდგომი გახანგრძლივებული მომსახურებები. არ არსებობს ხედვები იმის შესახებ თუ რა ტიპის მომსახურებები უნდა განვითარდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ტრანციზიული პერიოდის ხელშესაწყობად.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის კუთხით აუცილებელია ოჯახის გაძლიერების მომსახურების განვითარება როგორც მატერიალური, ისე ფსიქო-სოციალური მიმართულებით. საჭიროა რესოციალიზაციის მრავალფეროვანი მომსახურების განვითარება პენიტენციური სიტემიდან გამოსული ახალგაზრდებისათვის.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო მომსახურების სიმწირეა როგორც სამთვრობო, ისე არასამთავრობო სექტორებში. არ არსებობს მომსახურება, რომელიც გონებრივი შეზღუდვის და ფსიქიკური პრობლემების მქონე ბავშვებს აღმოუჩენს დახმარებას ძალადობის შემთხვევაში.

ხშირად, ბიუროკრატიული პროცედურების გამო, გართულებულია ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრებით სარგებლობა. საჭიროა მონიტორინგის სისტემის დანერგვა, რომელიც შეაფასებს თავშესაფრების მიერ ბენეფიციარებისათვის მიწოდებული მომსახურების ხარისხს.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მკვლევართა ჯგუფმა შეიმუშავა **საჯარო პოლიტიკის რეკომენდაციები** პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერების, ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდებთან მუშაობის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების და ბავშვების ძალადობისაგან დაცვის მიმართულებებით.

ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკისა და პრაქტიკის მიმოხილვა

დღევანდელი ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა საქართველოში არსებითად ცენტრალიზებული ხასიათისაა. 2009-2013 წლების ჩათვლით ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის მთავარ წარმართველ პოლიტიკად კვლავ რჩებოდა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, რომლის შედეგადაც საქართველოში დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებები (ბავშვთა სახლები, სკოლა-პანსიონები) დაიხურა და ისინი ბრუნვის ალტერნატიული ფორმებით (მინდობითი აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლები) ჩანაცვლდა. ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და პოლიტიკის ბაზისური დოკუმენტები, როგორც საკანონმდებლო პოლიტიკის, ასევე, პრაქტიკის დონეზეც ხელს უწყობენ ბრუნვის ალტერნატიული ფორმების ფუნქციონირებას (საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, ბავშვზე ბრუნვის სტანდარტები, ბავშვთა კეთილდღეობის სამოქმედო გეგმა 2012-2015 წწ.), მაგრამ რეფორმის მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება ოჯახის დამხმარე და ბავშვთა პრევენციული მომსახურებების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელისშეწყობა. 2012 წლის ბავშვთა უფლებების სიტუაციური ანალიზის ანგარიშის თანახმად (SoS Children's Villages Georgia and GASW, 2012), 2009-2012 წწ. ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენდა დაუბალანსებელი პოლიტიკა სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების ბავშვებთან დაკავშირებით, რადგან რეფორმა ფოკუსირებული იყო დეინსტიტუციონალიზაციისა და ბრუნვის ალტერნატიული ფორმების შექმნაზე და მხედველობის მიღმა დატოვა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ბავშვები. უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლიდან საფუძველი ჩაეყარა სისტემებისა და სერვისების განვითარებას ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის, რაც გამოიხატა როგორც ახალ სამოქმედო გეგმაში (მიმართულება #2, პუნქტი 2.8), ასევე, სახელმწიფოს მიერ ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის დაფინანსებული პროექტის - „ახალი ინიციატივა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მიმართ“ მხარდაჭერაში. აღნიშნული პროექტის მიზანია, 2014 წლის ბოლომდე განახორციელოს მიუსაფარ ბავშვთათვის ახალი სისტემებისა და მომსახურების პილოტირება ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში.

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში კვლავ მოუგვარებელ პრობლემად რჩება ბრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ხელშეწყობა და მათი წარმატებული ინტეგრაცია საზოგადოებაში. როგორც გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტი აღნიშნავს, სამზრუნველო სისტემაში განთავსებული ბავშვები ბრუნვის სისტემიდან გასვლის შემდეგ ცალკე ქვეკლასს ქმნიან და მნიშვნელოვან პრობლემებს უპირისპირდებიან საზოგადოებაში ინტეგრაციის დროს. ასეთი სტატუსი, პირველყოვლისა, უკავშირდება ბრუნვის სისტემიდან გამოსული ახალგაზრდებისათვის საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამების ნაკლებობას. ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წწ. სამოქმედო გეგმა ყურადღებას ამახვილებს ბრუნვის სისტემაში მყოფი მოზარდების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელისშეწყობაზე, თუმცა არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი, მწყობრი კონცეფცია, რომელიც დაეხმარება მოზარდს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ათვისებასა და ბრუნვიდან გასვლის შემდეგ საზოგადოებაში ინტეგრაციაში.

2012 წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც 14-25 წლის ახალგაზრდებთან სახელმწიფოს მუშაობას 4 ძირითადი მიმართულებით ხედავს: 1) მონაწილეობა; 2) განათლება, სამსახური, მობილობა; 3) ჯანმრთელობა; 4) სპეციალური დახმარება და დაცვა. ახალგაზრდობის პოლიტიკა ეფუძნება თანასწორობისა და სოციალური ინტეგრაციის პრინციპებს. აღნიშნული პოლიტიკის საფუძველზე, საჭიროა ისეთი პროგრამის შემუშავება, რომლითაც შესაძლებელი გახდება მუშაობა, ზემოხსენებული ოთხი მიმართულებით, ბრუნვის სისტემიდან გამსვლელ და გასულ ახალგაზრდებთან.

ოჯახის მხარდაჭერ და პრევენციულ პროგრამათა რაოდენობა და ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანწილად არის შეზღუდული. საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ (2006 წ.) სოციალურ დახმარებებს შორის განსაზღვრავს მხოლოდ რეინტეგრაციის შემწეობას, რომელიც ბავშვის ოჯახს ენიშნება ბავშვის ბრუნვის სისტემიდან გამოყვანის შემთხვევაში. დღევანდელი პრაქტიკით,

რეინტეგრაციის შემწეობა ერთ ბავშვზე 90 ლარით განისაზღვრება და გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ნათესაურ მინდობით აღზრდაში თითოეულ განთავსებულ ბავშვზე გამოყოფილი თანხის ოდენობა, რომელიც 200 ლარს შეადგენს.

პრევენციულ და ოჯახის მხარდაჭერ პოლიტიკასა და პროგრამებს უდიდესი როლი აქვთ ბავშვის სამზრუნველო დაწესებულებაში განთავსების პრევენციის დროს. როგორც „გეითქიფინგის“ პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტი (2012 წ.) აღნიშნავს, „გეითქიფინგი“ შეთანხმებული ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის დამხმარე მომსახურებებსა და დახმარებებზე ხელმისაწვდომობას და იცავს ბავშვს 24 საათიან ზრუნვის სისტემაში განთავსებისაგან. მიუხედავად პოლიტიკის დონეზე დოკუმენტების არსებობისა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ოჯახებისათვის დამხმარე და პრევენციული პროგრამების რაოდენობა მწირია და შეზღუდულ ხასიათს ატარებს. ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წწ. სამოქმედო გეგმა არაფულადი დახმარების სახეობად სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების ბავშვების, სკოლა-პანსიონების მოსწავლეთა, მინდობით აღზრდასა და სააღმზრდელო დაწესებულებებში მყოფი ბავშვებისათვის განსაზღვრავს უფასო სასკოლო წიგნებსა და კვების ვაუჩერებს 2 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. გაეროს ბავშვთა ფონდის 2012 წლის კვლევა აღნიშნავს, რომ საქართველოში 77 000 ბავშვი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში (დღეში 1 ევროზე ნაკლებ თანხად), რაც საქართველოს ბავშვთა მოსახლეობის 9.4 პროცენტს შეადგენს. ბავშვთა მოსახლეობის 25 პროცენტი კი ფარდობითი სიღარიბის პირობებში იზრდება. ეს ციფრები ცხადყოფს, რომ ბავშვთა მოსახლეობის საკმაოდ დიდი რაოდენობა ოჯახისაგან განშორების რისკის წინაშე იმყოფება. შესაბამისად, გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციით, ბავშვთა სიღარიბის შესამცირებლად აუცილებელია, შემოღებულ იქნას ფულადი დახმარება ყველა ბავშვისთვის, მათ გარდა, ვისაც ეს არ სჭირდება.

2014 წლის მაისში შეიქმნა „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამის“ სპეციალური კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას კრიზისში მყოფი ოჯახებისათვის გადაუდებელი დახმარების დანიშვნის თაობაზე საქონლის ან მომსახურების შესყიდვის სახით. ასეთი დახმარების დანიშვნა ხდება სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკის მიერ წარდგენილი შესაბამისი დასკვნის საფუძველზე. კრიზისში მყოფი ოჯახებისათვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას უდიდესი როლი ენიჭება პრევენციული საქმიანობისა და რისკის თავიდან აცილების კუთხით. ამრიგად, კომისიის მუშაობის დახვეწა და გავრცელება ბენეფიციართა ფართო ჯგუფზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრევენციულ ღონისძიებად შეიძლება განვიხილოთ.

ბავშვთა დაცვა ძალადობისა და უგულვებელყოფისაგან ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წწ. სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, რის საფუძველზეც 2010 წელს ხელი მოეწერა სამი სამინისტროს (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს) ერთობლივ ბრძანებას „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანება აყალიბებს ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა იდენტიფიცირებისა და მიმართვიანობის მექანიზმებს და, ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, დასახავს რეაგირების სტრატეგიას. დღევანდელი მდგომარეობით, არსებით სირთულეს ამ ბრძანების პრაქტიკული იმპლემენტაცია წარმოადგენს, რადგან, ხშირ შემთხვევაში, არსებობს აზრობრივი განსვლა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკებს შორის, შემთხვევისათვის ძალადობის კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებით (SoS Children's Villages Georgia and GASW, 2012). ასევე, ბავშვზე ძალადობის მიმართვიანობის ერთ-ერთ ბარიერს ქმნის ზოგადად ქვეყანაში არსებული გარემო, რომელიც ძალადობისადმი მიმდებლობისკენაა განწყობილი. 2012 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“ თანახმად, საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი (45 %) დასაშვებად მიიჩნევს ბავშვთა მიმართ ძალადობას. მოსახლეობის 60 პროცენტი ფიქრობს, რომ ბავშვის აღზრდისას ძალადობრივი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდებისა. საზოგადოება უმეტესწილად მიიჩნევს, რომ ბავშვის მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობა ოჯახის შიდა საქმეა და ამ საქმეში ჩარევის წინააღმდეგია. იმ შემთხვევებში კი, როცა მოქალაქე ჩარევას გადაწყვეტს, მან ხშირად არც კი

იცის, ვის ან როგორ მიმართოს. ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების დიდმა უმრავლესობამ (60%), რომელთაც კანონით ევალებათ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და მასზე რეაგირება, არ იცის ამ პასუხისმგებლობის შესახებ (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2012). გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიციის ჩარევას მიზანშეწონილად მიიჩნევს მხოლოდ ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევების დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფერო კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად. საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს 2012 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია. ამ დოკუმენტით გამოყოფილია დანაშაულის პრევენციის პირველი (ადრეული), მეორე (დანაშაულის პრევენცია რისკჯგუფებში) და მესამე (განმეორებითი დანაშაულის) დონეები. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამივე დონეზე ხდება რისკფაქტორების იდენტიფიკაცია, შესაბამისი რეაგირების სტრატეგიის დაგეგმვა და განხორციელება ინდივიდუალურ შემთხვევასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წელი ბავშვთა უფლებების დაცვის წლად გამოცხადდა, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით ბავშვთა მიმართ ნაკისრი ვალდებულებების პრაქტიკული აღსრულების მექანიზმების სისუსტე ერთ-ერთ გადაულახავ საკითხად რჩება. ასოცირების შესახებ შეთანხმების სტრუქტურაზე დაყრდნობით, ასოცირების დღის წესრიგი წარმოადგენს 2014-2016 წლებში ერთობლივი მუშაობისათვის განსაზღვრული პრიორიტეტების სიას. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი ბავშვთა უფლებებს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოყოფს და რეკომენდაციას იძლევა შემდეგ საკითხებზე:

- ბავშვთა სიღარიბის წინააღმდეგ შესაბამისი ზომების მიღება და მოწყვლადი ჯგუფების ბავშვებისთვის შედარებით მაღალი პრიორიტეტის მინიჭება;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის გაგრძელება;
- ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ბავშვთა უფლებების თვალსაჩინოდ ჩართვა;
- სახალხო დამცველის როლის გაძლიერება და მისი შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა, ბავშვთა საკითხებზე მუშაობისა და შესაბამის ინსტიტუტებში არსებული სიტუაციის მონიტორინგის გაგრძელების მიზნით;
- ძალადობის ყველა ფორმისგან ბავშვების დასაცავად შესაბამისი ზომებზე ყურადღების გამახვილება.

როგორც ზემოთ ხსენებულ პრიორიტეტთა ჩამონათვალი ცხადყოფს, ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით საქართველოში კვლავ საკვანძო საკითხებად რჩება ბავშვთა დაცვა ძალადობისა და უგულებელყოფისაგან. როგორც 2013 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულმა კვლევამ „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“ ცხადყო, საქართველოს მოსახლეობის 45 პროცენტს აქვს საკმაოდ მაღალი ტოლერანტობა ბავშვთა აღზრდის ძალადობრივი მეთოდების მიმართ. როგორც ცნობილია, გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, ყოველ 5 წელიწადში ერთხელ წარუდგინონ გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტს ანგარიში ქვეყანაში ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ. საქართველოდან ბოლო ანგარიში გაგზავნილ იქნა 2008 წელს. ანგარიშის წარდგენა საქართველოს მხრიდან არ მომხდარა 2013 წელს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ფაქტს, რომ ქვეყანაში ბავშვის უფლებათა დაცვა ნაკლებად პრიორიტეტულ საკითხად გვევლინება.

საქართველო არის ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტების ხელმომწერი მხარე, როგორიცაა გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის პირველი და მეორე ფაკულტატური ოქმები. მესამე ფაკულტატური ოქმი, რომელიც ხელმოსაწერად 2012 წელს გაიხსნა, აყალიბებს შეტყობინების პროცედურას პირის ან პირთა ჯგუფის მიერ ისეთი შემთხვევების გამოვლენის დროს, რომელიც ეხება (ა) კონვენციას; (ბ) კონვენციის ფაკულტატურ ოქმს, ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციასა და ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებით; (გ) კონვენციის ფაკულტატურ ოქმს, რომელიც ეხება ბავშვთა ჩართვას შეიარაღებულ კონფლიქტში. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს 2010 წლის ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების დამტკიცების შესახებ“, რომელიც შეეხება ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაციასა და

შესაბამისი რეაგირების განხორციელებას. საქართველოს მთავრობას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ გაენია რეკომენდაცია მესამე ფაქულტატური ოქმის რატიფიკაციასთან დაკავშირებითაც. აღნიშნული ოქმის რატიფიცირების პროცესის დაწყებას მხარი დაუჭირა, ასევე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმაც.

2010 წელს ძალაში შევიდა ევროპის საბჭოს კონვენცია ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის შესახებ, რომლის ერთ-ერთი ხელმოწერი მხარე საქართველოა. ეს დოკუმენტი ცნობილია „ლანზაროტის კონვენცია“ სახელწოდებით. ლანზაროტის კონვენცია პირველი დოკუმენტია, რომელიც ბავშვთა წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა ფორმის სექსუალურ ძალადობას ანიჭებს სისხლის სამართლებრივი დანაშაულის კვალიფიკაციას, მათ შორის, ძალადობას, ჩადენილს ოჯახში, ძალის, დარწმუნებისა თუ დაშინების გამოყენებით. აღნიშნული კონვენცია ბავშვთა მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის ნებისმიერი ფორმის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების გატარებას ითვალისწინებს.

სახალხო დამცველის 2013 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის ანგარიშში ვკითხულობთ: „დადებითი ტენდენციების მიუხედავად, ქვეყანაში ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები. ერთ-ერთ ასეთ გამოწვევას წარმოადგენს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც საკანონმდებლო ხარვეზების თანმიმდევრულ აღმოფხვრას გულისხმობს.“ როგორც სახალხო დამცველის, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებიდან და არსებული პრაქტიკიდანაც ცხადია, რომ ადგილობრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკას არაერთი ძირეული ხარვეზი გააჩნია საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.

მეთოდოლოგია და პროცედურები

შერჩევა, ინსტრუქციები, კვლევის ეთიკა და შეზღუდვები

სფეროს ექსპერტების გამოკითხვის დროს შერჩევა ეფუძნებოდა არაალბათური შერჩევის დიზაინს, კერძოდ კი, მსჯელობით (დანიშნულებით) შერჩევის პრინციპებს.

ბენეფიციარების და მათი მშობლების ჯგუფური ფოკუსირებული დისკუსიები ჩატარდა ალბათური შერჩევის დიზაინის გამოყენებით, კერძოდ, გამოყენებულ იქნა მარტივი შემთხვევითი შერჩევა. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ შეირჩნენ მხოლოდ თბილისის რაიონების ბენეფიციარები.

რესპონდენტები იყვნენ ინფორმირებულნი კვლევის მიზნებისა და დანიშნულების შესახებ. რესპონდენტ ბენეფიციარებს აცხნათ, რომ კვლევა კონფიდენციალური იყო და არ მოხდებოდა მათი პასუხების იდენტიფიცირება მათ პიროვნებებთან, ხოლო შედეგები გამოყენებული იქნებოდა მხოლოდ ბავშვთა ზრუნვის მომსახურების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით. ექსპერტებისგან წინასწარ მივიღეთ თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე, განვიხილეთ და შევათანხმეთ კვლევის ინსტრუმენტები და პროტოკოლები. ეს უზრუნველყოფდა კვლევის მაღალ სანდოობას.

ინტერვიუებსა და ჯგუფურ ფოკუსირებულ დისკუსიებს ატარებდა ინტერვიუერთა გამოცდილი ჯგუფი.

კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებული შეზღუდვები შემდეგია: ა) ვერ მოხერხდა კანონთან კონფლიქტში მყოფი და, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი მშობლების გამოკითხვა; ბ) შეირჩნენ მხოლოდ ქალაქ თბილისში მცხოვრები ბენეფიციარები. აღნიშნული განაპირობა კვლევის შეზღუდულმა ვადებმა.

მეთოდები

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები. კერძოდ, ა) საკაბინეტო კვლევა, რომლის დროსაც გაანალიზდა ბავშვთა კეთილდღეობის არსებული პოლიტიკა - საკანონმდებლო დოკუმენტები, ანგარიშები, პროტოკოლები, რეგულაციები და სხვა დოკუმენტები; ბ) ფოკუსირებული დისკუსიები, რომლებიც ჩატარდა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის სოციალური მომსახურების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მომსახურების მიმწოდებლებთან, პრაქტიკოსებთან და, ასევე, მომსახურების მიმღებებთან, ანუ ბენეფიციარებთან; გ) ინტერვიუები ბავშვთა ზრუნვის სფეროს ექსპერტებთან, კერძოდ მთავრობის წარმომადგენლებთან, პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემქმნელებთან და გადამწყვეტილების მიმღებებთან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შეიქმნა ორი სტრუქტურირებული გზამკვლევი, რომელიც შემუშავდა საკაბინეტო კვლევის პროცესში შესწავლილი დოკუმენტაციის გაანალიზების საფუძველზე. კერძოდ, ერთი გამოყენებულ იქნა ბენეფიციარებსა და მათ მშობლებთან ფოკუს ჯგუფების ჩასატარებლად (მოიცავდა 6 ბლოკს: პრევენცია და რეინტეგრაცია/ოჯახების გაძლიერება; ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ახალგაზრდებთან მუშაობა; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; ახალგაზრდული ორგანიზაციები და რეფორმა - ზოგადი რეკომენდაციები) და მეორე გამოყენებულ იქნა ექსპერტებთან ინდივიდუალური ინტერვიუსა და ჯგუფური ფოკუსირებული ინტერვიუს შემთხვევაში (მოიცავდა 8 ბლოკს: პრევენცია და რეინტეგრაცია/ოჯახების გაძლიერება; ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ახალგაზრდებთან მუშაობა; ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; საკანონმდებლო ჩარჩო; უწყებათაშორისი თანამშრომლობა; სამოქმედო გეგმა 2012-2015 და საბოლოო რეკომენდაციები).

ყველა ინტერვიუს აუდიო ჩანაწერი არსებობს, რომელიც შემდგომ სიტყვა-სიტყვით იქნა გადმოწერილი და გაანალიზებული. კვლევის შედეგები გაანალიზდა კონტენტ ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობის მისაღებად შეირჩნენ ბავშვთა ზრუნვის სისტემაში ჩართული მთავარი აქტორები, კერძოდ, ჩატარდა ექსპერტული გამოკითხვა 15 ექსპერტთან და 10 ფოკუს ჯგუფი მომსახურების მენეჯერებსა და პრაქტიკოსებთან (სულ 37) და ბენეფიციარებთან (სულ 44). იხილეთ თანდართული კვლევის მონაწილეთა შესახებ დეტალური ინფორმაცია.

კვლევის შედეგები

პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება

ინტერვიუების ანალიზი

გამოკითხული 15 ექსპერტიდან თითქმის ყველა მიიჩნევს, რომ ბავშვზე ზრუნვის რეფორმა, რომელიც გულისხმობს დიდი ზომის ინსტიტუციების დაშლასა და ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების დამკვიდრებას, პროგრესულია და, მართლაც, "კარგი შედეგები მივიღეთ. მართალია, პრობლემები ჯერ კიდევ არის, მაგრამ ძველთან შედარებაც არ არის" (მ.გედევანიშვილი, ინტერვიუ). აქვე უნდა აღინიშნოს, "ზოგჯერ მოდის ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაც" და, ამდენად, ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის "ცალსახად პოზიტიურად შეფასება ძნელია, მით უმეტეს, რომ ამ რეფორმების მასშტაბური კვლევა ჯერაც არ განხორციელებულა" (მ. მესხი, ინტერვიუ). საპატრიარქოს სოციალური საკითხების დეპარტამენტის უფროსი აღიარებს ოჯახის მნიშვნელობას ბავშვის კეთილდღეობისთვის, თუმცა მიიჩნევს, რომ დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი რთული განსახორციელებელი იქნება საპატრიარქოსთვის. „ეკლესია, რასაკვირველია, ითვალისწინებს იმას, რომ კანონი მოითხოვს დეინსტიტუციონალიზაციას და მსხვილი დანებებულებიდან კომპაქტურზე გადასვლას, თუმცა ეს სწრაფად არ მოხდება“ (ზ. ვარაზი, ინტერვიუ). საპატრიარქოს წარმომადგენლის მოსაზრებით, დეინსტიტუციონალიზაცია ვერ შეეხება ამჟამად საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მცხოვრებ ბავშვებს. „ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ ინსტიტუციაში, გრძნობენ, რომ ყველაზე უახლოესები თვითონ არიან ერთმანეთისთვის, ნათესავებად აღიქვამენ ერთმანეთს. მათ რომ შესთავაზო, უნდა დაგშალოთ და გადაგანაწილოთ მცირე ზომის სახლებში, ეს მათთვის ისეთივე ტრამვაა როგორც, დედისაგან რომ შვილი მოწყვიტო“ (ზ. ვარაზი, ინტერვიუ). აღნიშნულიდან გამომდინარე, საპატრიარქოს წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ დეინსტიტუციონალიზაციის ერთადერთი მისაღები გზა მათ სისტემაში არის ჩარიცხვებზე მორატორიუმის გამოცხადება და ახალი ნაკადისთვის მცირე ზომის სახლების შეთავაზება.

ისმის კითხვა, რამდენად ეფექტიანია "ჭიშკრის დარაჯობის" პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ბავშვების განთავსების საფუძვლების მკაცრი დაცვით უნდა მოხდეს 24 საათიან ზრუნვაში ბავშვების განთავსება/გამოსვლა. ამ პოლიტიკის ამოსავალი კი ის არის, რომ სოციალური დახმარებისა და მომსახურების მიწოდების მთავარი მიზანია ბავშვის ოჯახში შენარჩუნება, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული რესურსი ბავშვის ოჯახის გაძლიერებისათვის, რათა ოჯახმა თავად შეძლოს საკუთარ შვილზე ზრუნვა. საპატრიარქოს სოციალური საკითხების დეპარტამენტის უფროსის აზრით, „იდეალური გარემო ბავშვის აღზრდისთვის არის ოჯახი“ (ზ. ვარაზი, ინტერვიუ). მისი აზრით, უნდა საფუძვლიანად იყოს გამოკვლეული, თუ რატომ ამბობს ოჯახი შვილზე უარს და თუ საქმე გვაქვს მატერიალურ სიდუხჭირესთან, მაშინ დიდია სოციალური სამსახურის როლი ოჯახის მხარდაჭერაში. „ვიდრე ფული დავხარჯოთ ინსტიტუციასა და შვილობილობაზე, უმჯობესია დედას და მამას დავუხმაროთ“ (ზ. ვარაზი, ინტერვიუ).

ასევე, აღინიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართვა ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. თავად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელიც აღნიშავდა, რომ "ამ საკითხებთან დაკავშირებით ამ ეტაპზე არ არიან ჩართული არც ერთ სამუშაო ჯგუფში" (გ. მამრიკიშვილი, ინტერვიუ). საინტერესოა, რომ ადრე თბილისის მერიას ჰქონდა "ბავშვთა ზრუნვის განყოფილება", მაგრამ 2008 წლიდან გაუქმდა და, შესაბამისად, ადგილობრივი მთავრობის როლიც დაიკარგა ამ უმნიშვნელოვანეს პროცესებში. სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური პროგრამებისა და მეურვეობისა და მზრუნველობის დეპარტამენტის უფროსის აზრით, "სწორედაც თვითმმართველობას უკეთესად შეუძლია რისკ-ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვების გამოვლენა" და შემდეგ საჭიროებისამებრ გადამისამართება სოციალური მომსახურების სააგენტოში. მისი აზრით, "ადგილობრივ თვითმმართველობას უნდა ჰყავდეს სოციალური მუშაკი, რომელიც მედიატორის, ადვოკატის ფუნქციას შეასრულებს. ეს იქნება პირველადი ადვოკატობა, შემთხვევისთვის სწორი მიმართულების მიცემა" (მ. წერეთელი, ინტერვიუ).

აღინიშნა, რომ ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, რომელთა მიმართაც ჯერჯერობით რეფორმა შეფერხებით მიმდინარეობს. მათზე ზრუნვა ვერ გახდა ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სისტემის ნაწილი. თუმცა, "სწორედ ქუჩის ბავშვებს სჭირდებათ ყველაზე მეტი ზრუნვა და

ყურადღება, რათა არ გახდნენ კრიმინალური სამყაროს ნაწილი და საფრთხე არ შეუქმნან საზოგადოების უსაფრთხოებას” (მ. მესხი, ინტერვიუ).

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვთა უფლებათა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელის აზრით, “სწორედ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები წარმოადგენენ ყველაზე მაღალი რისკგუფის ბავშვებს. მათ გამოსავლენად საგანგებო პროგრამაა საჭირო. ჯანდაცვის სამინისტროს აქვს ასეთი პროგრამა. მობილური ჯგუფები მუშაობენ ბავშვებთან და თავშესაფრების ორგანიზებას აკეთებენ. თუმცა თავშესაფრების საკითხი გაიწეა” (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ).

ასევე, დამაფიქრებელია რეფორმის ტემპი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის. აღსანიშნავია, რომ ჯერაც არ დახურულა დიდი ზომის დანესებულებები ამ პირთათვის და მათი პირობები კვლავ მეტ-ნაკლებად უცვლელი რჩება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელის მიხედვით, “მხოლოდ ის შშმ ბავშვები არიან იდენტიფიცირებულები, რომლებსაც სტატუსი აქვთ დადგენილი და იღებენ ფულად კონპენსაციას და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ ეს ბავშვები ჩანან სოციალური სფეროსთვის. დღეს მხოლოდ 8890 ბავშვი ატარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსს, ხოლო დანარჩენები, განსაკუთრებით რეგიონებში, იდენტიფიცირებულიც კი არ არიან და, შესაბამისად, ვერ იღებენ სახელმწიფო დახმარებას” (ნ. ფირაშვილი, ინტერვიუ). ამიტომ სახალხო დამცველის აპარატი პრიორიტეტად მიიჩნევს რეგიონებში მუშაობას. ძირითადი პრობლემაა მშობლების და ახლობლების, მთლიანად საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა ამ საკითხზე. ზოგ შემთხვევაში სტატუსის უქონლობის მიზეზია სიღარიბე, რაც ხელს უშლის ადამიანს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაში. ამასთან, ყველა პოლიკლინიკას არ შეუძლია სამედიცინო სტატუსის დადგენა. მხოლოდ ზოგიერთი პოლიკლინიკა სპეციალიზდება ექსპერტიზის დადგენასა და სტატუსის მინიჭებაზე. ამდენად, სოციალურად დაუცველ პირებს არ აქვთ საშუალება, მიაკითხონ შესაბამის პოლიკლინიკებს ტრანსპორტირების პრობლემის გამო. აღსანიშნავია, ასევე, ისიც, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დახმარება მიბმულია სოციალურად დაუცველობის სტატუსთან. ეს “გაუმართლებელია, რადგან რეალურად არა სოციალური სტატუსი, არამედ შშმ სტატუსი უნდა იყოს განმსაზღვრელი და სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი” (ნ. ფირაშვილი, ინტერვიუ). ამ მიზნით სახალხო დამცველმა მოამზადა რეკომენდაცია, რომ “შშმ პირისათვის მომსახურებების მიწოდება არ მიეძღვას სოციალურად დაუცველობის სტატუსს”.

რისკის მქონე ბავშვების გამოვლენის კუთხით აღინიშნა სკოლის მნიშვნელობაც. დანაშაულის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელის აზრით, საგანმანათლებლო სფეროში ჯანსაღი გარემოს შექმნა ხელს შეუწყობს რისკის შემცირებას და, სავარაუდოდ, ზრუნვის სისტემაში მოხვედრის რისკის მქონე ბავშვების გამოვლენასა და დროულ პრევენციას (ჯ. კვინიკაძე, ინტერვიუ). ასევე, აღსანიშნავია ახალგაზრდებისთვის სპეციალური ცენტრების არსებობა, რომელიც დაეხმარება მათ თავისუფალი დროის ორგანიზებაში. ამ მხრივ, მისი თქმით, “სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრი ძალიან ბევრ კეთილ საქმეს აკეთებს როგორც კულტურული, ასევე საგანმანათლებლო კუთხით” (ჯ. კვინიკაძე, ინტერვიუ). გარდა ამისა, დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური მუშაკები მუშაობენ სამი მიმართულებით, კერძოდ, სკოლებში უფროსკლასელებთან (12-დან 18 წლამდე ბავშვებთან) და ლიდერთა სახლის პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებთან, რათა მათ განუვითარონ სოციალური პასუხისმგებლობა (მოხალისედ მუშაობა, მოწყვლადი ჯგუფების დახმარება და ა.შ.) და ჩართონ სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ აქტივობაში. მეორე მიმართულება ეხება იმ ოჯახების გამოვლენას და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვას, რომელშიც ოჯახის ერთ-ერთი წევრი პატიმარია, წამალდამოკიდებულია, არ დადის სკოლაში, სკოლიდან გარიცხულია და ა.შ., ანუ ე.წ. რისკგუფებთან მუშაობა. ხოლო მესამე მიმართულება კი ეხება განრიდებისა და მედიაციის პროგრამას (ჯ. კვინიკაძე, ინტერვიუ).

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილე, ასევე, ხაზს უსვამს სკოლის მნიშვნელობას ამ კუთხით (ი. სარჯველაძე, ინტერვიუ). მისი აზრით, სკოლაში უნდა შეიქმნას “მიზნობრივი ჯგუფი”, რომელიც ჩართული იქნება რისკის მქონე ბავშვების გამოვლენაში.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის უფროსის აზრით, “მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების იდენტიფიკაცია სკოლაში ან საბავშვო ბაღში უნდა მოხდეს. ეს უნდა გააკეთოს, ასევე, სოციალური მომსახურების სააგენტომ და, ალბათ, უნდა იყოს ჩართული ჯანდაცვის სამინისტროს კიდევ ერთი ერთეული

- უბნის პოლიკლინიკა” (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ).

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა რეგიონებში (მ. გედევანიშვილი, ი. სარჯველაძე, ჯ. კვინიკაძე). საჭიროა, დაიგეგმოს ბავშვზე ზრუნვის სისტემური მიდგომა და, ამასთან, “მაღალმთიან რეგიონებში ადმინისტრაციული, თუნდაც საკანონმდებლო კუთხით, სხვა მიდგომა საჭირო” (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ).

შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროექტების სამმართველოს უფროსის აზრით, “რისკის ინდიკატორები არაა განვრცოვებული და ამიტომ რისკის მქონე ბავშვების გამოვლენა ემყარება პროფესიონალის ძირითად უნარ-ჩვევებს” (მ. ფერაძე, ინტერვიუ). პოლიციელს უნდა შეეძლოს დანაშაულის პრევენცია, მაგრამ რისკის ქვეშ მყოფი ბავშვის შეფასების კრიტერიუმები არაა ნათლად განვრცოვებული, რთულია განსაზღვრო, რომელია “დევიაციური ქცევის მქონე ბავშვი” და “კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი”. ამდენად, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გაძლიერდეს სამართალდამცავების ცოდნა რისკის მქონე ბავშვების იდენტიფიკაციის თვალსაზრისით. ამით თავიდან იქნება აცილებული ბავშვების სტიგმატიზაცია (მ. ფერაძე, ინტერვიუ).

თ. კუჭავას (გაეროს ბავშვთა ფონდი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროგრამის ხელმძღვანელი) აზრით, “შემთხვევების იდენტიფიცირების საკითხი დგას მართლმსაჯულების სისტემაშიც. მესამე დონის პრევენციის შემთხვევაში, როცა ბავშვები უკვე კანონთან კონფლიქტში არიან და განმეორებითი დანაშაულის პრევენციაზე ლაპარაკი, სისტემა შედარებით უფრო გამართულია”. მაგრამ საკმაოდ რთულია “ეგრეთ წოდებული პრობლემური ბავშვების იდენტიფიცირება”, რადგან არ არსებობს კრიტერიუმები. ამასთან შედარებით ძალადობის პრევენციის მექანიზმი გაცილებით დახვეწილია. “ახლა მიმდინარეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა და იქაც მნიშვნელოვანი აქცენტი უწყებათაშორის კოორდინაციაზეა გაკეთებული. აქ ძირითადი აქტორები უნდა იყვნენ განათლების სისტემა, სოციალური დაცვა, ბავშვთა დაცვა” და ზუსტად უნდა განისაზღვროს თითოეული პროფესიონალის როლი. ასევე, ზედა დონეზე უნდა შეიქმნას საკოორდინაციო მექანიზმი, რომელიც ამ პროცესს უხელმძღვანელებს” (თ. კუჭავა, ინტერვიუ).

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის აზრით, “ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში არის მცდელობა, რომ ძალადობის ადრეული სიმპტომები გამოჩნდეს და რეაგირება მოხდეს. თუმცა, ეს სისტემაც არ არის კარგად გამართული. როგორც ჩვენმა კვლევამ¹ აჩვენა, ამ სისტემაში ჩართული აქტორები არ არიან კარგად გათვითცნობიერებულნი თავიანთ როლსა და ფუნქციაში” (ქ. მელიქაძე, ინტერვიუ). შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ბავშვთა ზრუნვის სისტემა არასისტემურ შემთხვევებს პასუხობს და არ არსებობს კარგად შემუშავებული მექანიზმები, რომლებიც ადრეულ ეტაპზე პროაქტიულად და არა რეაქტიულად გამოავლენდა რისკის ჯგუფებს.

აღინიშნა, რომ ბავშვზე ზრუნვის სისტემა უფრო რეაქტიულია, ვიდრე პროაქტიული (ქ. მელიქაძე, ინტერვიუ). განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი, ასევე, მიიჩნევს, რომ “რეალურად სახელმწიფომ ვერ შეძლო ეფექტური მუშაობა” რისკის მქონე ბავშვებისა და ოჯახების გამოვლენის კუთხით (ე. დგებუაძე, ინტერვიუ).

მართალია, სოციალური მუშაკების აღწერილობაში არის აღნიშნული “ავტორიტის” კომპონენტი, მაგრამ ისინი უფრო შემოსულ შემთხვევებზე რეაგირებენ (ქ. მელიქაძე, ინტერვიუ). პრობაციის ეროვნული სააგენტოს რეაბილიტაციის სამმართველოს უფროსის აზრით, “საქართველოში არსებული რეალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, შეიქმნას რეფერირების ისეთი სისტემა, რომელშიც სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური აგენტი იქნება ჩართული ამ რისკის ჯგუფების გამოსავლენად, რადგანაც ყველაზე მეტად სწორედ სოციალური აგენტებისათვის არის მისაწვდომი მონაცვლადი ოჯახები” (ნ. შატერაშვილი, ინტერვიუ). ამ მიმართულებით საინტერესოა გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივა საპილოტე რეფერირების მექანიზმის შექმნის შესახებ. ამ ინიციატივის განხორციელებაში მონაწილეობენ ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი და სტატისტიკის დეპარტამენტი. მაისის ბოლოსთვის იგეგმება ამ მექანიზმის პილოტირება, “სადაც სოციალურ აგენტებს ექნებათ შესაძლებლობა, აღნიშნონ რისკფაქტორები” (ნ. შატერაშვილი, ინტერვიუ). მართალია, ამ რისკის ჯგუფების გამოვლენა სოციალურ მუშაკებს უკეთ ხელუწიფებათ, პროფესიული მომზადებიდან

1 ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, გაეროს ბავშვთა ფონდი, ივლისი, 2013

გამომდინარე, მაგრამ დღესდღეობით სოციალური მუშაკების საკმარისი რესურსი სახელმწიფოს არ გააჩნია.

ფოკუს ჯგუფების ანალიზი

მომსახურების მიმწოდებლები, კოორდინატორები და პრაქტიკოსები

კოალიციის (საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის) **წვერი არასამთავრობო ორგანიზაციების** პროგრამის ხელმძღვანელების ფოკუს ჯგუფის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ **არ ხდება პრევენციის შემთხვევების პროაქტიულად გამოვლენა** და, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო ერევა მაშინ, როდესაც ოჯახში კრიზისი უკვე სახეზეა. ქვეყანაში **პრევენციული მომსახურებები ძალიან მწირია** (კვების ვაუჩერი, დღის ცენტრი და ადრეული ჩარევა შშმ ბავშვების შემთხვევაში) და, **გეოგრაფიული თვალსაზრისით, ნაკლებად ხელმისაწვდომიც** საჭიროების მქონე ყველა ბენეფიციარისათვის. მონაწილეებმა ისიც აღნიშნეს, რომ ის მომსახურებებიც კი, **რომლებიც არსებობს, რეალურ პრევენციას ვერ ახდენს**. ჯგუფში გამოითქვა აზრი, რომ ყველა პრევენციული კომპონენტი ოჯახის გაძლიერების კომპონენტთან უნდა იყოს შერწყმული. აღინიშნა ისიც, რომ **რეფორმა ნაკლებად შეეხო ძალადობისა და უგულბეზღოფის შემთხვევების გამოვლენას** და რეაგირებას, შესაბამისად, რეფორმა ამ მიმართულებით ნაკლებად წარმატებულია. მონაწილეთა ნაწილის აზრით, არსებული მწირი მომსახურებებიც კი **ნაკლებად არის ათვისებული სოციალური მუშაკებისა და ბენეფიციარების მიერ**. ხშირ შემთხვევაში (დღის ცენტრის მაგალითი) მომსახურების მიმწოდებელს თავად უწევს ბენეფიციარების მოძიება, როცა საჭიროება, "ერთი შეხედვით", დიდია. მონაწილეთა თქმით, სოციალური მუშაკები არსებულ გარე რესურსს ნაკლებად იყენებენ, რადგან "ზოგჯერ ეშინიათ პასუხისმგებლობის აღების და ურჩევნიათ, არსად არ ჩართონ ბავშვი". ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ **სახელმწიფოს არ აქვს ნაკვლევი, რა მომსახურება რა რაოდენობის ბენეფიციარზე სჭირდება**. ქვეყანაში არ არის კვლევაზე დაფუძნებული მომსახურებები, რაც სირთულეებს ქმნის ამ სერვისების მიწოდების პროცესში. ასევე, გამოითქვა აზრი, რომ ცნობიერების ამაღლება უნივერსალური პრევენციის ნაწილია. ოჯახებთან მუშაობის ამოსავალი უნდა იყოს მათი ცნობიერების შეცვლა, რომ თავად აიღონ პასუხისმგებლობა შვილის აღზრდაზე. ამასთან, აღინიშნა, რომ "სოციალური დახმარების მომსახურებები ხალხს არ უნდა აზარმაცებდეს. სახელმწიფომ სოციალურ დახმარებაში გარკვეული მოტივატორები უნდა ჩაეღოს, რომ გარკვეული ვადით ეხმარება ბენეფიციარებს და ეს დახმარება მუდმივად არ გაგრძელდება".

ამდენად, (1) სოციალური დახმარების ამოსავალი უნდა იყოს ის, რომ ხალხი გაააქტიუროს და არა პირიქით, გააზარმაცოს; ანუ იზრუნოს მათი ცნობიერების შეცვლაზე; (2) სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციები, რომელთა მიხედვითაც სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ ბავშვები, მიეცეთ მიზნობრივი დახმარება ამ ბავშვების რაოდენობისა და ასაკის გათვალისწინებით; (3) სახელმწიფომ უნდა გააანალიზოს წინა წლის პროგრამები და ზუსტად გადანაწილდეს, თუ რომელ პროგრამაში რა თანხის ჩადებაა საჭირო; (4) უნდა გაუმჯობესდეს არსებული სოციალური მომსახურება, რასაც სოციალური მუშაკები ახორციელებენ, (5) სისტემამ უნდა იზრუნოს ადამიანური რესურსების შენარჩუნებაზე მათი დასაქმების პირობების გაუმჯობესებით; (6) უნდა გაძლიერდეს ჯანდაცვის კომპონენტი, პირველადი ჯანდაცვა არის პრევენციის ძირითადი მექანიზმი; (7) მომსახურებები უნდა ეფუძნებოდეს კვლევებს; (8) მომსახურებები უნდა იყოს მორგებული ადგილობრივი ბენეფიციარის საჭიროებებზე და არ უნდა იყოს საერთაშორისო გამოცდილებიდან კოპირებული; (9) მართხელა მშობლის შრომის უფლებების ლიბერალიზაცია უნდა მოხდეს; (10) ოჯახის დამხმარე საკონსულტაციო ცენტრები უნდა შეიქმნას, რომელიც დაეხმარება ოჯახს ზრუნვის დაგეგმვასა და ოჯახის ეფექტიან მართვაში (მშობლის უნარ-ჩვევების ამაღლება); (11) უნდა გაძლიერდეს ოჯახის დამხმარე მომსახურებები; (12) სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებს შორის თანამშრომლობა ეფექტიანი უნდა გახდეს და, ასევე, აღსანიშნავია, რომ საჭიროა "უფრო მეტი" აუთოსორინგი".

სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, ამა თუ იმ რისკის წინაშე მყოფი ბავშვების იდენტიფიკაცია სხვადასხვა წყაროს მიერ (პოლიცია, სკოლა, საავადმყოფო, არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოების წევრები და ა.შ.) ერთნაირი წარმატებით ვერ ხდება, რადგან **ყველა ეს რგოლი სათანადოდ არ ახორციელებს რისკის ქვეშ**

მყოფი ბავშვების გამოვლენას. პრობლემები განსაკუთრებით აღინიშნება პოლიციასა და სკოლასთან მიმართებით.

სკოლასთან თანამშრომლობა მონაწილეთა ნაწილისთვის წარმატებულია, ნაწილისთვის კი - პირიქით. განსაკუთრებით აღინიშნა პრობლემები რთული ქცევის ბავშვების მიმღებლობასთან დაკავშირებით სკოლის მხრიდან. ასევე, აღინიშნა პრობლემები იმასთან დაკავშირებით, რომ სკოლა ცუდად თანამშრომლობს ძალადობის შემთხვევებში, რადგან მათგან იშვიათად შემოდის რეფერალი და ასეთ შემთხვევაშიც კი ძალადობის ფაქტზე მუშაობისას შემდგომ დახმარებაზე ხშირად სკოლა უარს ამბობს "ოჯახთან ურთიერთობის გაფუჭების" თავიდან აცილების მიზნით.

რესპონდენტების აზრით, ადრეულ ეტაპზე რისკის წარმატებულად გამოსავლენად, **ჩართულმა უწყებებმა/ორგანიზაციებმა და საზოგადოებამ თავად უნდა აიღონ გარკვეული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.** განსაკუთრებით პრობლემურია ის, რომ რისკის გამოვლენის შემთხვევაში, ძირითადად, ანონიმური ზარები შემოდის სოციალური მომსახურების სააგენტოში და ამ შემთხვევაში განმცხადებელი დამატებით თანამშრომლობაზე არ თანხმდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია შემთხვევის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად და ბავშვის ინტერესების დასაცავად. ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისეთი განმცხადებლების შემთხვევაშიც კი, რომელთა ვინაობა ცნობილია სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის (მაგალითად, სკოლა, მეზობელი და ა.შ.), ეს უწყებები/პირები მხოლოდ არაოფიციალურად აწვდიან სააგენტოს ინფორმაციას და ოფიციალურად საკუთარი სახელის დაფიქსირება არსად სურთ ოჯახთან პრობლემების/კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.

მონაწილეების აზრით, ოჯახების გასაძლიერებლად და რისკების შესამცირებლად სოციალურად დაუცველ და რისკის წინაშე მყოფ ოჯახებს, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, შემდეგი მომსახურებები ესაჭიროებათ:

- კომპეტენტური ფსიქოლოგები
- მშობლების უნარ-ჩვევების გაძლიერება
- ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა
- დასაქმება
- პროფესიული გადამზადების კურსები
- საკვებით დახმარება 1,5 ასაკის ზემოთაც.

ასევე, აღსანიშნავია, სოციალური დახმარების მექანიზმის მუშაობასთან დაკავშირებული სირთულეები. კერძოდ, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დასახელდა ის, რომ ბენეფიციარები უარს ამბობენ დასაქმებაზე დახმარების მოხსნის შიშის გამო და ხშირ შემთხვევებში მათთვის ხელმისაწვდომი დასაქმების შესაძლებლობებიც არ არის გრძელვადიანი და მდგრადი. ასეთ პირობებში მათ ხშირ შემთხვევაში სრულიად სამართლიანადაც ეშინიათ, რომ ვერ გაუმკლავდებიან მათ წინაშე არსებულ რისკებს და უფრო მეტად მიჯაჭვულები ხდებიან სახელმწიფო დახმარებაზე.

არასამთავრობო სექტორში მომუშავე პრაქტიკოსების (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა პროფესიონალები) ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, რისკის წინაშე მყოფი ბავშვების გამოვლენა სხვადასხვა გზით ხდება. ხშირად ოჯახები თავად აკითხავენ მათ ორგანიზაციებს მხარდაჭერისათვის. ასევე, აქტიურობენ საზოგადოების წევრები, მეზობლები, ნათესავები და ა.შ. მონაწილეებმა ისიც აღნიშნეს, რომ ამ კუთხით **დიდია პატრულისა და სკოლის როლი, თუმცა ორივესთან დაკავშირებით არის მნიშვნელოვანი პრობლემები**, რადგან მათ არ აქვთ ცოდნა/კომპეტენცია და, ასევე, სურვილი, ჩაერიონ ოჯახის საქმეებში და დაიცვან ბავშვი ძალადობისა თუ უგულვებელყოფისაგან.

მონაწილეების აზრით, ყველაზე მეტად ოჯახებს შვილებზე ადეკვატური ზრუნვისთვის შემდეგი სახის დახმარება სჭირდებათ:

- მშობლის უნარ-ჩვევების გაძლიერება
- აღზრდის არაძალადობრივი მეთოდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება
- პროფესიული გადამზადება
- დასაქმება

მონაწილეების აზრით, დიდია არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ოჯახების დახმარებისა და, ასევე, რისკის ადრეულ ეტაპზე გამოვლენის კუთხით, თუმცა, წარმატებული მუშაობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია **კოორდინირებული მუშაობა და ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა არასამთავრობო**

ორგანიზაციას შორის, განსაკუთრებით, მათ მიერ მიწოდებულ მომსახურებებთან დაკავშირებით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურის სამსახურში მომუშავე პერსონალის (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და მანდატურები) ფოკუს ჯგუფის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ სამსახურში **მომართვები, ძირითადად, თვითდინებით (ბავშვების ან მასწავლებლებისგან) შემოდის**. მონაწილეების აზრით, აუცილებელია **საზოგადოების ინფორმირების გაზრდა** სხვადასხვა რისკის თაობაზე (მათ შორის ძალადობა). ასევე, აუცილებელია **სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად ჩაერთოს იმ ზოგადი ძალადობრივი ფონის შემცირებაში**, რომელიც მთელ ქვეყანაში სუფევს (მედია, პოლიტიკა და ა.შ.).

მონაწილეების აზრით, სოციალურად დაუცველ ოჯახებს სჭირდებათ მრავალი ტიპის მომსახურება, განსაკუთრებით კი:

- გადამზადების კურსები
- მრავალშვილიანობის შემთხვევაში დახმარება
- მართხელა დედების დახმარება
- ოჯახებისთვის ბავშვის აღზრდის უნარების განვითარება და აღზრდის სწორი ღირებულებებისა და მიდგომების სწავლება.

სამართლის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსების (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა პროფესიონალები) ფოკუს ჯგუფის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგ შემთხვევაში (განსაკუთრებით უბნის ინსპექტორის შემთხვევების დროს) **ჩარევა შეიძლება არ იყოს ბავშვის ჯეშმარიტი ინტერესებისაკენ მიმართული** და უბნის ინსპექტორის ზედმეტმა და უხეშმა ჩარევამ შესაძლოა, მეტი ზიანი მოუტანოს ბავშვსა და ოჯახს. მონაწილეების აზრით, რისკის გამოვლენისა და მისი პრევენციის კუთხით უდიდესია **სოციალური მომსახურების სააგენტოს როლი**, თუმცა ამ როლის შესრულება ამჟამად შეუძლებელია **სოციალური მუშაკების არსებული რაოდენობით**. აუცილებელია, **სოციალური მუშაკები არა რაიონულ, არამედ სოფლებისა და თემების დონეზე მუშაობდნენ**, რათა მათ აღრეულ ეტაპზე გამოავლინონ რისკი და ბავშვსა და ოჯახს ადეკვატური მხარდაჭერა აღმოუჩინონ.

მონაწილეების აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია **საზოგადოების მეტი ჩართულობა** რისკის პრევენციის კუთხით, განსაკუთრებით, როცა ეს რისკი ძალადობას ეხება. ამისთვის კი **საზოგადოების ინფორმირებულობის დონე უნდა ამაღლდეს**.

ოჯახების მხარდაჭერის კუთხით **ძალიან მწირი რესურსები** არსებობს. პრობაციის სამსახურისა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის ინფორმაციით, განსაკუთრებით რთულია მათთვის არასრულწლოვნების ოჯახების გაძლიერება, რადგან **მცირეა დასაქმების შესაძლებლობა**. ასევე, პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა ახსენეს, რომ ისინი, ძირითადად, ოჯახის საჭიროებებს აფასებენ, მაგრამ **ოჯახის გაძლიერებაზე ადეკვატური მუშაობა ვერ ხერხდება**.

მომსახურების მიმღებები - ბენეფიციარები

ეროვნულ კოალიციასთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს² მონაწილეების აზრით, არსებული მომსახურებები (რეინტეგრაცია, სოციალური დახმარება, მინდობით აღზრდა) არ არის ეფექტიანი. მათი აზრით, რეინტეგრირებულ ოჯახს არ უნდა ეძლეოდეს ასეთი დაბალი თანხა სახელმწიფოსგან, მინიმუმ ეს უნდა იყოს იმდენივე, რაც მინდობით ოჯახს ეძლევა. ახალგაზრდების უმრავლესობა ვერ ხედავს მიზეზს, თუ რატომ გადაწყდა საკითხი ასე. მათი აზრით, თუ სახელმწიფოს ეშინია, რომ ბიოლოგიური ოჯახი ბავშვის ფულს არამიმზობრივად გამოიყენებს, მას შეუძლია, მაკონტროლებელი მექანიზმი დაენერგოს. მთავარი მაკონტროლებელი კი უნდა იყოს სოციალური მუშაკი.

მათი აზრით, ბავშვებზე, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციები ზრუნავენ. ისინი მიიჩნევენ, რომ **ძირითადი მზრუნველი სახელმწიფო უნდა იყოს**. მხოლოდ მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ "საჭიროა, საზოგადოება და ოჯახი ზრუნავდეს ბავშვზე და ყურადღებას იჩენდნენ მის მიმართ".

² ეროვნულ კოალიციასთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს შედგება იმ ახალგაზრდებისაგან, რომლებიც არიან ან იყვნენ სახელმწიფო ზრუნვაში. ისინი სხვა ბავშვებს ეხმარებიან სხვადასხვა ინფორმაციის გაზიარებაში, უზიარებენ გამოცდილებას და შესაბამის დახმარებას უწვენ მათ. ახალგაზრდული საბჭო ახალი ჩამოყალიბებულია და არასამთავრობო ორგანიზაციად დარეგისტრირებას აპირებს.

რაც შეეხება ფაქტორებს, რომლებიც ხელს უშლის ოჯახს ბავშვზე ზრუნვაში, შემდეგი სირთულეები გამოიკვეთა: **ფინანსური საკითხები, ჯანმრთელობის პრობლემები, საცხოვრებელი ადგილის არარსებობა და დასაქმება.** საჭიროა ოჯახის გაძლიერება სახელმწიფოს მხრიდან: **ტრენინგების ჩატარება, განსაკუთრებით, ცნობიერების ამაღლების კუთხით და დაფინანსება.** ბავშვებს სჭირდებათ **განათლების მიღება**, რათა გაუმკლავდნენ ცხოვრებისეულ სირთულეებს და მყარად შედგან ფეხი დამოუკიდებელ ცხოვრებაში, ამდენად, პროექტები, რომლებიც ეხმარება **დამატებით მომზადებაში** (რათა უმაღლეს სასწავლებელში განაგრძოს სწავლა) და **პროფესიულ გადამზადება/სწავლებაში**, მათთვის განსაკუთრებით ღირებულია.

მონაწილეთა აზრით, რეფორმა არ შეხებიდა „ისეთ ბავშვებს, რომლებიც გაიქცნენ ბავშვთა სახლებიდან და ახლა ქუჩაში არიან ან, შესაძლოა, დანაშაულიც ჩაიდინეს“. ამ ბავშვებთან არავინ მუშაობს. ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ სახელმწიფო უნდა დაინტერესდეს ამ ბავშვებით, შეისწავლოს მათი საჭიროებები და გამონახოს „საერთო ენა“.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ფოკუს ჯგუფის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მათი ქუჩაში ყოფნის ძირითადი მიზეზია **ოჯახების მატერიალური სიდუხჭირე, უმუშევრობა, მუდმივი სამსახურის არქონა, ავადმყოფობა.** მათი აზრით, „გაჭირვება სირცხვილი არაა და ქუჩაში გამოსვლა თავის გადარჩენის ერთ-ერთი ინსტინქტია, თორემ არავის ეხალისება ქუჩაში დგომა“. არის შემთხვევები, როცა მშობელი აძალებს შვილს მათხოვრობას (**ძალადობა**) – „თუ ფულს არ მოიტან, სახლში არ შემოგიშვებ“. გამოითქვა აზრი, რომ „სახელმწიფომ უნდა შეაგნებინოს მშობელს, რომ ბავშვზე ცუდი მოპყრობა არ შეიძლება და **დაეხმაროს ფულით, საკვებით, მშობელი გამოსწორდეს** და ბავშვებს კარგად მოექცეს“ (**მშობლის განათლება**).

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ხშირად ბავშვები იმდენად ეჩვენებიან ქუჩას, რომ იქიდან წამოსვლა აღარ უნდათ, ძნელია **ამ ჩვევაზე უარის თქმა.** ამ ბავშვებს სჭირდებათ **დახმარება საკვებით, ტანსაცმლით, სათამაშოებით, საცხოვრებელით (დასაძინებელი ადგილით), დღის ცენტრით, წერა-კითხვის სწავლებით.**

მინდობით აღზრდასა და მცირე საოჯახო ტიპის სახლში მყოფი ბავშვების აზრით, ბავშვებზე უნდა იზრუნონ მათმა მშობლებმა, თუმცა თუ „მათ არ აქვთ ამის საშუალება, მაშინ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს“.

მონაწილეთა აზრით, ბავშვებს სჭირდებათ **შესაფერისი გარემო, საჭმელი, განათლება, ჩაცმადობა, ზრუნვა და მეთვალყურეობა, სახლი.** იმისთვის, რომ ბავშვებმა უკეთ იგრძნონ თავი, სახელმწიფომ უფრო მეტად უნდა იზრუნოს მათზე. ეს რეკომენდაცია ძირითადად გამოიკვეთა ერთ-ერთი მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბავშვების საუბრიდან, რადგან, როგორც აღნიშნავენ, ზედმეტად გამკაცრებულია წესები და **ისეთი ოჯახური გარემო აღარ არის, როგორიც ადრე იყო.** კერძოდ, საჭიროა ბევრი ბიუროკრატიული პროცედურის შესრულება, როდესაც ბავშვი უნდა წავიდეს ექსკურსიაზე, ასევე, არ მოსწონთ ინიციატივა, რომ დედების ნაცვლად შეჰყავთ წყვილები. ბავშვების აზრით, როცა „აღამიანს თავისი ოჯახი აქვს და თავისი შვილები ჰყავს, მას სხვა (მცირე საოჯახოში მცხოვრები ბავშვები) აღარ აინტერესებს“. ზოგადად ბავშვებს, რომლებიც სარგებლობენ მცირე საოჯახო ტიპის სახლებითა და მინდობითი აღზრდით, დადებითი დამოკიდებულება ჰქონდათ არსებული სიტუაციისადმი. გარემოს აფასებდნენ დადებითად, თუმცა, რა თქმა უნდა, ამჟობინებდნენ ბიოლოგიურ დედასთან ერთად ცხოვრებას.

მონაწილეთა აზრით, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ბავშვებზე, დაიცვას ისინი, იზრუნოს მათ ჯანმრთელობაზე, მისცეს ყველაფერი, რაც სჭირდებათ. ბავშვების აზრით, „კარგი იქნება, თუ ის თანხა, რომელსაც სახელმწიფო მინდობით აღზრდაში იხდის, მისცეს მათ ოჯახებს და დააბრუნოს ისინი მშობლებთან“. მონაწილეთა აზრით, სახელმწიფომ უნდა მისცეს ოჯახებს საშუალება, რომ თავიანთ ბავშვებს თვითონ მიხედონ, ხოლო „თუ ოჯახს არ აქვს ფინანსური საშუალება, დაასაქმოს“.

რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების აზრით, ცალსახაა, რომ ბავშვზე მშობლები უნდა ზრუნავდნენ, თუმცა სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ოჯახებს **ფინანსურად**, რომ მათ შეძლონ თავიანთ შვილებზე ზრუნვა. ასევე, თუ ოჯახში ხდება ძალადობა, **სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვი ოჯახურში ძალადობისგან,** შეძლოს ასეთი შემთხვევების გამოვლენა. საჭიროა მშობელებს გააგებინონ, რომ „არაა კარგი ბავშვზე იხმარო ძალადობა“. **მოძალადეს სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ფსიქოლოგიურად,** სახელმწიფო მშობელს უნდა დაეხმაროს, რომ „მშობლები უკეთესად უგებდნენ თავიანთ შვილებს“ (**მშობლებისათვის**

აღზრდის მეთოდების სწავლება, მშობლის უნარების გამომუშავება).

რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების მშობლების ფოკუს ჯგუფის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ბავშვზე უნდა ზრუნავდნენ მისი მშობლები, თუმცა, როცა ოჯახს არ აქვს ამის **მატერიალური საშუალება**, სახელმწიფოც უნდა დაეხმაროს.

ძირითადი სირთულე, რის გამოც ოჯახმა შეიძლება ვერ უზრუნველყოს ბავშვზე ზრუნვა, არის **ეკონომიკური შესაძლებლობა**. ასევე, მონაწილეთა აზრით, ეს ყოველივე გავლენას ახდენს ბავშვზე და მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე (როცა „სხვას აქვს და მას არა“).

სახელმწიფოს შეუძლია ოჯახების დახმარება **მატერიალურად**, დახმარება (90 ლარი, რეინტეგრაციის შემწეობის სახით), რომელსაც „ახლა იღებენ, არ არის საკმარისი და კარგი იქნება ამ **თანხის გაზრდა**“. ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ **სახელმწიფო, "ვისაც რა საჭიროება აქვს, იმით უნდა დაეხმაროს", ანუ დახმარება უნდა იყოს კონკრეტულ ბენეფიციარსა და მის ოჯახზე მორგებული**. ზოგისთვის ეს არის „**ბინის ქირა, სხვისთვის - ავეჯი, ზოგს, უბრალოდ, ბავშვის რჩენა უჭირს**“. ასევე, გამოითქვა აზრი, რომ ზოგჯერ დასაქმებულ მართოხელა მშობელს არ ჰყავს მცირეწლოვანი ბავშვის დამტოვებელი და კარგი იქნება, თუ სახელმწიფო ასეთი მშობლებისთვის უზრუნველყოფს სპეციალურ მომსახურებას (მაგალითად, **სახელმწიფო ძიძა, რომელიც სანდო იქნება და დაეხმარება ბავშვების აღზრდაში ან ბაგა-ბაღის მომსახურება კვლავ ამოქმედდება**).

საუბარი შეეხო, ასევე, **სოციალური დახმარების მიღების საკითხსა და არსებულ კრიტერიუმებს**, რომელთა თანახმადაც, ზოგჯერ საჭიროების მქონე ოჯახები ვერ იღებენ დახმარებას.

დასკვნა

სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული პრობლემების მეტ-ნაკლებად მსგავს ასპექტებზე აკეთებენ ფოკუსირებას. ზოგადად, ორივე სფეროს წარმომადგენლები აღიარებენ, რომ დღევანდელი ბავშვთა ზრუნვის სისტემა რეაქტიულია და შემთხვევებს არასისტემურად პასუხობს. საჭიროა, რომ სისტემა გახდეს უფრო მეტად პროაქტიული, რაც ნიშნავს პრობლემისადმი სისტემური მიდგომის, კარგად შემუშავებული მექანიზმების ქონას; კერძოდ, რისკჯგუფის წარმომადგენელი ბავშვებისა და მათი ოჯახების გამოვლენა რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა მოხდეს, ხოლო პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა ოჯახების საჭიროებების სისტემურ ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს; ამასთან, ორივე სექტორი აცნობიერებს, რომ სოციალური მუშაკების რაოდენობა არაა საკმარისი იმისათვის, რომ რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების მაქსიმალური რაოდენობა გამოვლინდეს და მათ ოჯახის გამაძლიერებელი მომსახურებები შესთავაზონ. ორივე სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საჭიროა პირველადი ჯანდაცვის ჩართვა (უბნის პოლიკლინიკა) ბავშვის ოჯახისაგან დაშორების პრევენციის კუთხით. ასევე, ორივე სექტორი აღიარებს, რომ ქვეყანაში მომსახურებები არათანაბრადაა განვითარებული და ამ კუთხით რეგიონები ძალიან ზარალდება. ასევე, აღინიშნა პრევენციული მომსახურებების სიმწირისა და იმის შესახებ, რომ ეს მომსახურებები რეალურ პრევენციას ვერ ახდენს და საჭიროა ბენეფიციარზე მორგებული ოჯახის გამაძლიერებელი მრავალფეროვანი მომსახურებების განვითარება.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები უფრო თამამად აღნიშნავენ სამთავრობო და არასამთავრობო სფეროს ურთიერთთანამშრომლობაში პრობლემების არსებობის შესახებ. კერძოდ, ხშირად სახელმწიფო ვერ ხარჯავს სხვადასხვა სოციალურ პროგრამაზე გამოყოფილ ფულს, მაგრამ არ ქირაობს არასამთავრობოების მომსახურებას („აუთსორსინგი“). ორივე, სამთავრობო და არასამთავრობო, სფეროს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ძალადობისა და უგულვებელყოფის შემთხვევების გამოვლენა არაეფექტიანად მიმდინარეობს. ამის მიზეზია საზოგადოების ცნობიერების არასათანადო დონე. საჭიროა საზოგადოების ყველა წევრის ცნობიერების ამაღლება ძალადობის საკითხებზე, ბავშვთა უფლებებზე, სამოქალაქო პასუხისმგებლობასა და სხვა კრიტიკულ საკითხებზე.

ასევე, აღინიშნა, რომ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული აქტორები კარგად ვერ აცნობიერებენ თავიანთ როლსა და ფუნქციებს. განსაკუთრებით მოიკოჭლებენ საპატრულო სამსახური (პოლიცია) და სკოლა. ამ უკანასკნელის მნიშვნელობა ორივე სექტორის მხრიდან აღიარებულია ბავშვის სარისკო ქცევების იდენტიფიკაციის კუთხით. საინტერესოა, რომ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ თავად არასამთავრობო

ორგანიზაციებს შორის კოორდინაციაც არაა სათანადოდ გამართული, რაც ხელს უშლის წარმატებულ თანამშრომლობას.

სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები თანხვედრაში არიან იმასთან დაკავშირებით, რომ ბავშვთა კეთილდღეობის მომსახურებები უნდა ეყრდნობოდეს კვლევასა და მტკიცებულებებს, ზუსტად უნდა პასუხობდეს ადგილობრივი ბენეფიციარების საჭიროებებს და არ უნდა იყოს მექანიკურად გადმოღებული საერთაშორისო პრაქტიკიდან. აქ მნიშვნელოვანია, სწორედ, "რა მუშაობს" პრაქტიკის გათვალისწინება ადგილობრივ კონტექსტში, რაც სწორი ნაბიჯების ეტაპობრივად დაგეგმვის შესაძლებლობას გაზრდის.

სოციალური მომსახურების პრაქტიკოსებისა და თეორეტიკოსების შეხედულებები, ძირითადად, შეთანხმებულია. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საჭიროებად ორივეს მიერ აღქმულია მშობლებისთვის ისეთი გამაძლიერებელი მომსახურების მიწოდება, რომელიც დაეხმარება ოჯახებს მშობლის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ზრუნვა ოჯახების დასაქმებასა და ეკონომიურ გაძლიერებაზე. ამასთანავე, აღინიშნა, რომ ხშირად ოჯახები გაზარდამცემულნი არიან და უარს ამბობენ დასაქმებაზე, რადგანაც ეშინიათ, რომ მოეხსენებათ დახმარება. აქ უფრო მეტად ფსიქოლოგიური შიშია, ვიდრე რეალური და, კიდევ უფრო მეტად, ცნობიერების პრობლემა დგას. ამიტომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ისეთი ტიპის დახმარებებზე აიღოს ორიენტაცია, რომლებიც ხელს შეუწყობს ოჯახების გააქტიურებას, მათი ეკონომიური შესაძლებლობების გაზრდას და ცნობიერების შეცვლას. პრაქტიკოსები და თეორეტიკოსები იზიარებენ, რომ რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების გამოვლენის საქმეში ყველაზე ნაკლები ეფექტიანობით სკოლა გამოირჩევა. ასევე, სხვა აქტორებთან შედარებით ბავშვთა დაცვის კუთხით სამართალდამცავების მონაწილეობაც არაა თანაბარი.

საინტერესოა, რომ ბენეფიციარები, მათი მშობლები და პრაქტიკოსები ეთანხმებიან ერთმანეთს, რომ ოჯახებს სჭირდებათ დასაქმება. ამასთანავე, იზიარებენ შეხედულებას, რომ აუცილებელია ოჯახების ცნობიერების ამაღლება ძალადობის საკითხებსა და ბავშვის აღზრდის მეთოდებთან დაკავშირებით. ასევე, თანხმდებიან, რომ რეინტეგრაციის შემწეობა არაა საკმარისი და უფრო კარგ სამსახურს გაუწევნ ოჯახებს გაძლიერების კუთხით, თუ ეს დახმარება გაუთანაბრდება მინდობითი აღზრდის მომსახურებისთვის გადახდილ თანხას. ამასთან, არსებობს თანხმობა იმაზეც, რომ სახელმწიფო დახმარება მორგებული უნდა იყოს ბენეფიციარის საჭიროებებზე. უნდა დაწესდეს გარკვეული სახელმწიფო შეღავათები მართხელა და მრავალშვილიანი მშობლებისთვის.

საინტერესოა, რომ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისა და სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების მიერ საჭიროებების აღქმის თვალსაზრისით მხოლოდ მცირედი განსხვავებაა. მათ უნდათ მშობლებთან ერთად ცხოვრება და, ამასთან, უნდათ, რომ სახელმწიფო ზრუნავდეს მათი ოჯახების გაძლიერებაზე, რაც გულისხმობს დასაქმებას, პროფესიულ მომზადებას, მშობლების ცნობიერების ამაღლებას აღზრდის საკითხებში და ა.შ. ბავშვებს ცალსახად უნდათ ოჯახურ გარემოში ცხოვრება, იმათაც კი, ვისაც არავინ ჰყავს, უნდათ, რომ სახელმწიფო ზრუნვა მაქსიმალურად ოჯახური ტიპის გარემოში მიმდინარეობდეს. ამასთან, საინტერესოა, რომ კოალიციასთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს წევრები უფრო მკაცრები არიან სახელმწიფოს მიმართ და სახელმწიფოს მიიჩნევენ მთავარ პასუხისმგებელ ორგანოდ ბავშვზე ზრუნვის საკითხში.

საინტერესოა, რომ მშობლები ნაკლებად ხედავენ მათთვის აღზრდის ეფექტიანი მეთოდების სწავლებისა და ოჯახის მართვის საკითხებში დახმარების საჭიროებას. მათი ძირითადი სურვილია, რომ სახელმწიფომ გაზარდოს მათი ეკონომიკური დახმარება. ასევე, შეშფოთებულები არიან, რომ ხშირ შემთხვევაში არ რთავენ სიღარიბის პროგრამაში ოჯახების შეფასების არაადეკვატური კრიტერიუმების გამო და არის შემთხვევები, როცა მართლაც ლატაკ ოჯახებს სახელმწიფო უხსნის დახმარებას.

ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ახალგაზრდებთან მუშაობა

ინტერვიუების ანალიზი

ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ახალგაზრდებს ძალიან ბევრი საჭიროება აქვთ (მ. მაღლაფერიძე), მათ, "ფაქტობრივად, არაფერი აქვთ" (ი. სარჯველაძე, ინტერვიუ). უფრო მეტიც, დასაქმების პირობებშიც კი (მაგ. 400-ლარიანი სამსახური), მათ გაუჭირდებათ ელემენტარული ყოფითი პირობების შექმნა. ამდენად, სახელმწიფოს ამ მიმართულებით ძალიან ბევრი აქვს გასაკეთებელი (ი. სარჯველაძე,

ინტერვიუ). უმრავლესობას საცხოვრებელიც კი არა აქვს და "ფაქტობრივად, სახელმწიფო ვტოვებთ ჩვენს ბავშვებს ქუჩაში" (ე. დგებუაძე, ინტერვიუ). „18 წლის ბავშვი კი არა 38 წლის კაცი, რომ გაუშვა ქუჩაში ისიც სასოწარკვეთაში ჩავარდდება. რა გზას დაადგება არავინ იცის“ (ზ. ვარაზი, ინტერვიუ). „გარკვეულ ასაკამდე "სახელმწიფომ ეს ბავშვები ფეხზე უნდა დააყენოს" (ე. დგებუაძე, ინტერვიუ) და მათი დახმარება უნდა იყოს "ერთი მთლიანი ჯაჭვის ნაწილი, არ შეიძლება ეს იყოს ცალკე, არ არის სწორი, რომ მიჰყავთ რაღაც ასაკამდე" და მერე უცბად "თავის ანაბარა" ტოვებენ (ლ. ზარდალაშვილი, ინტერვიუ), "სკოლას ამთავრებენ ძალიან პატარები იმისათვის, რომ საკუთარ თავს უპატრონონ" (ე. დგებუაძე, ინტერვიუ). უფრო მეტიც, სახალხო დამცველის აპარატის ბავშვთა უფლებათა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელის აზრით, "ჩვენთან ამ ბავშვებს სისტემა საერთოდ ვერ ხედავს" (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ).

უფრო ოპტიმისტურია სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის დეპარტამენტის უფროსი, რომელიც, ასევე, აღნიშნავს, რომ ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ახალგაზრდებს დღეს, მართლაც, ბევრი საჭიროება აქვთ, რადგანაც მათ მძიმე ინსტიტუციური წარსული აქვთ. თუმცა, მისი აზრით, "რეფორმის შემდგომ ბავშვებს ასეთი სირთულეები აღარ ექნებათ". ამის მიუხედავად, მისი აზრით, საჭიროა 2-3 წელი გაგრძელდეს ამ ბავშვებთან რაიმე სახით კონტაქტი, თანამშრომლობა, თუნდაც ადვოკატობის თვალსაზრისით. საჭიროა ამ ბავშვებისთვის არსებობდეს კარგად გაწერილი მონიტორინგის ინდივიდუალური გეგმა. ზოგ მათგანს შესაძლოა, სჭირდებოდეს საცხოვრისის პრობლემის მოგვარება, ზოგს - პროფესიული გადამზადება, განათლება, დასაქმება, ბინის ქირის გადახდა და ა.შ. რაიმე ტიპის, მათ შორის ფულადი, დახმარება. საჭიროა ზრუნვიდან გამოსულ ახალგაზრდებს სახელმწიფო დაეხმაროს ადაპტაციაში და მათთვის უზრუნველყოს გარკვეული სოციალური ბენეფიტები, თუმცა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება უნდა დაიწყოს გაცილებით უფრო ადრე, სანამ ახალგაზრდა დატოვებს სახელმწიფო ზრუნვას (მ. წერეთელი, ინტერვიუ). ამ მიმართულებით სოციალური მომსახურების სააგენტომ მუშაობა უკვე დაიწყო.

აღამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორიც ეთანხმება გამოთქმულ აზრს, რომ ბავშვების საჭიროებების გამოვლენა 18 წლამდე უნდა მოხდეს. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია განათლების როლი. სახელმწიფომ "ბავშვებს უნდა ასწავლოს „თევზის დაჭერა“. კერძოდ, მნიშვნელოვანია პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე აქცენტის გაკეთება. თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობის პირების შემთხვევაში სახელმწიფო ზრუნვა კვლავ წამყვანი უნდა იყოს (მ. მესხი, ინტერვიუ).

ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლის მიხედვით, 18 წლის ზემოთ სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისთვის დაწესებულია შეღავათები (სასწავლო გადასახადის 50%) მათი სტუდენტად გახდომის შემთხვევაში. ასევე, გათვალისწინებულია სოციალური საცხოვრებელი მათთვის. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მომსახურება ყველა ახალგაზრდის საჭიროებას ვერ პასუხობს. მისი აზრით, სწორედ ზრუნვის სისტემიდან გასული პირებისთვის უნდა იყოს სოციალური საცხოვრისი, სადაც სოციალური მუშაკები ცდილობენ მათ გაძლიერებას და მეტი შანსია, რომ შემდგომ ეს ადგილები გათავისუფლდეს. სახელმწიფო უნდა პრიორიტეტად აყენებდეს ამ ახალგაზრდების პრობლემების ადვოკატობას და ცდილობდეს მათ დასაქმებას. თუმცა, ამჟამად მხოლოდ კომპიუტერისა და ინგლისურის კურსები და მერიის მცირე ბიზნესის წახალისების პროგრამა მოქმედებს, რომელსაც აფინანსებს ადგილობრივი მთავრობა (გ. მამრიკიშვილი, ინტერვიუ).

საპატრიარქოს სოციალური საკითხების დეპარტამენტის წარმომადგენლის აზრით, მნიშვნელოვანია, ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდებისთვის არსებობდეს საცხოვრისი, სადაც ისინი იცხოვრებენ, მიიღებენ პროფესიულ განათლებას და მომზადდებიან დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ამ მიმართულებით საპატრიარქო ჩართულია და გეგმავს მუშაობის გააქტიურებას. „ეკლესია ფიქრობს, რომ ყველაზე უკეთესი ვარიანტი იქნება, რომ მომზადნენ ეს ახალგაზრდები და სოფელში დასახლდნენ კომლებად, გააკეთონ ფერმერული მეურნეობა, საქონელი გაზარდონ, მოსავალი მოიწიონ“ (ზ. ვარაზი, ინტერვიუ).

ამ ბავშვების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, პირველ რიგში, სახელმწიფო პოლიტიკის არსებობაა საჭირო. ამისათვის ზუსტად უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს სტრატეგია ზრუნვიდან გამოსულ ახალგაზრდებთან მიმართებით და გაიწეროს ფისკალური გეგმა (მ. მაღლაფერიძე, ი. სარჯველაძე, ინტერვიუ). არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ, შესთავაზონ მომსახურებები ამ ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილების მიმართულებით (მ. მაღლაფერიძე, ი. სარჯველაძე, ინტერვიუ), ასევე,

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ჩართულობა (ი. სარჯველაძე, გ. მამრიკიშვილი, ინტერვიუ). თუმცა, სანამ ზრუნვიდან გასულ ახალგაზრდებთან მუშაობა არ გამხდარა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი, მანამ არც დონორების დაფინანსება არსებობს და, შესაბამისად, არასამთავრობოც ამ კუთხით მუშაობისაგან თავს იკავებენ. ასევე, კრიტიკულია ჩარევის დაწყება 18 წლამდე, სანამ ბავშვი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშაა (მ. მაღლაფერიძე, მ. ნერეთელი, მ. მესხი, ინტერვიუ). ამასთან, სასურველია, რომ მულტიდისციპლინური გუნდი მუშაობდეს ამ მიმართულებით (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ). საჭიროა სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარებაც. მაგალითად, ესპანეთში სახელმწიფო ასეთ ბავშვებს უზრუნველყოფს ბინითა და განათლებით (მ. გედევანიშვილი, მ. მაღლაფერიძე, ინტერვიუ).

დანაშაულის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელის აზრით, მათი უწყების სამიზნე უნდა გახდნენ სწორედ ზრუნვის სისტემიდან გამოსული ბავშვები. მისი სიტყვებით, "ამ მხრივ ჩვენ კონტაქტები გვაქვს დამყარებული მსგავს ორგანიზაციებთან. ოღონდ არ ვიცით, ვის რას გავუკეთებთ, ალბათ, სწავლის გაგრძელებაში დავეხმარებით, პროფესიულ გადამზადებას შევთავაზებთ. სპორტული ნიჭი თუ აღმოაჩნდა, ამ მხრივ განვითარებაში დავეხმარებით, ან სპორტში ჩავრთავთ, როგორც გამაჯანსაღებელ აქტივობაში. ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაში, იურიდიული დოკუმენტების მონესრიგებაში დავეხმარებით" (ჯ. კვინიკაძე, ინტერვიუ).

ექსპერტები ხაზგასმით მიუთითებენ უწყებათაშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე მზრუნველობის სისტემიდან გამოსული ბავშვებისთვის მომსახურებების განვითარებაში (ჯ. კვინიკაძე, ნ. შატბერაშვილი, ინტერვიუ). ნ. შატბერაშვილი აღნიშნავს: "სახელმწიფოს როლი წამყვანია. მასში ჩართული და კონსოლიდირებული უნდა იყოს საერთაშორისო დონორების, არასამთავრობო და კომერციული სექტორის რესურსები ახალგაზრდების ეფექტიანად მომზადების მიზნით". ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობა. აღინიშნა ისიც, რომ ბავშვის სამზრუნველო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში სოციალური მუშაკის მხრიდან ბავშვის ოჯახთან უნდა ჩატარდეს გაძლიერებული მუშაობა, რათა მშობელსა და ბავშვს შორის დადებითი ემოციური მიჯაჭვულობა შენარჩუნდეს (ნ. შატბერაშვილი, ინტერვიუ). ასევე, კრიტიკულია ბავშვის თვითშეგნებაზე მუშაობა, მათი ცოდნის, "ცნობიერების დონის გაზრდა", სამოქალაქო თვითშეგნების გაზრდა (ჯ. კვინიკაძე, ინტერვიუ). ასევე, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს მონაცემთა ბაზა, რომელიც ზუსტად აღრიცხავს სისტემიდან გამოსულ ბავშვებს, იმას, თუ რა მომსახურებები, რა განათლება მიიღო და ა.შ. ამ მონაცემს თან უნდა ერთვოდეს, ასევე, თვითონ მზრუნველობის ორგანოს თანამშრომლის რეკომენდაცია ახალგაზრდის შესახებ, მისი საჭიროებები, რათა იმ ორგანიზაციებმა გაითვალისწინონ, რომელთაც ეხებათ მათთან მუშაობა. ამრიგად, ამ მონაცემთა კოორდინირებული მართვა სხვადასხვა უწყებების მიერ ძალიან მნიშვნელოვანია. საპატრიარქოს სოციალური სამსახურის წარმომადგენელი აღიარებს სხვადასხვა აქტორს შორის თანამშრომლობის აუცილებლობას და საპატრიარქოს მონაწილეობას მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამ პროცესებში. „ნუ შევხედათ ისე ეკლესიას, რომ სოციალურ ცვლილებებს ეწინააღმდეგებოდეს. ჩვენც უნდა დაგვიძახონ, მოვალთ, ჩვენ ჩვენს აზრს ვიტყვით, სხვები თავისას. ჩვენ სოციალური მომსახურების 2000 წლოვანი გამოცდილება გვაქვს... 18 წელს გადაცილებულ ბავშვთა საკითხი კი სერიოზული პრობლემაა და ყველანი უნდა ჩავერთოთ“ (ზ. ვარაზი, ინტერვიუ).

ამრიგად, უმრავლესობის აზრით, სახელმწიფოს (ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ადგილობრივი მთავრობა და სხვა) ვალდებულება უნდა იყოს სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ახალგაზრდებზე ზრუნვა და მათი მეთვალყურეობა სხვადასხვა გზით, როგორებიცაა: მათთვის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების (ე.წ. სიცოცხლისათვის საჭირო უნარ-ჩვევები) გამომუშავება, პროფესიული და უმაღლესი განათლებით უზრუნველყოფა, დასაქმების ხელშეწყობა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა (სოციალური საცხოვრისი, ბინის ქირა და ა.შ.), ფულადი დახმარება, ფსიქო-სოციალური და სხვა ტიპის კონსულტირება, რეგულარული მხარდაჭერა და ზედამხედველობა.

ფოკუს ჯგუფების ანალიზი

მომსახურების მიმწოდებლები, კოორდინატორები და პრაქტიკოსები

კოალიციის (საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის) **წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების** პროგრამის ხელმძღვანელების ფოკუს ჯგუფის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, **კოალიციას აქვს შემუშავებული კონცეფცია ზრუნვიდან გასული ახალგაზრდების საკითხზე**. კონცეფცია მოიცავს შემდეგ მითითებებს სახელმწიფოსთვის:

- სახელმწიფომ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულების აღსრულების მექანიზმები;
- სახელმწიფომ განავითაროს ზრუნვის შუალედური, ნახევრად დამოუკიდებელი და დამოუკიდებელი ცხოვრების მრავალფეროვანი პროგრამები/მომსახურებები;
- სახელმწიფო აღნიშნული საკითხების გადაჭრისას უნდა დაეყრდნოს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არსებულ გამოცდილებას;
- მომსახურებაში ყოფნის პერიოდშივე დაიწყოს ბავშვების მომზადება;
- 18 წლის შემდეგაც გააგრძელოს ზრუნვა სისტემიდან გასულ ბავშვებზე;
- დაწესდეს საგადასახადო შეღავათები.

გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებს აქვთ ვალდებულება, მოამზადონ ბავშვები დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, მაგრამ უმჯობესია არსებობდეს ცალკე პროგრამა, რომელიც უშუალოდ იზრუნებს ამ საკითხზე. ამის საფუძველი არის ისიც, რომ აღმზრდელებს არ გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია, რომ სწორად დაგეგმონ ბავშვის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება.

სოციალური მომსახურების სააგენტოს პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ზრუნვის სისტემიდან გამსვლელ და გამოსულ ახალგაზრდებს ძალიან ბევრი პრობლემა აქვთ (განათლება, დასაქმება, საცხოვრისი, ფსიქო-ემოციური მხარდაჭერა და სხვა), რომელთა მოსაგვარებლადაც "სახელმწიფო ამ ეტაპზე არაფერს აკეთებს". განსაკუთრებული პრობლემების წინაშე დგანან პირადობის მოწმობის არმქონე ახალგაზრდები (თუმცა, შესაძლოა, მათი რიცხვი დიდი არ არის), რომლებიც გადიან ზრუნვის სისტემიდან და, რიგი პრობლემების გამო, პირადობის მოწმობის აღებას ვერ ახერხებენ. ასევე, აღსანიშნავია, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელებს აქვთ რიგი მომსახურებები ზრუნვის სისტემიდან გასვლისთვის მოსამზადებლად (ფსიქოლოგის მომსახურება, პროფესიული განათლების მიღებაში მხარდაჭერა და ა.შ.), მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვები კი ამ მომსახურებებით ვერ სარგებლობენ. თუმცა, მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელებისთვისაც არ არის საკმარისი ის მომსახურებები, რომლებიც ამ ეტაპზე მათთვის ხელმისაწვდომია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს კი, რომლებიც ზრუნვის სისტემიდან გადიან, საერთოდ არ აქვთ ხელმისაწვდომი მომსახურებები და იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ვერ ბრუნდებიან, მათთვის ერთადერთი გამოსავალი სათემო ორგანიზაციაში გადასვლაა.

არასამთავრობო სექტორში მომუშავე პრაქტიკოსებიც (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა პროფესიონალები) ზუსტად იზიარებენ სოციალური მომსახურების სააგენტოს პრაქტიკოსების მოსაზრებას, რომ ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ახალგაზრდებთან "სახელმწიფო, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებს". აღინიშნა, რომ არასამთავრობო სექტორიდან მხოლოდ ორი ორგანიზაცია, საქართველოს „ეს-ო-ეს“ ბავშვთა სოფელი და ასოციაცია „ჩვენი სახლი - საქართველო“ ფონდთან "ნატახტარი" თანამშრომლობით, მუშაობს ამ მიმართულებით. ასოციაცია „ჩვენი სახლი - საქართველო“ პროექტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ის მხოლოდ მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელებს სთავაზობს ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას, პროფესიული ორიენტაციის კუთხით დახმარებასა და სხვა მომსახურებებს, ხოლო, სამწუხაროდ, მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები ამ მომსახურებებს ვერ იღებენ. თუმცა, ზემოაღნიშნული პროექტის მიუხედავად, მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელების უამრავი საჭიროება მაინც უპასუხოდ რჩება. სწორედ ამიტომ, მონაწილეთა თქმით, "რამდენიმე მცირე საოჯახო ტიპის სახლმა დაუშვა გამონაკლისი და 18 წლის ზემოთაც ბავშვს თავისთან აცხოვრებს იმის გამო, რომ მას სხვაგან წასასვლელი არ აქვს".

აღინიშნა, რომ განსაკუთრებით პრობლემატურია ზრუნვის სისტემიდან გამოსული ახალგაზრდების დასაქმება, რადგან, მონაწილეთა აზრით, "საზოგადოებაში არის სტიგმა, რომ ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ბავშვებს ვერ ენდობიან და არ უნდათ მათი სამსახურში მიღება". ასევე, საჯარო სკოლა არ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს და არ უზრუნველყოფს მოსწავლეებს "რეალური განათლებით", რაც დამოუკიდებელი ცხოვრების ეტაპზე გადასასვლელად დაეხმარებოდა ბავშვებს. **საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური და მასთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრი** არ ფლობს დეტალურ ინფორმაციას ზრუნვის სისტემიდან გამოსული ბავშვების პრობლემების შესახებ, თუმცა, ზოგადად, იმავე აზრს გამოთქვამენ, რომ "ასეთი ადეკვატური მომსახურებები, როგორებიცაა დასაქმება, სოციალიზაცია, განათლება, საცხოვრისი და სხვა, არ არსებობს". ასევე, გამოითქვა აზრი, რომ სკოლის ადმინისტრაცია არ უნდა აძალებდეს დაბალი მოსწრების მქონე მოსწავლეებს 9 კლასის შემდეგ გავიდნენ სკოლიდან, რადგან ამ შემთხვევაში მათ მომავალი კარიერის უზრუნველსაყოფად უფრო ნაკლები შანსები რჩებათ. ერთადერთი შანსია პროფესიულ კოლეჯში სწავლის გაგრძელება, რაც ხშირ შემთხვევაში "ძალიან მოკლევადიანია" და არ არის კურსდამთავრებულის დასაქმების გარანტი. მათი აზრით, მხოლოდ "საბაზისო განათლების ამარა" დარჩენილ ახალგაზრდებს "არც მეტი განათლების მიღების შესაძლებლობა აქვთ და, ძირითადად, ქუჩაში ატარებენ მთელ დროს".

სამართლის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსები: სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა პროფესიონალებიც აბსოლუტურად იზიარებენ ზემოთ გამოთქმულ აზრს, რომ 18 წელს ზემოთ ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდებისთვის, ფაქტობრივად, არ არსებობს მომსახურებები, რომლებიც მათ სჭირდებათ (საცხოვრისი, ფსიქო-ემოციური მხარდაჭერა, განათლება, დასაქმება და სხვა).

გარდა ამისა, ერთ-ერთი მთავარი რისკი, რომელიც ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდის წინაშე დგას, არის დანაშაულის ჩადენა, რის გამოც დანაშაულის პრევენციის ცენტრი მეორე დონის პრევენციის ეტაპზე მუშაობს ამ ახალგაზრდებთან. თუმცა, მონაწილეების აზრით, დანაშაულის პრევენციის ცენტრი მხოლოდ მენტორულ მხარდაჭერას სთავაზობს ახალგაზრდებს, მათ კი რისკების ადეკვატურად პრევენციისთვის გაცილებით უფრო მრავალფეროვანი მომსახურებები სჭირდებათ.

მომსახურების მიმღებები - ბენეფიციარები

ეროვნულ კოალიციასთან არსებულ ახალგაზრდული საბჭოს წევრების აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ზრუნვაში ყოფნის პერიოდში ხდებოდეს მოზარდების (15 წლიდან) მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და მათი პროფესიული ორიენტაცია. მათი აზრით, მცირე საოჯახო ტიპის სახლში მყოფი ბავშვები ეჩვევიან კომფორტს და გასვლის შემდეგ სრულიად მოუზმადებლები რჩებიან. უფრო მეტიც, ბევრი მათგანი ქუჩას აკითხავს და დანაშაულის ჩადენის რისკის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს. მათი აზრით, სოციალური მუშაკები და აღმზრდელები აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ მოზარდებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების სწავლებაში, ასევე, მათი აზრით ძალიან მნიშვნელოვანია თანატოლთა მხარდაჭერის პროგრამების განვითარება.

მინდობით აღზრდაში მყოფი და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვების აზრით, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება რთულია, მას შემდეგ, რაც ჩაკეტილ სისტემაში ცხოვრობ. ფიქრობენ, რომ 18 წლის შემდეგ მათ დასჭირდებათ სახელმწიფოს დახმარება დასაქმებაში, საცხოვრებლის მოძიებაში. უმრავლესობას აქვს სურვილი, რომ დაბრუნდეს ბიოლოგიურ მშობლებთან, ხოლო ნაწილი კი ამჯობინებს დამოუკიდებლობას ბიოლოგიური მშობლებისაგან, სწავლას და მუშაობას, მათ არ უნდათ, "დრო დაკარგონ" ბიოლოგიურ მშობელთან დაბრუნებით. ასევე, გამოიკვეთა უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებითაც, რომ ადრე მაგალითად ერთ-ერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბავშვების მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის იწყებოდა 14 წლიდან, ხოლო ახლა ბავშვები ცალკე მხოლოდ 18 წლის მერე გადადიან. ბავშვები ამას უკავშირებენ ფინანსურ საკითხს, "რადგან, რაც უფრო მალე დაიწყებენ მომზადებას დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, მით უფრო ძვირია ეს მომსახურება". აღინიშნა ისიც (განსაკუთრებით მინდობით ზრუნვაში მყოფი ბავშვების მხრიდან), რომ სახელმწიფო მათთვის ამ ეტაპზე "არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბავშვებმა 18 წლის შემდეგ დამოუკიდებლად შეძლონ ცხოვრება". მეორე მხრივ, აღნიშნეს, რომ ის, რასაც სწავლობენ სკოლაში, მათი აზრით, მნიშვნელოვანია, მაგრამ "ბავშვს თვითონაც უნდა ჰქონდეს უნარები, რომლებიც დაეხმარება დამოუკიდებლად ცხოვრებაში".

რეინტეგრირებული ბავშვები, ასევე, ფიქრობენ, რომ 18 წლის შემდეგ ახალგაზრდას კიდევ

სჭირდება სახელმწიფოსგან დახმარება, კერძოდ, სამსახურის შოვნაში, პროფესიული განათლების მიღებაში. **რეინტეგრირებული ბავშვების მშობლების** აზრით, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები სხვებთან შედარებით ყველანაირად შეზღუდულები არიან. მათ არ აქვთ კარგი განათლების მიღებისა და პროფესიის დაუფლების საშუალება. ამიტომ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს მათ, რაც შეიძლება უკეთესი განათლება მისცეს. სახელმწიფომ უნდა უპასუხოს თითოეული ბავშვის ინიციტივულ საჭიროებებს. ასევე, სახელმწიფო ვალდებულია, ყველა ასეთი ბავშვი "დააბინაოს", ანუ უზრუნველყოს საცხოვრებელით. სახელმწიფოს მეთვალყურეობის გარეშე "ძალიან ადვილია ბავშვების ცუდ გზაზე დაყენება". **ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვები** საუბრობენ იმ საფრთხეებზე, რომლებიც შეიძლება მათ შეხვდეთ ქუჩაში. ეს საფრთხეებია: გახდეს ძალადობის, მათ შორის სექსუალურის, მსხვერპლი, წამალდამოკიდებული (ნებოს სუნთქვა და სხვ.), ჩაიდინოს დანაშაული და ა.შ.

დასკვნა

შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ხედავენ სახელმწიფოს მიერ სწორი სტრატეგიის განსაზღვრის საჭიროებას იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც 18 წლის შესრულების შემდეგ ტოვებენ სახელმწიფო ზრუნვას. ისინი აღიარებენ, რომ დღესდღეობით არ არსებობს ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების პოლიტიკა და ზრუნვიდან გასვლის ეტაპზე მყოფი და უკვე გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამები/მომსახურებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს პუნქტს (3.6), დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებისა და სოციალური ინტეგრაციის შესახებ, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ ამ მიმართულებით გააქტიურდეს როგორც სახელმწიფო, ასევე, არასამთავრობო სექტორი. ამ კუთხით აღსანიშნავია დანაშაულის პრევენციის ცენტრის სამომავლო გეგმები და ინიციატივები, რომლებიც კონცენტრირებულია ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ბავშვებზე და ამ მიმართულებით თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან. იკვეთება უწყებათაშორისი თანამშრომლობის აუცილებლობაც, რომელიც განსაზღვრელი იქნება ამ კუთხით წარმატების მისაღწევად. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის როლს მაინც და მაინც ვერ აცნობიერებენ მთავარი აქტორები, ხოლო არასამთავრობო სექტორისგან კი არის მოლოდინი, რომ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო შეიმუშავებს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულების აღსრულების მექანიზმებს, არასამთავრობო სექტორი იზრუნებს ზრუნვის სისტემიდან გასული ბავშვებისთვის მრავალფეროვანი მომსახურების/პროგრამების განვითარებაზე (ე.წ. ზრუნვის შუალედური, ნახევრად დამოუკიდებელი და დამოუკიდებელი ცხოვრების მრავალფეროვანი პროგრამები/მომსახურებები). საპატრიარქოს სოციალური სამსახური მზადაა, აქტიურად ჩაერთოს საკითხის მოგვარებაში. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო, აღნიშნული საკითხების გადაჭრისას, უნდა დაეყრდნოს ეროვნულ და საერთაშორისო გამოცდილებას. საქართველოში არსებული გამოცდილება, მართალია, ძალიან მწირია, მაგრამ პრაქტიკოსები დადებითად აფასებენ ასოციაციის „ჩვენი სახლი - საქართველო“ და ფონდ „ნატახტარის“, ასევე, „ეს-ო-ეს“, ბავშვთა სოფლის გამოცდილებას და მიღწევებს. ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური ვერ ხედავს თავის როლს ამ კუთხით. თუმცა, სკოლის როლი უმნიშვნელოვანესია ბავშვისთვის ისეთი განათლების მიცემაში, რომელიც მას მომავალში პროფესიული წინსვლის შესაძლებლობას მისცემს. ასევე, საგულისხმოა, რომ მანდატურის სამსახურს ჰყავს პროფესიული ორიენტაციის სპეციალისტები, რომელთა პირდაპირი დანიშნულებაა პროფესიული კონსულტირება მაღალი კლასის მოსწავლეებისთვის. თუმცა სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვები არ აღიქმებიან საჯარო სკოლის ნაწილად და, გამოკითხული უმრავლესობის აზრით, მათზე ზრუნვა ცალკე სტრუქტურებს, სამსახურებს უნდა დაეკისროს. ასევე, საგულისხმოა, რომ მანდატურის სამსახურის პრაქტიკოსები ნაკლებად პოზიტიურად უყურებენ პროფესიულ კოლეჯებს. აღსანიშნავია, რომ არც თეორეტიკოსებს და არც პრაქტიკოსებს არ დაუკონკრეტებიათ, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევაში რა ტიპის მომსახურებები უნდა განვითარდეს და, საერთოდ, რა სტრატეგია უნდა განავითაროს სახელმწიფომ.

ამრიგად, არსებითია, რომ სახელმწიფომ ბავშვის სისტემაში ყოფნის ეტაპზე, ადრევე დაიწყო მუშაობა მათთან დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განათლების და, ასევე, პროფესიული ინტერესების გაღვივებაზე. აღნიშნულია, რომ ამ მხრივ ეფექტიანი იქნება მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობა (სოციალური მუშაკი, აღმზრდელი, ფსიქოლოგი და ა.შ.). თავად

ბენეფიციარებიც ცალსახად აღნიშნავენ, რომ მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას, პროფესიულ განათლებას და ფიქრობენ, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მათი შემდგომი ადაპტაცია გარემოსთან (საცხოვრისი, დასაქმება, ფულადი დახმარება და სხვა სოციალური ბენეფიტები).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

ინტერვიუების ანალიზი

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს უამრავი საჭიროება აქვთ. პირველ რიგში, ეს არის ბავშვების ნაკლები ინფორმირებულობა იმის შესახებ, თუ "რა არის კანონდარღვევა, რა შეიძლება ჩაითვალოს ქურდობად, რა არის ხულიგნობა" და ა.შ. ამ მიზნით ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა კრიტიკულია. ასევე, საჭიროა ბავშვების ქურდული მენტალიტეტის შეცვლა (ი. სარჯველაძე, მ. მესხი, ინტერვიუ), სწორი მსოფლმხედველობის, სტრატეგიული აზროვნების ჩამოყალიბება (ლ. ზარდალაშვილი, ინტერვიუ), სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ). კარგი იქნება, თუ კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებთან ჩატარდება კვლევა, რომელიც დაადგენს დანაშაულის ჩადენის მიზეზებს. ეს საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ძირითადი რისკების შესახებ, რომლებიც უბიძგებს ახალგაზრდებს დანაშაულის ჩადენისაკენ. შემდეგ საჭიროა ამ რისკებზე მუშაობა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მომსახურების განვითარება დანაშაულის პრევენციის მიზნით (ი. სარჯველაძე, მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ). ასევე, მნიშვნელოვანია საგამომცემლო საქმიანობაც, რომელიც მოიკოჭლებს. სისტემურად და თანამიმდევრულად უნდა იბეჭდებოდეს სტატიები ამ მიმართულებით (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ).

საინტერესოა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გაკეთებული აქვს სტატისტიკური ანალიზი, თუ რა არის ყველაზე გავრცელებული დანაშაული. ამ სტატისტიკის მიხედვით, "იშვიათია ისეთი დანაშაულებები, რომლებიც სცილდება მინიმალური მატერიალური დაკმაყოფილების სურვილს". ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ, ერთი მხრივ, სოციალური ფონი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამომწვევა, რომელიც განაპირობებს დანაშაულს, ბავშვებს არ აქვთ მინიმალური სარჩო და იძულებულები არიან იქურდონ, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილი აქვს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, ძირითადად, ფიქსირდება ადვილად ხელმისაწვდომი ნარკოტიკი, მაგ. მარიხუანა, რომელიც კუსტარულად მოჰყავთ რეგიონებში (მ. ფერაძე, ინტერვიუ). ამ მხრივ, ბავშვის ცნობიერების ამაღლება შეიძლება, ჩაითვალოს მნიშვნელოვან ჩარევად. ამიტომ სკოლის, საგანმანათლებლო სექტორის გააქტიურება კრიტიკულია (მ. ფერაძე, მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ). თუმცა პედაგოგს, მანდატურს, მშობლებსაც სჭირდებათ გარკვეული ცოდნა, რომ შეძლონ იმის იდენტიფიკაცია, არის თუ არა ბავშვი მომხმარებელი, ან თუ ჩადის რაიმე სარისკო ქცევას, რათა დროულად მოხდეს ჩარევა, "სანამ ბავშვი არ დამძიმდება" (მ. ფერაძე). მნიშვნელოვანია მშობლების გაძლიერება იმ კუთხით, რომ აღზრდის სწორი მეთოდებით გაართვან თავი ბავშვის რთულ ქცევებს (მ. გედევანიშვილი). განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი, ასევე, აღნიშნავს, რომ დანაშაულს ხელს უწყობს ის ოჯახური გარემო, სადაც იზრდება ბავშვი, ფაქტორები, როგორებიცაა: ოჯახის სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემები, მშობლების საპატიმრო დაწესებულებებში ყოფნა, მშობლების წამალდამოკიდებულება და ალკოჰოლიზმი (ე. დგებუაძე, ინტერვიუ). გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი, ასევე, ხაზს უსვამს, რომ დანაშაულის რისკფაქტორებზე საუბრისას "აუცილებელია, ბავშვი მოიაზრებოდეს ოჯახთან, სკოლასთან, სოციალურ გარემოსთან, მეგობრების წრესთან მიმართებით". ამიტომ პრევენციის მექანიზმების განვითარების დროს ჰოლისტური მულტიდისციპლინური მიდგომა უნდა გამოვიყენოთ (თ. კუჭავა, ინტერვიუ).

ბავშვის ოჯახურ გარემოში არსებული სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევაში დიდი როლი უნდა შეასრულოს სოციალურმა სამსახურმა. ნორმალური ოჯახური გარემოს არარსებობის გამო "ბავშვები გადიან ქუჩაში და ჩადიან დანაშაულს". სოციალური სამსახური ვერ ახერხებს ამ პრობლემის მოგვარებას. ძირითადად, რთულ ბავშვებს სამტრედიის #15 სკოლაში გზავნიან, რაც ბუმერანგის ეფექტს იძლევა. ამის მიზეზია ის, რომ "არც განათლების სისტემაში და არც სოციალურ სამსახურში არ არსებობს "დამატებითი სერვისები", რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ბავშვების ოჯახებში შენარჩუნება და მათი ოჯახის გაჯანსაღებაზე ზრუნვა (ე. დგებუაძე, ინტერვიუ).

ნ. ფირაშვილი მიუთითებს, რომ ქვეყანაში სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევის გარეშე

შეუძლებელია, შეიქმნას დანაშაულის დაბალი ფონი. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს 18 წლის ზევით ახალგაზრდების დასაქმების კუთხით, რადგანაც თემებში, სადაც ახალგაზრდების დაუსაქმებელი ჯგუფებია, გავრცელებულია ალკოჰოლიზმი. "ახალგაზრდებში ამხელა ენერგიაა და არ იციან, სად წაიღონ ეს ენერგია" (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ).

სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული დანაშაულის პრევენცია მხოლოდ "ძალიან ზოგადი საქმიანობაა" (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ). შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის პრევენცია უფრო გლობალური და სერიოზული პრობლემაა და ეს უმეტესად სკოლის და, ზოგადად, საზოგადოების საზრუნავია. თუმცა ამის გაცნობიერება მხოლოდ სიტყვიერ დონეზე ხდება. საგანმანათლებლო სისტემა უნდა დაიხვეწოს. ამჟამად სკოლას არ აინტერესებს, რა ხდება სასკოლო დროის შემდეგ. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის თავისუფალი დრო იყოს დაგეგმილი, სტრუქტურირებული და საინტერესო, მას არ უნდა რჩებოდეს ბევრი თავისუფალი დრო და ეს კი სწორედ სკოლამ უნდა უზრუნველყოს. სკოლა უნდა მუშაობდეს პრევენციის საკითხებზე, ზრუნავდეს პროფესიულ ორიენტაციაზე, მუშაობდეს რთული ქცევის ბავშვებთან (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ). მომსახურების ნაკლებობის გამო ბავშვი რჩება ქუჩაში, სადაც ჩადის დანაშაულს. საჭიროა, განვითარდეს სახელმწიფო მომსახურების ახალი მიმართულება, ე. წ. „after care“, ანუ ზრუნვის შემდგომი მომსახურებები, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვებზე ეფექტიან მზრუნველობას, რათა არ მოხდეს აკადემიური ჩამორჩენა და ბავშვებს განუვითარდეთ სოციალური უნარები, არ გაუჩნდეთ დანაშაულის ჩადენის სურვილი. ამ მხრივ უნდა იყოს სახელმწიფოს ნება, "რადგან ვერც ერთი ახალი სახელმწიფო მომსახურება მთავრობის დადგენილების გარეშე ვერ გვექნება" (ნ. ფირაშვილი, ინტერვიუ).

მნიშვნელოვანია ყოფილი მსჯავრდებულების ახალ გარემოსთან ადაპტაცია, პროფესიული გადამზადება და დასაქმება. თუმცა, საზოგადოებაში ყოფილი მსჯავრდებულების მიმართ არსებული სტიგმები და სტერეოტიპები ხელს უშლის მათი დასაქმების პროცესს (ჯ. კვინიკაძე, გ. მამრიკიშვილი, ინტერვიუ). ხშირ შემთხვევაში დამსაქმებელი უარს ამბობს მათ დასაქმებაზე. დასაქმების გარეშე კი შეუძლებელია საზოგადოებასთან რეინტეგრაცია და რესოციალიზაციაზე საუბარი. ასევე, აუცილებელია ყოფილი მსჯავრდებულების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება (ჯ. კვინიკაძე). ასევე, ცალსახაა, რომ აუცილებელია წინასწარ მოხდეს ბავშვის მომზადება გათავისუფლებისათვის (ნ. შატბერაშვილი, ინტერვიუ).

მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა დაწესებულების მაქსიმალურად ისე მოწყობა, (მაგ. კამერაში რამდენი ადგილი უნდა იყოს და ა.შ.), რომ გათვლილი იყოს არასრულწლოვნის ფსიქოლოგიაზე (ლ. ბარდალაშვილი, ინტერვიუ). არასრულწლოვნის ასაკის განსაზღვრაც მნიშვნელოვანია, ანუ რა ასაკისას უნდა დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. მნიშვნელოვანია, რომ თუ არასრულწლოვანი მოხვდება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სისტემა მაქსიმალურად დაეხმაროს მოზარდს, რომ ჩაერთოს სწავლაში, შრომასა და სპორტული აქტივობებში (ლ. ბარდალაშვილი, ინტერვიუ). უფრო მეტიც, ნ. შატბერაშვილის აზრით, "სისტემამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს ბავშვი საპატიმრო სასჯელს". აღნიშნულ მიდგომას იზიარებს საპატრიარქოს სოციალური სამსახურის წარმომადგენელი. ზ. ვარაზის თქმით, „ბავშვის იზოლაციაში მოქცევა, რასაც ციხეში აქვს ადგილი, არ შეიძლება. ეს საშინელი მოქცევაა ბავშვის მიმართ. ბავშვისთვის თავისუფლების აღკვეთა ძალიან დიდი სასჯელია“. მისი აზრით, თუ ბავშვი „სოციალურად საშიშია“, მასთან მუშაობაში უნდა ჩაებას სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, ფსიქოლოგი, პედაგოგი, სასულიერო პირი, რისთვისაც ბავშვის საზოგადოებისგან იზოლაცია არ არის საჭირო. ნ. შატბერაშვილის აზრით სოციალური მუშაკი ან პრობაციის ოფიცერი უნდა მონაწილეობდეს სასამართლო გადაწყვეტილების წინა პროცესში და წარადგინოს არასრულწლოვნის ინტერესები, რათა დაეხმაროს მას სასჯელის აცილებაში. ხოლო, თუ სასჯელი გარდაუვალია, მაშინ აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს არასრულწლოვნის საჭიროებები, ჭეშმარიტი ინტერესები, სურვილები და შესაძლებლობები საპატიმროში მიღებული სარეაბილიტაციო მომსახურების პროცესში. არასრულწლოვანისთვის საპატიმროში სრულწლოვანების დადგომის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას მისი არა მხოლოდ ფიზიოლოგიური ასაკი, არამედ უნდა შეფასდეს მისი ფსიქოლოგიური ასაკი, რათა საპატიმროში გადაყვანის შემთხვევაში არ მოხდეს მისი მდგომარეობის უფრო მეტად დამძიმება (ნ. შატბერაშვილი, ინტერვიუ).

ამ ეტაპზე შეუძლებელია, განისაზღვროს, თუ რამდენად ეფექტიანად ხდება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილება, რამდენადაც ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით

კვლევა არ არის ჩატარებული (ნ. შატერაშვილი, ინტერვიუ). სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის აზრით, მსჯავრდებულების მოპყრობა და ფიზიკური მდგომარეობა ნამდვილად გაუმჯობესებულია ავჭალის მე-11 დაწესებულებაში (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ). ბოლო პერიოდში სისტემა ადრინდელთან შედარებით ძალიან გახსნილია (ნ. შატერაშვილი, ინტერვიუ) და სისტემაში გატარებული რეფორმები ძალიან თვალსაჩინოა. მაგალითად, ი. სარჯველაძის თქმით, ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში 14-დან 18 წლამდე ბავშვები "საკმაოდ კეთილმოწყობილ, კომფორტულ გარემოში" არიან. მათთვის არსებობს ცალკე სასწავლო კორპუსი, სადაც საჯარო სკოლის პედაგოგები ეროვნული გეგმის მიხედვით ასწავლიან. დაწესებულება მთელი დღე ღიაა, გადაადგილება შეუძლიათ ყველგან. პერსონალი არის საკმაოდ კარგად მომზადებული. არის ფსიქო-სოციალური პროგრამები, თერაპია, ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის კონსულტაციები, პროფესიული გადამზადების კურსები. თითოეულ მოზარდთან მუშაობს მულტიდისციპლინური გუნდი. რაც მთავარია, არსებობს "სასჯელის მოხდის ინდივიდუალური მიდგომები". ეს უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულების შიგნით ადაპტაციას და იმ ზოგადი უნარ-ჩვევების შეძენას, რომლებიც ამ ასაკის ბენეფიციარს დაწესებულების გარეთ შეეძლებოდა განეხილათ და, ასევე, შესაძლებელი ხდება განმეორებითი დანაშაულის პრევენციაც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ კვლავ მიმდინარეობს გარკვეული კონსულტაციები საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე, რათა კიდევ დაიხვეწოს კანონმდებლობა და დანაშაულის პრევენციის მექანიზმები არასრულწლოვნების მიმართ. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულების მონიტორინგის შედეგად კვლავ ბევრი ნაკლოვანება გამოიკვეთა აშკარა პროგრესის მიუხედავად (მ. გედევანიშვილი, ნ. ფირაშვილი, ინტერვიუ). მათ შორის არის ინდივიდუალური გეგმების უკეთ განვითარების საჭიროება (ნ. ფირაშვილი, ინტერვიუ). თუმცა, სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საქმე გაცილებით უარესადაა, მაგ. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ბრალდებული არასრულწლოვნები და სრულწლოვნები გლდანში ერთ შენობაში იმყოფებიან. უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელია მათი ფიზიკური დაცობა (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ).

გარდა ამისა, დგება მნიშვნელოვანი პრობლემა, მაგალითად, ბავშვი, რომელსაც ასწავლეს წიგნთან ურთიერთობა, ჩააყენეს გარკვეულ რეჟიმში, თითქოს იმუშავა სოციალურმა მუშაკმა, დაბრუნდა სახლში, სადაც ჰყავს ლოთი მამა და აიძულებს, მოიტანოს სახლში ფული. ის იძულებულია, გავიდეს და მოიპაროს, ჩაიდინოს დანაშაული". ამიტომ აუცილებელია, რომ სასჯელის შემდეგ აქტიურად ჩაერთოს რესოციალიზაციის მომსახურებები. მთავარია, რომ ბავშვი აღარ დაბრუნდეს იმავე გარემოში და, თუ საჭირო გახდება, ასეთ ოჯახს ის უნდა მოვაშოროთ (ნ. ფირაშვილი, ინტერვიუ).

სახელმწიფოს მიერ განისაზღვრა პრევენციის სტრატეგია, რომელიც მოიცავს სამ დონეზე მუშაობას: (ა) პირველადი/ადრეული პრევენცია, რომელიც მიმართულია ყველა არასრულწლოვანზე მთელი ქვეყნის მასშტაბით; ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია მანდატურის სამსახური და უსაფრთხო სკოლის პრინციპები; (ბ) მეორე დონის პრევენცია ორიენტირებულია დანაშაულის ჩადენის ზღვარზე მყოფ არასრულწლოვნებზე და უზრუნველყოფს დანაშაულის გამომწვევი რისკფაქტორების შემცირებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე დონის პრევენციის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია რისკის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების სათანადო იდენტიფიცირებისა და ეფექტიანი რეფერალური მექანიზმის შემუშავება და ბოლოს (გ), მესამე დონის პრევენცია, რომელიც მიზნად განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას, კანონდამრღვევ არასრულწლოვანთა გამოსწორებას, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას ისახავს. შესაბამისად, პრევენციული პროგრამები უნდა იყოს დაყოფილი სამიზნე ჯგუფებისა და პრობლემის განვითარების სტადიის მიხედვით.

სწორედ რესოციალიზაციის მიმართულებით მუშაობს დღეს პრობაციის ეროვნული სააგენტო და დანაშაულის პრევენციის ცენტრი. ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს, რომ პრობაციაში საკმაოდ კარგი პროგრამები და მომსახურებებია (ი. სარჯველაძე, ნ. შატერაშვილი, ინტერვიუ). უფრო მეტიც, არასრულწლოვნების შემთხვევაში, უკვე გარდამავალ ფაზაში, სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვებამდე რამდენიმე თვით ადრე ერთვება პრობაციის სამსახური, რათა წინასწარ შეაფასოს ოჯახი და ეცადოს, იმუშაოს მასთან "მოზარდის დანაშაულისაკენ მაბიძგებელი პრობლემების" დასაძლევად. საგულისხმოა, რომ დანაშაულის პრევენციის ცენტრს აქვს ძალიან კარგი პროგრამები, თუმცა ეს არ არის სავალდებულო ბენეფიციარებისთვის (ი. სარჯველაძე, ინტერვიუ). ასევე, დადებითად აფასებს პრობაციის სამსახურს დანაშაულის პრევენციის

ცენტრის ხელმძღვანელი. ჯ. კვინიკაძის აზრით, პრობაციის ეროვნული სააგენტო "ბევრს აკეთებს, რომ პირობითი სასჯელი იყოს რეაბილიტაციის სახე და არა ფორმალური, როგორც ადრე". დღეს პრობაციის ეროვნულ სააგენტოშიც უამრავი ახალი მომსახურება იკავშება. თვითონ პრობაციის ოფიცრებიც იცვლებიან ნელ-ნელა სოციალური მუშაკებით, "რაც ნიშნავს სამხედრო პირის შეცვლას ფსიქოლოგით. ეს აისახება პრობაციონერებზეც" (ჯ. კვინიკაძე, ინტერვიუ).

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს განრიდებისა და მედიაციის პროგრამა (ჯ. კვინიკაძე, მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ). ამ მხრივ ძალიან პოზიტიური დინამიკა შეინიშნება: 2010 წელს - 2 განრიდებული, 2011 წელს - 83 განრიდებული, 2012 წელს - 130-მდე, 2013 წელს - 330-მდე განრიდებული (ჯ. კვინიკაძე, ინტერვიუ). 2012 წელს 206-დან მხოლოდ 5-მა გაიმეორა დანაშაული (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ). ამჟამად ეს პროგრამა მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდება. ამ მონაცემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების ლიბერალიზაცია მოხდა. ეს ნიშნავს, რომ "პროკურორები უფრო ჰუმანურები გახდნენ, ზეწოლას არ განიცდიან, მაგალითად, იუსტიციის მინისტრისგან", "შეუძლიათ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება" მიიღონ (ჯ. კვინიკაძე, ინტერვიუ). შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელიც დადებითად აფასებს განრიდებისა და მედიაციის და პრობაციის პროგრამებს (მ. ფერაძე, ინტერვიუ). მისი თქმით, "ამ პროგრამაში მოხვედრილ ბავშვებს შეიძლება უფრო მეტად გაუმართლათ (ვიდრე იმათ, ვინც 14 წლამდე ჩაიდინა დანაშაული, ავტორი), რადგან მათზე, გარკვეულწილად, ახორციელებს პროგრამებს სახელმწიფო. ასევე, გაუმართლათ პირობითი მსჯავრის მქონე ბავშვებს, რადგან მათზეც გარკვეული მეთვალყურეობა და მუშაობა მიმდინარეობს". მ. გედევანიშვილი აღნიშნავს, "სამწუხაროა, რომ რეციდივის შემთხვევაში მეორედ აღარ ხდება განრიდება. იქნებ მეორედაც იყოს შესაძლებელი, რადგან სტატისტიკამ ძალიან კარგი შედეგები აჩვენა განრიდების პროგრამასთან დაკავშირებით".

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია სხვადასხვა უწყების ერთობლივი და კოორდინირებული ძალისხმევით შედეგად უნდა განხორციელდეს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ისეთი უწყებების როლი, როგორებიცაა: იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ასევე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროები. უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერა და მათი მონაწილეობა სტრატეგიის განხორციელების პროცესში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ დანაშაულის პრევენცია შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეროგატივაა (მ. ფერაძე, ინტერვიუ). სამართალდამცავების ყოველდღიურ საქმიანობაში დევს პრევენციული კომპონენტი. მაგალითად, "მომრავლებული საპატრულო პოლიციის მანქანები, რომლებიც, ერთი შეხედვით, შეიძლება გამაღიზიანებელი იყოს, როცა ანთებული შუქებით დადიან ქუჩაში, თუმცა ესეც აპრობირებული და გამართლებული მეთოდია და მუშაობს, რადგან დანაშაულის რისკი დაბლა იწევს, როცა ასე ხშირად ხედავენ პოლიციას. გარდა ამისა, არიან ქვეითი უბნის ინსპექტორები, რომლებიც პატრულირებენ თავიანთ საუბნო ზონაში, შედიან ოჯახში, სწავლობენ მათ, აკეთებენ აღწერას, რომ იცოდნენ, რამდენი წევრია ოჯახში, რა სოციალური სტატუსი აქვთ და ა.შ." (მ. ფერაძე, ინტერვიუ). კიდევ არის სხვა რამდენიმე პროგრამა, რომლებსაც სამინისტრო პრევენციის პირველ დონეზე ახორციელებს. ე. დგებუაძე აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს ძალიან ბევრ პრევენციულ პროექტს (ღონისძიებები, ტრენინგები სკოლებში), თუმცა ეს საკმარისი არაა.

ჯ. კვინიკაძის აზრით, სამთავრობო სექტორის უწყებები ძალიან წარმატებით თანამშრომლობენ. ჯ. კვინიკაძე აღნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, იუსტიციის სამინისტროს და, მეორე მხრივ, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს შორის ძალიან ეფექტიანი თანამშრომლობაა და "საერთოდ, მიდგომის ლიბერალიზაცია, ადამიანების უფლების წინ წამოწევა, დასჯის ნაკლებად პრიორიტეტულობა" ხელს უწყობს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიდგომების დანერგვას პენიტენციურ სისტემაში.

მაგალითად, პრობაციის ეროვნული სააგენტო, სადაც სასჯელაღსრულების სააგენტოდან გამოსული და პირობითი სასჯელის მქონე არასრულწლოვანია ჩართული, და იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრი ძალიან ეფექტიანად თანამშრომლობენ. ჯ. კვინიკაძე ამბობს: "ჩვენ ერთიანი

სტრატეგიაც შევიმუშავეთ. ჩვენი მიდგომა ასეთია, რომ რეაბილიტაცია იწყება უკვე ციხიდან. მერე ან პრობაციის ეროვნულ სააგენტოში გრძელდება, ან ჩვენთან". უფრო მეტიც, ყოფილ პატიმარს, თუ მას პირობითი სასჯელი მოჰყვება, ორივე ზემოთ დასახელებული უწყება (პრობაციის ეროვნული სააგენტო და დანაშაულის პრევენციის ცენტრი) სთავაზობს მომსახურებებს. დანაშაულის პრევენციის ცენტრს აქვს საქართველოში არსებული მომსახურებების ყველაზე სრულყოფილი ბაზა, რომელიც ფართომასშტაბიანი კვლევის შედეგებს ეყრდნობა. ამ კვლევის საფუძველზე მოძიებულია საქართველოს მასშტაბით ყველა მომსახურება, რომლებიც შეიძლება შევთავაზოთ ყოფილ პატიმარს, პრობაციონერს, განრიდებულს. გარდა ამისა, იგეგმება რეგიონებში ფილიალების გახსნა, რაც მისცემს საშუალებას დანაშაულის პრევენციის ცენტრს, რომ ყველა დონის პრევენციაზე იმუშაოს. სახალხო დამცველის წარმომადგენელიც აღნიშნავს, რომ სწორედ რეგიონებისთვის, განსაკუთრებით კი მაღალმთიანი რეგიონებისთვის, ყურადღების მიქცევა ძალიან კრიტიკულია, რადგან სწორედ იქ არის აკუმულირებული სოციალური მუხტი (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ), რაც შესაძლოა გახდეს დანაშაულის წყარო (მ. ფერაძე, ინტერვიუ).

ასევე, სხვა სამთავრობო სტრუქტურებს შორისაც ეფექტიანი თანამშრომლობაა. მაგალითად, დანაშაულის პრევენციის ცენტრმა წარმატებულად ითანამშრომლა პროკურატურასთან, რაც გამოიხატა პროკურორებისთვის ტრენინგების ჩატარებაში, სადაც ძალიან სიღრმისეულად განიხილეს, თუ რამდენად ეფექტიანია და რას ნიშნავს ბავშვისთვის განრიდება, "ის, რომ მოზარდს ეძლევა შანსი, პირველი სისხლის დანაშაულის პასუხისმგებლობისგან თავი დააღწოს" და ეს შანსი საკუთარი თავის და, საბოლოო ჯამში, მთლიანად საზოგადოების სასიკეთოდ გამოიყენოს. ასევე, იუსტიციის სამინისტროსა (დანაშაულის პრევენციის ცენტრი) და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის თანამშრომლობა უფრო გაღრმავდება, განსაკუთრებით მეორე დონის პრევენციასთან დაკავშირებით. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო გადმოსცემს სრულ ინფორმაციას ყველა იმ ბავშვის შესახებ, რომლებმაც 14 წლის ასაკამდე ჩაიდინეს დანაშაული, რათა შემდგომ ამ რისკჯგუფთან ინტენსიურად იმუშაოს დანაშაულის პრევენციის ცენტრმა, რომ მოხდეს მათი შესაძლო დანაშაულის პრევენცია. ამ მხრივ საინტერესოა მ. ფერაძის, შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროექტების მართვის სამმართველოს უფროსის, მოსაზრება. კერძოდ, მისი ხედვით, 14 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, მაგრამ არ მიუღწევიათ პასუხისმგებლობის ასაკამდე, განსაკუთრებულ პრევენციულ ღონისძიებებში ჩართვას საჭიროებენ, რათა ჩამოყალიბდნენ კანონმორჩილ მოქალაქეებად. თუმცა, მისი თქმით, "აქ ვაწყდებით რესურსების ნაკლებობას, არ მართო ადამიანური, არამედ სამართლებრივი მექანიზმებისაც". საქმე ისაა, რომ ასეთი ბავშვები ვერ ხვდებიან "ბაზაში" და მათ შესახებ არც არავინ მუშაობს. ამიტომ, მ. ფერაძეს მიაჩნია, რომ "სასურველია პასუხისმგებლობის ასაკმა დაიწიოს, რადგან სახელმწიფო სხვა მხრივ ვერ უმკლავდება ამგვარ ბავშვებს".

დანაშაულის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელის მიხედვით, იგეგმება თანამშრომლობა მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მანდატურის სამსახურთან, სადაც ფსიქოლოგიური ცენტრი გაიხსნა. მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი ლ. ზარდალაშვილიც ადასტურებს, რომ "ბევრი სახელმწიფო უწყება მიმართავს მათ, რომ მომავალში დაიწყონ მუშაობა" ამ მიმართულებით. თუმცა, მისი აზრით, ჯერჯერობით ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. ლ. ზარდალაშვილი აღნიშნავს: "კარგი იქნებოდა, ამ ტიპის ღონისძიებებისთვის შეკრებილიყო ჯგუფი (სახელმწიფო და არსამთავრობო), დაეგეგმათ ეს ყველაფერი და ფინანსები მოეძიებინათ, რაც არ არის ბევრი. ვგულისხმობ სხვადასხვა ღონისძიებას (მაგ. ბანაკის მოწყობა), რასაც საკუთარი ჯიბით ვერ დააფინანსებ. ამიტომ ამას სჭირდება დაგეგმვა და ცხოვრებაში გატარება". მისი თქმით, ძირითადად, მანდატურის სამსახურს აქვს ორი როლი: (1) ძალადობის პრობლემის იდენტიფიკაცია (ამაში მომზადდებიან მასწავლებლები და მანდატურები) და (2) სხვადასხვა გამაჯანსაღებელი, საინფორმაციო ღონისძიების დანერგვა (ტრენინგები, ლაშქრობები, სემინარის ტიპის შეხვედრები). ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის აზრით, ახლანდელი მანდატურის სამსახური არ არის ისეთი ეფექტური, როგორიც ადრე იყო. საჭიროა სკოლაში კონტროლის გამკაცრება (დანების შემოწმება, სიგარეტის მოწევა და ა.შ. სხვა სარისკო ქცევების აკრძალვა). მისი აზრით, "არ არსებობს კონცეფცია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო სისტემაში პრევენცია" (მ. მესხი, ინტერვიუ).

ცალკე უნდა აღინიშნოს, ასევე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ

შეტანილი წვლილი ბავშვთა მართლმსაჯულების მიმართულებით (ჭ. კვინიკაძე, ინტერვიუ). თუმცა ამ საკითხის მიმართ ექსპერტებს შორის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს, მაგ. ე. დგებუაძე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი, აღნიშნავს, რომ "სოციალური სამსახური აქტიურად უნდა მუშაობდეს და უფრო ღრმად უნდა სწავლობდეს მდგომარეობას და ეფექტიან რეაგირებას უნდა ახდენდეს, რომელთა დახმარებითაც ხელს შევუწყობთ ბავშვების ოჯახებში შენარჩუნებას". საჭიროა ოჯახის გამაძლიერებელი მომსახურების განვითარება (ე. დგებუაძე, ინტერვიუ). თავის მხრივ, სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები მიუთითებენ განათლების სამინისტროს შედარებით პასიურობაზე ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის კონტექსტში (მ. წერეთელი, ინტერვიუ).

სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები ჩართულნი არიან ყველა სამუშაო ჯგუფში, რომლებიც ეხება პრევენციას, განრიდებას და ა.შ. (მ. წერეთელი, ინტერვიუ). ასევე, უნდა აღინიშნოს ამ მიმართულებით მოქმედი პროგრამები (დღის ცენტრების შექმნა), რომლებიც უშუალოდაა ორიენტირებული ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებზე, რომლებიც ყველაზე მაღალი რისკგუფია პოტენციური დანაშაულის ჩადენის თვალსაზრისით. ნ. ფირაშვილი მიუთითებს, რომ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უმრავლესობა ჩადის დანაშაულს. საჭიროა მათი იდენტიფიკაცია, ყველა სამინისტროს აქტიური ჩართულობა, რომ სახელმწიფომ დაიწყოს მათთან მუშაობა. საჭიროა შეიქმნას დღის ცენტრის მომსახურება და სხვა მრავალფეროვანი მომსახურებები. ასევე, საჭიროა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებში მოიაზროს "ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებიც", რომელთაც აღენიშნებათ სერიოზული აკადემიური ჩამორჩენა. დღეისათვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებში იგულისხმება, ბავშვები 1. ფიზიკური და გონებრივი განვითარების დარღვევით; 2. მხედველობისა და სმენის დარღვევით; 3. მეტყველების, ქცევისა და ემოციური განვითარების დარღვევით; 4. რომელთაც აქვთ გრძელვადიანი მკურნალობის/პოსპიტალიზაციის საჭიროება; 5. რომლებიც წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობებს; 6. რომლებიც არიან სოციალურად დაუცველნი და 7. რომელთაც სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვა ემუქრებათ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები აღნიშნულ განსაზღვრებაში ვერ მოიაზრებიან, რადგან ყველა ბავშვი არ არის სოციალურად დაუცველი, ან ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. აღნიშნულ განმარტებაში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დამატება შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს მეტი ყურადღება და რესურსი მოიზიდოს ამ ბავშვების პრობლემების აღმოსაფხვრელად. ასევე, აღსანიშნავია შინაგან საქმეთა სამინისტროს როლის გააქტიურების აუცილებლობა, რომ ჩაერიოს და ასეთი ბავშვები (რომელთაც მათხოვრობას აიძულებს მშობელი) სპეციალურ დღის ცენტრში მოათავსოს (ნ. ფირაშვილი, ინტერვიუ).

საინტერესოა, რომ არც ერთ გამოკითხულ ექსპერტს არ აღუნიშნავს დანაშაულის პრევენციის კუთხით ადგილობრივი თვითმმართველობის როლი. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ საჭიროა უფრო ეფექტიანი პროგრამები დაინერგოს, განსაკუთრებით მაჰნე ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთა (რომელთა უმრავლესობაც ყოფილი პატიმარია) რეაბილიტაციის კუთხით. მაგალითად, ე.წ. "Team Challenge" პროგრამა, რომელიც მზადდება ავსტრალიასთან თანამშრომლობით უფრო ეფექტურია, ვიდრე ჩანაცვლებითი თერაპია. ეს პროგრამა ნარკოდამოკიდებულების ფსიქორეაბილიტაციას მოიაზრებს. გარდა ამისა, ამ პროგრამის ფარგლებში მოხდება მათი დასაქმება და საცხოვრისით უზრუნველყოფა. გ. მამრიკიშვილის აზრით, მთავარია "პოლიტიკური ნება იმისათვის, რომ სახელმწიფომ დაამარცხოს ნარკომანია და შეამციროს ამასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის რისკი". სახალხო დამცველის აპარატის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მათი ცენტრი აპირებს, ჩაერთოს მთელ რიგ პროგრამებში კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებით, თუმცა ჯერ-ჯერობით ეს მხოლოდ გეგმებია (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ).

საჭიროა სამთავრობო და არსამთავრობო ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობა, რომ სხვადასხვა პროგრამა დაინერგოს. არასამთავრობო სექტორის მხრიდან აუცილებელია "სერვისების გაჯანსაღების პროცესში ჩართულობა და უკუკავშირი", რომ მათი პერსპექტივა გაითვალისწინოს სახელმწიფომ (ი. სარჯველაძე, ინტერვიუ). გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, მართლმსაჯულების სფეროში სახელმწიფოს კარგად აქვს გაცნობიერებული, თუ არაა ის საჭირო დანაშაულის პრევენციისთვის. ამიტომ არასამთავრობოების მხრიდან "საჭიროა უფრო ტექნიკური დახმარება, რაც გამოიხატება მომსახურებების განვითარებაში"

(თ. კუჭავა, ინტერვიუ). პრობაციის ეროვნული სააგენტოს რეაბილიტაციის სამმართველოს უფროსს მიაჩნია, რომ ბოლო პერიოდში "არასამთავრობოები უფრო აქტიურად არიან ჩართულები და სთავაზობენ სარეაბილიტაციო მომსახურებას, სპორტულ და გამაჯანსაღებელ პროგრამებს" (ნ. შატბერაშვილი, ინტერვიუ), თუმცა საჭიროა მომსახურებების გამრავალფეროვნება, რადგან "სერვისები არაა საკმარისი" (ნ. ფირაშვილი, ინტერვიუ).

სახელმწიფო "ყიდულობს" არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მომსახურებებს ან დონორებთან რეკომენდაციას უწევს. ამრიგად, არსებობს ორმხრივი ინტერესი (ჭ. კვინიკაძე, ინტერვიუ). ამით შესაძლებელია, რომ "ჩვენთვის უფრო მაღალი ხარისხი და დივერსიფიცირებული სერვისი მივიღოთ" (ჭ. კვინიკაძე, ინტერვიუ). სახელმწიფოს როლი ისაა, რომ უფრო მეტი იმუშაოს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დავარწმუნოთ ამ საქმის დიდ მნიშვნელობაში, რათა მათ "ამაზე გააკეთონ აქცენტი, ამ მიმართულებით კვალიფიკაცია აიმაღლონ და უფრო უკეთესი სერვისები შემოგვთავაზონ" (ჭ. კვინიკაძე, ინტერვიუ). ლ. ზარდალაშვილი აღნიშნავს, რომ არასამთავრობო სექტორს შეუძლია სკოლის გარეშე აქტივობების, პროგრამების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციას და მოზარდებში სწორი მსოფლმხედველობის, სტრატეგიული აზროვნებისა და არაძალადობრივი მიდგომების ჩამოყალიბებას, თუმცა ეს იმდენად "სერიოზული პრობლემაა, რომ ჩვენი ინსტიტუცია კი არა, მთელი სამინისტრო ვერ მოერევა." არასამთავრობო ორგანიზაციებმა არასრულწლოვნებს უნდა შესთავაზონ საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობები, დროის ეფექტურად, მიზანმიმართულად, ჯანსაღად დაგეგმვის ტრენინგები, მათი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საქმიანობები (ნ. შატბერაშვილი, ინტერვიუ). სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციები არიან ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვებისთვის სერვისის ძირითადი მიმწოდებლები (მაგ. კარიტასი). დღის ცენტრებში ხდება ბავშვების ნელ-ნელა მოზიდვა და სოციალიზაციის პროცესში ჩართვა, შემდეგ კი სხვადასხვა მომსახურების შეთავაზება. სწორედ დღის ცენტრმა უნდა შეასრულოს გარდამავალი როლი ქუჩიდან მოსული ბავშვებისთვის. უნდა დაიხვეწოს კრიზისული ინტერვენციის ცენტრი. არასამთავრობოებმა უნდა შესრულონ აქტიური როლი სხვადასხვა საპილოტე პროექტის განხორციელებაში ამ კუთხით (ნ. ფირაშვილი, ინტერვიუ).

არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ სამოქალაქო საზოგადოების, მოქალაქეობრივი ცნობიერების გაძლიერების როლი. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ არასრულწლოვანი დამნაშავე არის სოციალური მსხვერპლი და დანაშაულის მიზეზი დევს "გარეთ", "დანაშაული არის გარემოებათა შედეგი". საზოგადოების მიერ ამის გააცნობიერება იქნება პრევენციული ნაბიჯი (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ).

არასამთავრობო ორგანიზაციების ერთ-ერთი გამოკვეთილი როლი უნდა იყოს კვლევებზე დაფუძნებული რეკომენდაციების ჩამოყალიბება სახელმწიფოს სტრუქტურებისათვის, რათა შემდგომ საკანონმდებლო, ნორმატიულ დონეზე მოხდეს ზემოქმედება.

ფოკუს ჯგუფების ანალიზი

მომსახურების მიმწოდებლები, კოორდინატორები და პრაქტიკოსები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით, **კოალიციის** (საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის) **წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების** წარმომადგენლებისგან შედგენილ ფოკუს ჯგუფში გამოიკვეთა შემდეგი მოსაზრებები:

- აუცილებელია სკოლაში **სამართლებრივი განათლების კომპონენტის** შეტანა;
- **მედია საშუალებებით ინფორმაციის მიწოდება** საზოგადოებისათვის;
- **პრევენციისათვის მეტი მომსახურების** განვითარება და **რეაბილიტაციის უზრუნველყოფა.**

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ როდესაც ბავშვი ხვდება სამართალდამცავ სისტემაში, ძალაუფლებურად ძალადობის მსხვერპლია, რადგან სისტემა არაა ბავშვზე ორიენტირებული და სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენებული მეთოდები კვლავაც ძველებურია.

სფეროს მიღწევად განისაზღვრა განათლების სამინისტროს ფსიქოლოგიური ცენტრების არსებობა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. ასევე, მანდატურის სამსახურის არსებობა სკოლებში.

სამართლის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებისგან (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა პროფესიონალები) შედგენილმა ფოკუს ჯგუფის წევრებმა

ყურადღება გაამახვილეს იმ მნიშვნელოვან პრობლემებზე, რომლებიც არსებობს დღესდღეობით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში:

- ინფორმაციის გაცვლა სამართლის სფეროში ბავშვთან მომუშავე უწყებებს შორის ბავშვების შემთხვევებთან დაკავშირებით შეზღუდულად ხდება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვების საქმეები არ გადადის, ან დაგვიანებით გადადის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან პრობაციის სამსახურში ან დანაშაულის პრევენციის ცენტრში. მნიშვნელოვანია, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ბავშვის მოხვედრის შემთხვევაში დანაშაულის პრევენციის ცენტრს ან პრობაციის სამსახურს ავტომატურად ეცნობოს შემოსული ბავშვის შესახებ, რათა პრობაციის სამსახურმა ან დანაშაულის პრევენციის ცენტრმა შეძლოს ოჯახთან მუშაობის დაწყება და, ასევე, გასვლისთვის ბავშვის მომზადება;
- აქვე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა არსებული კანონმდებლობის, რომელიც შეეხება პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში ბავშვის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების რეგისტრაციის, შენახვის, გაცვლის და განადგურების წესს. აღნიშნული საკითხი არ არის დარეგულირებული, რაც ართულებს თანამშრომლობას უწყებებს შორის;
- ასევე, არაჯეროვნად მიმდინარეობს არასრულწლოვნის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გასვლისთვის მომზადება. ამჟამად ბენეფიციართან მუშაობა, ძირითადად, ერთი ვიზიტით შემოიფარგლება. მნიშვნელოვანია პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის ჩართულობა და შემთხვევის გადაბარების პროცესის კარგად დაგეგმვა;
- სასჯელაღსრულების დაწესებულების სოციალურ მუშაკებს არასრულწლოვნის ოჯახთან მუშაობა ეკრძალებათ. ოჯახთან მუშაობს პრობაციის სამსახური ან დანაშაულის პრევენციის ცენტრი, თუმცა შეიძლება მათი სამუშაოც შეზღუდული იყოს. მაგალითად, პრობაციის სამსახური, ძირითადად, აფასებს ოჯახის საჭიროებებს, მაგრამ ვერ მუშაობს ჯეროვნად ოჯახების გაძლიერებაზე;
- თუ ბავშვს არ აქვს სასჯელაღსრულების დაწესებულების შემდეგ პირობითი სასჯელი, სიტუაცია უფრო რთულდება, რადგან ამ დროს მისი გადამისამართება დანაშაულის პრევენციის ცენტრში ხდება და ამ ცენტრთან თანამშრომლობა, პრობაციის სამსახურისგან განსხვავებით, ნებაყოფლობითია;
- ციხიდან გამოსული ბავშვები ძალიან ხშირად მალე კვლავ ჩადიან დანაშაულს და უკან ბრუნდებიან საპატიმროში, რადგან მათ არ მიეწოდებათ ის მომსახურებები, რომლებიც მათ სჭირდებათ იმისათვის, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ განაგრძონ სრულფასოვნად ცხოვრება. მათ ხშირად არ აქვთ საცხოვრისი, არ ჰყავთ მხარდამჭერი ოჯახი და, ასევე, არ არიან პროფესიულად მზად, რათა დასაქმება შეძლონ. ბევრი სახელობო კურსი, რომლებიც დაწესებულებაში ისწავლება, არ არის მორგებული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. ასევე, თავად დაწესებულებებში ვერ ხორციელდება სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მიერ მათი ჯეროვნად გაძლიერება და რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია კადრების სიმწირის, პროცედურული შეზღუდვებისა და სხვა მიზეზების გამო.

მონაწილეების მიერ დადებითად არის შეფასებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2014-2015 წლებისთვის, რომელიც ახლახან დამტკიცდა და რომელშიც განერილია ყველა ჩართული მხარის ძირითადი პასუხისმგებლობები.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში მომუშავე პრაქტიკოსებისაგან (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და მანდატურები) შედგენილი ფოკუს ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრი ადრეულ პერიოდში (როდესაც ორგანიზაციის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ მიერ იყო მართული), მჭიდროდ თანამშრომლობდა განრიდების პროგრამასთან და მის ბენეფიციარებთან. თუმცა ამჟამად ეს თანამშრომლობა ამდენად მჭიდროდ აღარ არის.

სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკებისგან შედგენილი ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა აზრით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ძალიან ბევრი პრობლემაა. პირველ რიგში, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და სასჯელაღსრულებისა

და პრობაციის სამინისტროს მიერ შეთავაზებული მომსახურებები არასრულწლოვნებისთვის სრულიად არასაკმარისი და არაადეკვატურია. მნიშვნელოვანი შეფერხებაა ის, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებების სოციალურ მუშაკებს ეკრძალებათ მუშაობა დაწესებულებაში მყოფი ბავშვების ოჯახებთან. სირთულეს წარმოადგენს ისიც, რომ არავინ ავალდებულებს მსჯავრდებულ ან პირობითი მსჯავრის მქონე ბავშვს, გაიაროს კონსულტაციები ფსიქოლოგსა და სოციალურ მუშაკთან. არ არსებობს წახალისების მექანიზმებიც (სასჯელის შემცირება, მოხსნა და ა.შ.) იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ითანამშრომლებს აღნიშნულ პროფესიონალებთან. ასევე, დიდ პრობლემას წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში კომუნიკაციის არარსებობა სხვადასხვა ჩართულ უწყებას შორის. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან არასრულწლოვანი გაათავისუფლეს და გაუშვეს ქუჩაში, იმის ნაცვლად, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის გადაეცათ ინფორმაცია ბავშვის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს არსად ჰქონდა წასასვლელი.

რესპონდენტების ნაწილის აზრით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ცვლილებების განხორციელების კუთხით, ძალიან მნიშვნელოვანია ცალკე სასამართლოს/მოსამართლეების არსებობა ბავშვებისათვის.

არასამთავრობო სექტორში მომუშავე პრაქტიკოსებისგან (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა პროფესიონალები) შედგენილ ფოკუს ჯგუფში არც ერთ მონაწილეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროსთან არ ჰქონდა პირდაპირი შეხება, ამიტომ მათ თავი შეიკავეს ამ სისტემის შეფასებებისგან. ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ, მისი დაკვირვებით, "ბავშვები, რომლებიც ზრუნვის სისტემაში იყვნენ რამდენიმე წლის წინ, ახლა პროკურატურაში ძალიან ხშირად ხვდებიან დაკითხვებზე".

მომსახურების მიმღებები - ბენეფიციარები

ეროვნულ კოალიციასთან არსებული ახალგაზრდული საბჭოსგან შედგენილ ფოკუს ჯგუფში ბავშვის მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზების განხილვისას გამოიკვეთა შემდეგი: შიმშილი და სიღატაკე, უპატრონობა, ძირითადი საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა (18 წლის ზემოთ ახალგაზრდაზე სახელმწიფო არ ზრუნავს, არ არსებობს მათთვის არც ერთი მომსახურება). ახალგაზრდების თქმით, „არ ჰქონდათ და იმიტომ იპარავდნენ, რომ ჰქონოდათ “. ბავშვი იმიტომ ჩადის დანაშაულს, რომ მას სხვა არჩევანი არ აქვს. ასევე, ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ ბავშვი დანაშაულს ხშირად თავის დამკვიდრების მიზნით ჩადის, "ზოგს სხვა ავალებს და იმიტომ იპარავს", ქუჩაში დანაშაულის ჩადენის, დანაშაულებრივი სამყაროს მთელი სისტემა, "ინსტიტუტი" იქმნება.

ქუჩაში მცხოვრებმა და მომუშავე ბავშვებმა აღნიშნეს, რომ სწორედ ქუჩაში ძალიან ბევრი საფრთხის წინაშე ხშირად დგანან, მათ შორის არის დანაშაულის ჩადენა, "წებოს" მოხმარება, ძალადობა. მათ საზოგადოება აღიქვამს, როგორც დამნაშავეს. ხშირად უმიზეზოდ აბრალებენ ქურდობას. მათი თქმით, "ხშირია შემთხვევა, როცა უმიზეზოდ სდებენ რაღაცაში ბრალს, (მაგ. რამის მოპარვაში) მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ქუჩაში არიან".

მინდობით აღზრდასა და მცირე საოჯახო ტიპის სახლში მყოფი ბავშვების აზრი მთლიანად ემთხვევა ბავშვების მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზების შესახებ. მათი აზრით, "ბავშვები უმრავლეს შემთხვევაში იმიტომ იპარავენ, რომ შიათ, არ აქვთ საშუალება და არ აქვთ საკმარისი დახმარება, რომ კარგად იცხოვრონ". გარდა ამისა, ხშირად ბავშვები ქუჩაში თავიანთი მშობლების წყალობით აღმოჩნდებიან ხოლმე, რომლებიც მათ მათხოვრობას, იძულებით "შრომას" აიძულებენ და, ამგვარად, ძალაუფლებურად ხდებიან "ქუჩის სამყაროს" ნაწილები. მშობელმა, სახელმწიფომ ადრეული ასაკიდანვე უნდა ასწავლოს, აუხსნას ბავშვს, "თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი", "თუ რა მოყვება ცუდ საქციელს". მათი თქმით, მთავარია ეს იცოდეს ბავშვმა, ხოლო "დანარჩენი უკვე ბავშვზეა დამოკიდებული".

რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვებიც ადასტურებენ, რომ ბავშვი დანაშაულს ჩადის "გაჭირვების გამო, რომ არ აქვს არანაირი შეძლება და სახსარი". ასევე, მიზეზი არის ის ოჯახური გარემო, რომელშიც ბავშვები ცხოვრობენ. მათი თქმით, თუ ოჯახში სიყვარული არაა, ეს აისახება ბავშვზე, მის საქციელზე ("სახლში, როცა სიყვარული არ არის, არა მგონია, კარგი რაღაცა გამოვიდეს"). სახელმწიფო უფრო მკაცრი უნდა იყოს, გამოავლინოს "ცუდი წრეები" და "დაიჭიროს, ვინც კანონდამრღვევია". აგრეთვე, რაც მთავარია,

დაეხმაროს „გაჭირვებულ, მოძალადე და ა.შ. სხვადასხვა პრობლემის მქონე ოჯახებს, რომ უკეთესები გახდნენ და ამით უკეთესი პირობები შეუქმნან ბავშვებს“.

რეინტეგრირებული ბავშვების მშობლების ამრიგად, არასრულწლოვნის დანაშაულის საფუძველი უსახსრობა და ოჯახის წევრებს შორის უსიყვარულო დამოკიდებულებაა. ამის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ოჯახს ბავშვების აღზრდაში, რადგან ოჯახში სხვადასხვა პრობლემის არსებობის შემთხვევაში იზრდება ბავშვის მიერ დანაშაულის ჩადენი შანსი. ასევე, გამოიკვეთა მოსაზრებაც, რომ ზოგ შემთხვევაში ბავშვი მიდრეკილია დანაშაულის ჩადენისკენ და მას სახელმწიფო ვერ უშველის.

დასკვნა

სამთავრობო დონეზე, ძირითადად, ძალიან დადებითად, ზოგ შემთხვევაში გადაჭარბებულადაც, არის განხილული ის რეფორმები, რომლებიც მიმდინარეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში (მედიაციისა და განრიდების პროგრამა, არასრულწლოვანთა #11 ავჯალის დანესებულება, პრობაციის პროგრამები). საერთაშორისო სექტორიც დადებითად ეხმაურება ამ სფეროში განხორციელებულ რეფორმებს. ძირითადი მითითება ეხება ბავშვის ეკოსისტემურ პერსპექტივაში განხილვას, რადგანაც იგი უნდა მოიაზრებოდეს ოჯახთან, სკოლასთან, მეგობრების წრესთან და სოციალურ გარემოსთან ერთად. შესაბამისად, როდესაც განვიხილავთ დანაშაულის რისკფაქტორებს და, შესაბამისად, პრევენციის სამიზნეებს, აუცილებელია ოჯახის გაძლიერების მომსახურებების განვითარება როგორც მატერიალური, ისე ფსიქო-სოციალური კუთხით, საზოგადოების, სოციალური მენტალიტეტის ცვლილება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სკოლის გააქტიურება, რათა უფრო მეტად იზრუნოს მოსწავლეების სულიერ და ფიზიკურ გაჯანსაღებაზე, მათი დროის მართვაზე და ა.შ. მაშასადამე, ჩარევა, პრევენცია უნდა იყოს სისტემური და მოიცავდეს მულტიდისციპლინური მიდგომების გამოყენებას და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა ჩართვას.

პრაქტიკოსი სოციალური მუშაკებისა და სამთავრობო ზედა სტრუქტურების მიერ რეფორმის შეფასება, ხშირ შემთხვევაში, აცდენილია ერთმანეთისგან. სასჯელაღსრულების, იუსტიციისა და პრობაციის სისტემაში დასაქმებული სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა სპეციალისტები, როგორც ჩანს, უფრო რეალურად აფასებენ სიტუაციას და გამოკვეთენ არსებულ პრობლემებს, რომლებსაც დღეს ხვდებიან სისტემაში. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ოჯახთან მუშაობის ნაკლებობა და, ზოგ შემთხვევაში, კი ასეთი შესაძლებლობის საერთოდ არ არსებობს. მაგ. სასჯელაღსრულების სისტემის სოციალური მუშაკები საერთოდ არ მუშაობენ ოჯახებთან. მეორე თვალსაზრისით პრობლემა არის სამართლის სფეროში ბავშვთან მომუშავე სისტემებს შორის არაეფექტური კომუნიკაცია (საქმეები არ გადადის ან დაგვიანებით გადადის სასჯელაღსრულებიდან პრობაციაში ან დანაშაულის პრევენციის ცენტრში). ეს კი აფერხებს დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკების მიერ ბავშვის ოჯახთან მუშაობის დაწყებას, რაც ძალიან უარყოფითად აისახება მუშაობის შედეგებზე და ხშირად იმით მთავრდება, რომ არასრულწლოვანი კვლავ ციხეს უბრუნდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პრობაციის სამსახური, ძირითადად, აფასებს ოჯახის საჭიროებებს, მაგრამ სათანადოდ ვერ მუშაობს ოჯახების გაძლიერებაზე მომსახურების ნაკლებობის ან ზოგ შემთხვევაში არაადეკვატურობის გამო. ფაქტობრივად, არასრულწლოვანი ბრუნდება იმავე ტიპის პრობლემურ ოჯახურ სისტემაში, რომელმაც ლომის წილი შეიტანა მის ციხეში მოხვედრაში. ასევე, აღინიშნა, რომ საჭიროა რესოციალიზაციის მრავალფეროვანი მომსახურების განვითარება.

უფრო მეტიც, პრაქტიკოსები ცალსახად აღნიშნავენ, რომ არასრულწლოვანი სასჯელაღსრულების სისტემიდან გასვლისათვის ჯეროვნად არ მზადდება, საუკეთესო შემთხვევაში, ბენეფიციართან მუშაობა მხოლოდ ერთი ვიზიტით შემოიფარგლება, შემთხვევის გადაბარება ძალიან არაეფექტიანად მიმდინარეობს და თავად სასჯელაღსრულების სისტემაში მათთან სოციალური მუშაკები სათანადოდ ვერ მუშაობენ. გარდა ამისა, დანაშაულის პრევენციის ცენტრის მომსახურებები მხოლოდ ნებაყოფლობითია, რაც ნიშნავს, რომ თუ არასრულწლოვანს არ მიჰყვება პირობითი სასჯელი, მას შეუძლია საერთოდ უარი თქვას რაიმე ფორმით ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციის, რესოციალიზაციის ღონისძიებებში მონაწილეობაზე, რაც ბუმერანგივით აისახება მის მომავალზე. ამ მხრივ, პრაქტიკოსების მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება, დაინერგოს წახალისების მექანიზმები ყოფილი პატიმრებისთვის, რომლებიც ჩაერთვებიან რესოციალიზაციის სხვადასხვა მომსახურებაში და ითანამშრომლებენ პროფესიონალებთან.

უნდა აღვნიშნოთ, ასევე, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული სახელობო კურსები არაა მორგებული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, რაც ნიშნავს, რომ ციხიდან დაბრუნებული მოზარდი რჩება არა მხოლოდ მხარდამჭერი ოჯახის გარეშე, არამედ სამსახურის, დასაქმების გარეშე. მოზარდს არ შეუძლია თვითრეალიზება ასეთ პირობებში. ამას ემატება საზოგადოებაში არსებული სტიგმაც, რაც მას ისევ სასჯელაღსრულების სიტემისაკენ უბიძგებს, სადაც, რაც უნდა პარადოქსული იყოს, უფრო მორგებულია გარემოს და უფრო "თვითრეალიზებულად", "საჭიროდ" მიიჩნევენ თავს, ვიდრე გარეთ ყოფნის დროს.

ამრიგად, საჭიროა, მაღალი საფეხურის მენეჯმენტის წარმომადგენლებმა უფრო მეტად მოუსმინონ პრაქტიკოსებს, რათა უკეთ დაინახონ სირთულეები, რომლებიც თან ახლავს რეფორმის განხორციელებას და მესამე დონეზე პრევენციას. ძალიან პოზიტიურად ფასდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია რესოციალიზაციის სტრატეგიის ორწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაიწერა მონაწილე მხარეების პასუხისმგებლობები.

გარდა ამისა, დაგეგმილია გარკვეული ერთობლივი სამუშაო ჯგუფების ორგანიზება მანდატურის სამსახურთან, რომლის განსაკუთრებული მნიშვნელობაც დანაშაულის პირველ დონეზე პრევენციის კუთხით აღიარებულია ყველა ექსპერტისა და პრაქტიკოსის მიერ. თავად მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები ამ საკითხების შესახებ ნაკლებად ინფორმირებულები და ძალიან პესიმისტურად განწყობილები არიან. სკოლის გააქტიურება გულისხმობს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას ექსტრაკურიკულურ, გამაჯანსაღებელ აქტივობებში, რის შედეგადაც მოსწავლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილის ამრიგად დაითვითება, მისი ცნობიერება ამაღლდება, ჩამოუყალიბდება სამოქალაქო ცნობიერება, გაუღვივდება პროფესიული ინტერესები და, საბოლოოდ, ჩამოყალიბდება ისეთი კანონმორჩილი პიროვნება, რომელიც სწორ აქცენტებს აკეთებს ცხოვრებაში. ამრიგად, სკოლა არის პირველი დონის პრევენციის დასაწერად ყველაზე შესაფერისი გარემო, სწორედ უსაფრთხო სკოლამ უნდა ჩამოუყალიბოს ახალგაზრდას სამოქალაქო ცნობიერება. გამოითქვა ძალიან სასარგებლო აზრი, რომ შემუშავდეს საგანმანათლებლო სისტემაში პრევენციის კონცეფცია. ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ სახელმწიფო დონეზე უნდა დაინერგოს სკოლის შემდგომი გახანგრძლივებული მომსახურებები.

პირველი და მეორე დონეების პრევენციის ნაწილი უნდა გახდეს, აგრეთვე, ოჯახების გაძლიერება, როგორც სოციალური, ასევე, ფსიქოლოგიური კუთხით. სოციალური მომსახურების სააგენტოს როლიც სწორედ აქ იკვეთება, მაქსიმალურად დაეხმაროს ოჯახებს სწორი, არაძალადობრივი მეთოდებით აღზარდონ ბავშვები და მოაგვარონ სოციალური პრობლემები. ამ მხრივ, გარკვეული უწყებები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, რადგან იგი ხშირად არ მიჰყვება შემთხვევას სიღრმისეულად და არ რეაგირებს ეფექტიანად. თავის მხრივ, სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მანდატურის სამსახურის, ზოგადად, სკოლის მიმართ, სადაც ყველაზე იშვიათად ხდება ძალადობის პრობლემის იდენტიფიკაცია და სააგენტოში რეფერირება, რადგან "სკოლას არ უნდა თავის ზედმეტად ატკივება". თუმცა, როგორც მანამდე აღვნიშნეთ, სწორედ "უსაფრთხო სკოლის პრინციპების" გამტარებელმა სკოლამ უნდა შეასრულოს აქტიური როლი რისკის ქცევების მქონე ბავშვების გამოვლენასა და სათანადო ჩარევების დანერგვაშიც (მაგალითად, მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრის ჩარევით. თუმცა ამ ცენტრის სპეციალისტები, მათ შორის სოციალური მუშაკები, საერთოდ არ მუშაობენ ოჯახებთან და თითქმის არ თანამშრომლობენ სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან). დღევანდელი მდგომარეობით, რთული ქცევის მქონე ბავშვებთან მუშაობის პასუხისმგებლობას არც ერთი უწყება პირდაპირ არ იღებს თავის თავზე. ხოლო რაც შეეხება სამტრედიის სკოლის მოდელს, მის შესახებ ექსპერტებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ და ცალსახად პოზიტიურად არ არის შეფასებული. ამ მიმართულებით აშკარაა ხარვეზი, რისი აღმოფხვრაც აუცილებელია პრევენციის პირველ და მეორე დონეზე.

მეორე დონის პრევენციის კონტექსტში უნდა განვიხილოთ ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვების საკითხიც, რომელთა მიმართაც რეფორმა ძალიან შეფერხებით მიმდინარეობს და სწორედ ბავშვების ეს კონტიგენტი ითვლება პოტენციურ დანაშაულებად. ხშირად მათ მიმართ საზოგადოება ძალიან სტიგმატურია და მოელის, რომ ისინი ჩაიდენენ დანაშაულს. ასეთი მოლოდინის რეჟიმში მყოფი ბავშვიც ცდილობს ამ მოლოდინის გამართლებას. იგი ამგვარ საზოგადოებაში თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს. ამიტომ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის საჭიროა მრავალფეროვანი მომსახურების შექმნა და განვითარება, სკოლის სისტემაში ასეთი ბავშვების ინტეგრაცია, ასევე, საჭიროა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროებების მქონე ბავშვებში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებიც მოიაზრებოდნენ. საჭიროა შინაგან საქმეთა სამინისტროს გააქტიურება, რათა ასეთი ბავშვები აღმოჩნდნენ ჯანსაღ გარემოში, სახელმწიფოს 24 საათიან ზრუნვაში, ან სახელმწიფომ იზრუნოს მათი მშობლების განათლებაზე, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. თავად ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები ამჯობინებენ, რომ სახელმწიფო დაეხმაროს მათ ოჯახებს როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე, მატერიალურად. ოფიციალური სტატისტიკაც ადასტურებს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული, ძირითადად, გამოწვეულია სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით.

ასევე, გამოიკვეთა მეორადი პრევენციის მთავარი სეგმენტი, 14 წლამდე ახალგაზრდები, რომლებმაც უკვე ჩაიდინეს მცირე ხულიგნობა, ქურდობა. საჭიროა არსებობდეს მათ ინტერესებზე მორგებული სპეციალური მომსახურებები, რომლებიც იზრუნებს მათ გაჯანსაღებაზე, იმ მულტიფაქტორებისა და რისკების შემცირებაზე, რამაც გამოიწვია მათ მიერ ჩადენილი დანაშაული. საჭიროა ამ ბავშვების ბაზის არსებობა. ამ პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული მოსაზრებები და თანამშრომლობის პერსპექტივა დანაშაულის პრევენციის ცენტრსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის. ასევე, მნიშვნელოვანია წამალდამოკიდებულთათვის მომსახურებების განვითარება, 24 საათიანი ზრუნვიდან გამოსული ახალგაზრდებისთვის სათანადო მომსახურების მოძიება (დასაქმება, საცხოვრისით უზრუნველყოფა და ა.შ.).

ერთი შეხედვით, მესამე დონის პრევენციის დონეზე დღეს სახელმწიფო აქტიურად მუშაობს, რადგან მთავარი აქცენტები გადატანილია სასჯელაღსრულების სისტემის ჰუმანიზაციაზე, პატიმრებისა და ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციაზე, საზოგადოებაში რეინტეგრაციაზე, უფრო მეტი სოციალური მუშაკის დაქირავებაზე, რათა სისტემა გახდეს უფრო "ადამიანური" და ა.შ. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ კუთხით მრავალი ხარვეზია, რომელთა აღმოფხვრაც მნიშვნელოვანია რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად.

ძალიან საინტერესოა, რომ არც ერთი ექსპერტი არ აცნობიერებს ადგილობრივი მთავრობის როლს პრევენციის არც ერთ დონეზე. თუმცა ადგილობრივი მთავრობა ამისათვის გამოთქვამს მზაობას. მიუხედავად იმისა, რომ ზედა საფეხურის მენეჯმენტის სტრუქტურები ეფექტიანად აფასებენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებას და, ასევე, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებს შორის თანამშრომლობას, ამ მხრივ არსებობს ხარვეზები. კერძოდ, საჭიროა უფრო მეტი თანამშრომლობა და კოორდინირებული მოქმედება. არასამთავრობო სექტორი აღიქმება, როგორც მნიშვნელოვანი რგოლი მომსახურების განვითარებასა და მიწოდებაში, თუმცა ჯერჯერობით არაა სათანადო დონეზე, რომ უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მომსახურებები (საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობები, სკოლის გარეთა აქტივობები, დროის ეფექტურად, ჯანსაღად დაგეგმვის ტრენინგები და ა.შ.).

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების დიდი უმრავლესობა საჭიროდ მიიჩნევს არასრულწლოვანზე ორიენტირებული სასამართლოს სისტემის განვითარებას, რაც მოიაზრებს შემდეგ ტენდენციებს: ციხის ფიზიკური მოწყობა არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიის თავისებურებების გათვალისწინებით, არასრულწლოვანის ასაკის განსაზღვრა, როდის უნდა გახდეს პასუხისმგებელი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაზე, სოციალური მუშაკის ან პრობაციის ოფიცრის მონაწილეობა სასამართლო გადაწყვეტილების წინა პროცესში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არასრულწლოვანის მაქსიმალური ჩართვა სწავლაში, შრომაში, სპორტულ აქტივობებში და მისი ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინება, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოზარდის ფსიქოლოგიური ასაკის გათვალისწინება, განსაკუთრებით როდესაც ხდება სრულწლოვანი და საჭიროა მისი სრულწლოვანთა ციხეში გადაყვანა, სპეციალური მოსამართლეების დანიშვნა, რომლებიც არასრულწლოვანთა საქმეებზე იმუშავებს და ა.შ. მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, რომ მაქსიმალურად თავიდან ავიცილოთ მისი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრა. ამ მხრივ, მართალია, ძალიან კარგი გამოცდილებაა ე.წ. მედიაციისა და განრიდების პროგრამა, მაგრამ საჭიროა მეორე შანსიც მივცეთ მოზარდს. ასევე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა არსებული კანონმდებლობის, რომელიც შეეხება პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში ბავშვის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების რეგისტრაციის, შენახვის, გაცვლის და განადგურების წესს.

და ბოლოს, ექსპერტები მიუთითებენ პრევენციის მექანიზმების, კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დახვეწის, კვლევების ჩატარებისა და ამ კვლევის შედეგების საფუძველზე

მტიცებულებებზე დაფუძნებული მომსახურებების განვითარების აუცილებლობაზე, ფსიქო-სოციალური მომსახურებების რეგიონების დონეზე განვითარებასა და საგამომცემლო საქმიანობის, მედიის გაძლიერებაზე.

ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

ინტერვიუების ანალიზი

სახელმწიფოს აქვს და უნდა ჰქონდეს წამყვანი როლი ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციისა და რეაბილიტაციის კუთხით. ამავე დროს, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სისტემური მიდგომა, ისევე როგორც დეინსტიტუციონალიზაციის შემთხვევაში, რადგან ძალადობა არის “ძალიან გავრცელებული, ტოტალური და ყველგან არსებული პრობლემა” (მ.გედევანიშვილი, ლ. ზარდალაშვილი, ინტერვიუ). უნდა აღინიშნოს, “ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების” წყალობით, წინა წლებთან შედარებით ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაცია და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროცესი გაუმჯობესებულია. თუმცა დასაწყისში მეტი მოლოდინი არსებობდა ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიკაციის კუთხით (ნ. შატბერაშვილი, ინტერვიუ). ასევე, ძალიან მიჩქმალულია სოფლებში ძალადობა (ლ. ზარდალაშვილი, მ. გედევანიშვილი, მ. მაღლაფერიძე, ინტერვიუ).

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე ყველა ტიპის ძალადობის იდენტიფიკაცია ვერ ხორციელდება. შეიძლება ითქვას, რომ უფრო მეტად ხდება ძალადობის უკიდურესი ფორმების გამოაშკარავება და მათზე რეაგირება, თუმცა, ეს არ ეხება სექსუალურ ძალადობას, რომელიც ძალიან დაფარულია. ცხელ ხაზზე და პატრულთან დარეკვა და ძალადობის შემთხვევაზე ინფორმირება უფრო გახშირდა. ამასთან, ადამიანებს ჩრდილში დარჩენა ურჩევნიათ. იდენტიფიკაციას ახდენენ, აგრეთვე, სახალხო დამცველის ოფისი და არასამთავრობო ორგანიზაციები (მ. წერეთელი, ინტერვიუ). საჭიროა, რომ ბავშვებთან მომუშავე უწყებები - სკოლა, ბაღი - უფრო აქტიურად ჩაერთონ “სკრინინგის” პროცესში (ი. სარჯველაძე, ინტერვიუ), ასევე, ოჯახის ექიმი, მეზობელი, მთლიანად ბავშვის სოციალური გარემო და ა.შ. (მ. გედევანიშვილი, მ. მაღლაფერიძე, ინტერვიუ), მხოლოდ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკი ვერ შეძლებს შემთხვევების იდენტიფიცირებას (ი. სარჯველაძე, ინტერვიუ).

მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ საქართველოში ძალადობის იდენტიფიკაცია ძალიან რთულია. მისი თქმით, ქვეყნის 95%-მა არ იცის, რა არის ძალადობა, “ძალადობაა ყველაფერი, რასაც გაკეთებინებ შენი სურვილის წინააღმდეგ, თუ იმ წუთში არ არის აუცილებელი შენი სიცოცხლის გადარჩენისთვის” (ლ. ზარდალაშვილი, ინტერვიუ). საპატრიარქოს სოციალური სამსახურის წარმომადგენლის აზრით კრიტიკული კითხვაა, „თუ რა ითვლება ძალადობად“. „თუ ბავშვს ცემენ ჯოხით, ანამებენ, აშიშმთილებენ და ასე სჯიან, ეს ნამდვილი ძალადობაა და სწრაფი რეაგირებაა საჭირო... მაგრამ თუ დედა ბავშვს გაუკავრდა და ყური აუწია, ეს ძალადობაა არაა“ (ზ. ვარაზი, ინტერვიუ). ექსპერტები აღნიშნავენ, რომ როგორც პროფესიულ, ასევე, ფართო საზოგადოებს ხშირად განსხვავებულად ესმით, თუ რა არის ძალადობა.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ძალადობის იდენტიფიკაცია გაძნელებულია, არის ქართული საზოგადოების მენტალიტეტი (მ. მესხი, მ. წერეთელი, ინტერვიუ), ინფორმაციის ნაკლებობა (ნ. ფირაშვილი, ინტერვიუ). გარდა ამისა, “თუნდაც ადამიანმა იცოდეს, რომ ძალადობის მსხვერპლია, ნათესაური და ოჯახური დამოკიდებულებები ძალიან უშლის ხელს შემთხვევების იდენტიფიკაციას” და “ამ ყველაფრის მიჩქმალვა ძალიან ხშირია” (ი. სარჯველაძე, ინტერვიუ), ოჯახში ძალადობის ამოცნობა უფრო რთულია, ვიდრე სკოლაში, რადგან “ოჯახში ძალადობა დახურული, სტიგმატიზებული და ტაბუდადებულია” (მ. გედევანიშვილი, ლ. ზარდალაშვილი, ინტერვიუ). ასევე, შემოსული შეტყობინებების რაოდენობა ნაკლებია, რადგან დაცვის კუთხითაც შეთავაზებები მწირია (ნ. შატბერაშვილი, ინტერვიუ).

რეფერირების სისტემაში ჩართულნი არიან სოციალური მომსახურების სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მაგრამ ეს უკანასკნელი, მისი კანონით გაწერილი პასუხისმგებლობის მიუხედავად, უფრო პასიურ როლს თამაშობს. მასწავლებლებს უჭირთ ძალადობის სხვადასხვა ფორმის ამოცნობა და შესაბამისი პროცედურების განხორციელება. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები ძალიან ცუდად იცნობენ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) დოკუმენტს (მ. წერეთელი, ინტერვიუ), სკოლაში პედაგოგებს არ აქვთ ის ჩვევები და

ცოდნა, რომლებიც საჭიროა ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაციისათვის (მ. გედევანიშვილი, მ. მაღლაფერიძე, ინტერვიუ). 2008 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, “საერთოდ არ არის საქართველოს სკოლებში გათვალისწინებული ბავშვზე ძალადობის აღმოჩენის სისტემები, მასწავლებლებმა არ იციან, როგორ უნდა მოიქცნენ ძალადობის აღმოჩენის შემთხვევებში” (მ. გედევანიშვილი, მ. მაღლაფერიძე, ინტერვიუ).

უფრო მეტიც, ამ ეტაპზე მანდატურის “სამსახური არ მუშაობს”, ისინი ყურადღებას არ უთმობენ ძალადობის ამოცნობასა და მასზე რეაგირებას, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრის სოციალურ მუშაკებს კი ოჯახებთან მუშაობა საერთოდ არც ევალებათ (მ. წერეთელი, ინტერვიუ). ასევე, დგას პოლიციელების მენტალიტეტის პრობლემაც, ხშირად ისინი ძალადობის ფორმებს ვერც კი ამოიცნობენ (მ. მესხი, ინტერვიუ), რადგანაც ბავშვის მიმართ ფიზიკური დასჯის გამოყენება ფართოდ არის გავრცელებული და მისაღებად მიიჩნევა (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ). გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის³ მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური დასჯა მიჩნეულია ბავშვის აღზრდის მისაღებ მეთოდად მოსახლეობის უმრავლესობისთვის. მართალია, ბევრი პოლიციელი გადამზადდა, მაგრამ მათი რაოდენობა არაა საკმარისი. კიდევ ბევრი პოლიციელი არის გადასამზადებელი იმისთვის, რომ “სათანადო მონოდების სიმალლეზე იყვნენ” (მ. მაღლაფერიძე, ინტერვიუ).

სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი ხაზს უსვამს, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა ოჯახში ძალადობის კონტექსტში უნდა განიხილებოდეს, რაც ნიშნავს, რომ ოჯახებთან მუშაობა უფრო მეტი ინტენსივობით უნდა წარიმართოს (მ. წერეთელი, ინტერვიუ), საჭიროა მეტი ვიზიტი ოჯახებში (ნ. შატბერაშვილი, ინტერვიუ). თუმცა ფაქტია, რომ ამ ეტაპზე, მწირი ადამიანური რესურსების გამო, ოჯახებთან ამ კუთხით მუშაობა ვერ ხერხდება (მ. წერეთელი, ინტერვიუ). გარდა ამისა, ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა გაიდლაინების დამუშავება და რეფერირების პროცედურების დახვეწა (მ. წერეთელი, მ. მესხი, მ. გედევანიშვილი, ნ. ფირაშვილი, მ. მაღლაფერიძე, ინტერვიუ). უნდა შეიქმნას ძალიან მარტივი და გასაგები ინსტრუმენტი, რომლითაც მომზადდებიან პროფესიონალები, რაც გაუადვილებს მათ ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციას და, შესაბამისად, რეაგირებასაც (ი. სარჯველაძე, ინტერვიუ). ზუსტად უნდა გაიწეროს სანქციები და რეგულაციები, რადგან ჩვენ ვართ ისეთი ქვეყანა, რომელიც სანქციების გარეშე ვერ სწავლობს” (ნ. ფირაშვილი). როგორც ცნობილია, გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით, რეფერალის დოკუმენტში შედის ცვლილებები, რაც გაზრდის შესაძლებლობას, რომ საჯარო სკოლები უფრო ეფექტურად ჩაერთონ ამ პროცედურებში. ამჟამად საჯარო სკოლებიდან რეფერალის ფორმების შევსების მაგალითები თითქმის არ არსებობს (ე. დგებუაძე, ინტერვიუ). სწორედ გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით გაიზარდა იმ პროფესიონალების ჩამონათვალი, რომლებმაც რეფერირებაში უნდა მიიღონ მონაწილეობა. ეს მოიცავს ადამიანების ფართო სპექტრს, ყველა იმ უწყებას, სადაც ბავშვი გაივლის. თუმცა ეს არ არის საკმარისი. მთავარია, ეს ყველაფერი ამუშავდეს. (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ).

ახალი რეფერირების პროცედურების შემუშავებაში ყველა უნდა ჩაერთოს: თვითმმართველობა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი, არასამთავრობო სექტორი. საჭიროა ისეთი მექანიზმები, რომლებითაც შესაძლებელი იქნება ადრეული პრევენციული ჩარევა. ძირითადად, რეფერირების კანონმდებლობის განხორციელებაში შემდეგი ხარვეზები იკვეთება:

- ერთ სექტორში მომუშავე ან უწყებათაშორისი თანამშრომლობის არაეფექტიანობა და სისუსტე. მაგალითად, გამოძახების ადგილზე ვერ თანხმდებიან პოლიცია და სოციალური მუშაკი და ხშირად მსხვერპლი რჩება დაუცველი, ან სკოლაში ვერ თანხმდებიან მანდატური და პედაგოგი, როდესაც მანდატური ატყობინებს პედაგოგს, ხოლო მისი მხრიდან არ ხდება რეაგირება ან - პირიქით; ამდენად, საჭიროა უწყებათაშორისი თანამშრომლობაში ხარვეზების გამოსწორება (ნ. შატბერაშვილი, ინტერვიუ), კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა (ნ. ფირაშვილი, ინტერვიუ).
- უწყებებში მომუშავე სპეციალიტებზე გავლენას ახდენს კულტურული ფაქტორები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ოჯახში ბავშვი არის ირიბი მსხვერპლი. ეს განსაკუთრებით ეხება სკოლასა და

3 ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, გაეროს ბავშვთა ფონდი, ივლისი, 2013

პოლიციას (ნ. შატერაშვილი, ინტერვიუ).

- რეფერირების მექანიზმის შესახებ ინფორმირებულობის სიმწირე (ნ. შატერაშვილი, ინტერვიუ);
- საზოგადოების ტოლერანტობა ძალადობის მიმართ. შესაძლოა კულტურული ცნობიერების ამაღლება ფილმების ჩვენებით, რათა საზოგადოებამ გააცნობიეროს, თუ რა შედეგით შეიძლება, დასრულდეს მათი მხრიდან ჩაურევლობა (ნ. შატერაშვილი, ინტერვიუ);
- მედიაში სწორი აქცენტების გაკეთების საჭიროება, მაგ. მსხვერპლი ბავშვის ნაცვლად უნდა აჩვენონ მოძალადე და "ხალხმა ნახოს, თუ ვის თანაუგრძნობს" (ნ. შატერაშვილი, ინტერვიუ). საჭიროა, მედია საშუალებებმა იმუშაონ ადამიანების ცნობიერების ამაღლებაზე ინფორმაციის სწორი მიწოდებით და არა "არაფრის მომცემი შოუების" დადგმით (მ. მესხი, ნ. შატერაშვილი, ინტერვიუ).

მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის ეფექტიანად განხორციელებისათვის, ასევე, მნიშვნელოვანია ზემოთ ნახსენები, რეფერირებაში ოფიციალურად ჩართული სამსახურების ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან კოორდინირებული მუშაობა (გ. მამრიკიშვილი, ინტერვიუ). ადგილობრივ მუნიციპალიტეტში უნდა მუშაობდეს 1-2 სოციალური მუშაკი, რომლებიც მიიღებენ პირველად ინფორმაციას, მოახდენენ ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიკაციას და, საჭიროებისამებრ, ჩაერევიან ან რეფერირებას მიმართავენ.

ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორი მიუთითებს, რომ ძალადობის იდენტიფიკაცია პრობლემაა, რადგანაც არ არსებობს ერთიანი სტანდარტი. თუმცა, ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია ამ ფონდის და, ასევე, არასამთვრობო სექტორის თავშესაფრებში მეტ-ნაკლებად ეფექტიანად მიმდინარეობს ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის მონაწილეობით (მ. მესხი, ინტერვიუ). სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელიც აღნიშნავს, რომ სახელმწიფო თავშესაფრები კარგად მუშაობენ, მაგრამ ასეთი თავშესაფრები მხოლოდ დიდ ქალაქებში არსებობს, რაც არასაკმარისია (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ). აღინიშნა, აგრეთვე, რომ საჭიროა ამ თავშესაფრების მონიტორინგი და იმის გადამოწმება, თუ რამდენად შეესაბამება მათი მუშაობა საერთაშორისო სტანდარტებს (ნ. ფირაშვილი, ინტერვიუ). შეიძლება ითქვას, რომ ყველა თავშესაფარი სრული დატვირთვით მუშაობს, თუ არაა ადგილი, ბენეფიციარებს ტრეფიკინგის თავშესაფარში ათავსებენ ან არასამთავრობო სექტორში რეფერირებას ახდენენ, უპირატესობა შვილიანებს ენიჭებათ (მ. მესხი, ინტერვიუ). საჭიროა, მსხვერპლი არ გამოგვყავდეს ოჯახიდან და მოძალადესაც უტარდებოდეს სარეაბილიტაციო მომსახურება (ნ. შატერაშვილი, ინტერვიუ). ჯერჯერობით არ არსებობს მოძალადეთა სახელმწიფო დახმარების მომსახურებები, თუმცა ამ საკითხების განსახილველად საჭიროა პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან თანამშრომლობა, მაგრამ ამ ეტაპზე ეს არ იგეგმება (მ. მესხი, ინტერვიუ).

საჭიროა, ასევე, არსებობდეს თავშესაფრიდან გასვლის შემდგომი მხარდაჭერი ეფექტიანი მექანიზმები, რათა მსხვერპლმა არ დაკარგოს, ან მარტივად მოხდეს მისი სტატუსის შესაბამისი დახმარების აღდგენა-მიღება (ნ. შატერაშვილი, ინტერვიუ).

სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის დეპარტამენტის უფროსის აზრით, უფრო ეფექტიანი რეაბილიტაციისა და სწრაფი რეაგირების უზრუნველსაყოფად საჭიროა, ე.წ. "ემერჯენსი" - ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრების დაარსება, სადაც მსხვერპლთა პირველადი დახმარება და 24 საათიანი მომსახურება იქნება უზრუნველყოფილი. ამგვარი სერვისების განვითარება და მიწოდება არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით არის შესაძლებელი. ასევე, მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკების კადრების დამატება სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის (მ. წერეთელი, ინტერვიუ), "სოციალური მუშაკის რესურსი ჯერჯერობით ვერ ფარავს იმ საჭიროებებს, რომლებიც არსებობს ჩვენს ქვეყანაში" (ი. სარჯველაძე, ინტერვიუ). გარდა ამისა, საჭიროა სოციალური მუშაკების გადამზადება, პროფესიული განვითარება, რათა მათ შეძლონ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ეფექტური მუშაობა (მ. წერეთელი, ე. დგებუაძე, ინტერვიუ). ბავშვის გამოყვანა მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევებშია დასაშვები, სხვა შემთხვევებში უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რომ გაჯანსაღდეს ოჯახის ფსიქოლოგიური გარემო, ოჯახის წევრებს შეასწავლონ პრობლემის არაძალადობრივი, მშვიდობიანი გზით გადაჭრის მეთოდები და ა.შ. (მ. წერეთელი, მ. მაღლაფერიძე, ინტერვიუ). აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს საპატრიარქოს სოციალურ საკითხთა

დეპარტამენტის უფროსი, რომელიც აღნიშნავს, რომ მშობლებს სჭირდებათ სწავლება ბავშვის აღზრდის საკითხებში, კერძოდ თუ როგორ უნდა მართონ ბავშვის ქცევა არაძალადობრივი მეთოდების გამოყენებით (ზ. ვარაზი, ინტერვიუ).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები შეადგენენ მაღალ რისკკუთხედს, რომლებიც ხშირად განიცდიან ძალადობას ოჯახის წევრების მხრიდან. ამიტომ საჭიროა ამ მიმართულებით სპეციფიკური მიდგომების დანერგვა როგორც იდენტიფიკაციის, ასევე, რეაბილიტაციის კუთხით (გ. მამრიკიშვილი, ინტერვიუ). მაგალითად, გვქონდა ძალადობის შემთხვევები, როცა "ოჯახში მხედველობის პრობლემების მქონე გოგონას არ ესაუბრებოდნენ, მაინც ვერ ხედავს და რას გაიგებსო" (ნ. ფირაშვილი, ინტერვიუ).

ძალადობის მსხვერპლები არიან, აგრეთვე, ბავშვები, რომელთაც მშობლები ამათხოვრებენ ქუჩაში, ბავშვები, რომლებიც „1 და 2 წლის არიან და მთელი დღე ქუჩაში „ყრიან“, ყველამ ვიცით, რომ წამლებით არიან „გაჭყიპულები“ და სძინავთ. ეს ხომ ძალადობაა?!". სახელმწიფო ამაზე არ რეაგირებს" (მ. მაღლაფერიძე, ინტერვიუ). ამრიგად, ქუჩის ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა ძალადობის მსხვერპლია.

არსებობს ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვა ფორმებიც. მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი ამბობს, რომ "სახალხო დამცველთან წელს გახშირდა შემთხვევების დაფიქსირება, როცა მოძალადეები არიან სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დირექტორი ან მასწავლებლები" (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ).

საჭიროა ძალადობის მიზეზების კვლევაც და იმ მიზეზების შემცირება, აღმოფხვრა, რომლებიც იწვევს ძალადობას. ზოგადი სურათით, ძალადობა ხშირად თანმდევიან სოციალურად დაუცველი ოჯახებისა, რადგანაც სოციალური მიზეზები, მათ შორის უმუშევრობა, შესაძლოა, იწვევდეს ადამიანების გაღიზიანებას და შემდგომ ამ აგრესიის გადატანას ოჯახის წევრებზე. შესაძლოა, ეს იყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეები, ამაშიც სჭირდებათ ოჯახებს დახმარება და რეაბილიტაციის შეთავაზება (ე. დგებუაძე, ინტერვიუ).

არასამთავრობო და სამთავრობო სექტორებს შორის არსებობს წარმატებული თანამშრომლობა (რესურსების გაზიარება, კანონმდებლობაზე მუშაობა, და ა.შ.), თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ამ თანამშრომლობამ მიიღოს სისტემური ხასიათი (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ). არასამთავრობო სტრუქტურების მთვარი როლია ძალადობის, როგორც სამოქალაქო საზოგადოებისთვის ყველაზე აქტუალური პრობლემის, იდენტიფიკაცია, საჯაროდ გამოტანა და განხილვა (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ).

გამოითქვა აზრი, რომ კარგი იქნება, თუ ის ადამიანური რესურსი, რომელიც დღეს არასამთავრობო სექტორში მუშაობს, გადმოვა სამთავრობო სექტორში (გ. მამრიკიშვილი, ინტერვიუ). ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა მუშაობდნენ სარეაბილიტაციო პროგრამების/მომსახურების შეთავაზებაზე (ნ. შატერაშვილი, მ. წერეთელი, ი. სარჯველაძე, მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ), პრევენციულ-საგანმანათლებლო პროგრამებზე (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ). ასევე, ძალადობის იდენტიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით არასამთავრობო სექტორი სახელმწიფოს უნდა დაეხმაროს უწყებებში ჩართული ყველა რგოლის გადამზადებაში (ნ. შატერაშვილი, მ. წერეთელი, ინტერვიუ). მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის საკითხებზე გენდერული ორგანიზაციებიც მუშაობდნენ. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე არაფორმალური განათლების მიცემა მთლიანად არასამთავრობო სექტორის პრეროგატივაა (მ. გედევანიშვილი, ინტერვიუ).

ფოკუს ჯგუფების ანალიზი

მომსახურების მიმწოდებლები, კოორდინატორები და პრაქტიკოსები

კოალიციის ფოკუს ჯგუფში ძალადობის საკითხთან დაკავშირებით გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. **გასაღრმავებელია სექტორებს შორის თანამშრომლობა.** უნდა არსებობდეს **ოჯახების მონიტორინგის შესაძლებლობა.** სოციალურ მუშაკს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია, უნარები და ვალდებულებები. ასევე, უნდა **არსებობდეს მექანიზმები, რომლებიც მას დაიცავენ გადაწყვეტილებას** და სისტემა უზრუნველყოფს კადრების შენარჩუნებასა და რაოდენობრივ გაზრდასაც კი.

აღინიშნა ისიც, რომ ძალადობის შემთხვევების გამოვლენის კუთხით **სუსტია განათლებისა და**

მეცნიერების სამინისტროს როლი. მთავარ პრობლემად გამოიკვეთა პედაგოგების მხრიდან ნაკლები რეაგირება ძალადობის შემთხვევებზე. ასევე, პოლიციელების მხრიდან არასათანადო ჩართულობა.

თუმცა, მეორე მხრივ, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ **იმატა გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობამ**, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გაუმჯობესდა სოციალური მუშაკების მხრიდან შემთხვევათა იდენტიფიკაციისა და გადამისამართების მექანიზმი.

გამოიკვეთა აზრი, რომ კარგი იქნება, თუ მოხდება სოციალური მუშაკების ვალდებულებების დიფერენცირება. ასევე, აღინიშნა, რომ **მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება** ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რასაც მუდმივი ხასიათი უნდა ჰქონდეს. უნდა განისაზღვროს **მოძალადის რეაბილიტაციის მექანიზმებიც**.

სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა ფოკუს ჯგუფში გამოიკვეთა აზრი, რომ ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა, რადგან საჭირო სერვისები ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის მინიმალურია. ძალიან რთულია ფსიქოლოგიისა და ბავშვის სარეაბილიტაციო მომსახურებების მოძიება. არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ძალადობის შემთხვევებზე მუშაობის კუთხით, გამოიყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, თუმცა ფონდის ფსიქოლოგი ამჟამად მხოლოდ სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობს.

მობილური სოციალური მუშაკები, რომლებიც მუშაობენ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან, **სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობას უარყოფითად აფასებენ**. მათი თქმით, კანონმდებლობა არ ავალდებულებს და არ აძლევს შესაძლებლობას პოლიციას, სათანადოდ დაიცვას ბავშვის უფლებები. შესაბამისად, ყველა შემთხვევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება უბნის ინსპექტორის/პატრულის პიროვნულ კეთილ ნებას, იმოქმედოს ბავშვის უფლებების დასაცავად. მონაწილეებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ პოლიციამ ხშირად არ იცის ისიც კი, რაც მათ კანონით ევალებათ, რაც, ასევე, აფერხებს სოციალური მუშაკების მუშაობას. მაგალითად, მათ არ იციან, როგორ შეავსონ საკუთარი ოქმი, არ წერენ შემთხვევებზე ორდერს, თუნდაც ფიზიკური კვალის არსებობის შემთხვევაში და ა.შ. ასევე, ხშირად თავად პოლიცია ლახავს ბავშვის უფლებებს არაპროფესიონალური ჩარევით. მიუხედავად იმისა, რომ, რესპონდენტების თქმით, დაახლოებით 200 პატრული გადამზადდა ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებში, მათი როლი რეფერირების პროცედურების ამოქმედებაში მაინც ძალიან სუსტია. თუმცა, ასევე, აღსანიშნავია, რომ, მონაწილეთა ნაწილის თქმით, სამართალდამცავი უწყებები გაცილებით ეფექტურად თანამშრომლობენ, როდესაც სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოფიციალური წერილი მიდის მათ ბემდგომ პირებთან/უწყებებთან.

არასამთავრობო სექტორში მომუშავე პრაქტიკოსებმა (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა პროფესიონალები) აღნიშნეს, რომ მათი ორგანიზაციების ბენეფიციარებს, რომლებიც ძალადობის მსხვერპლი არიან, საკუთარი რესურსებით ეხმარებიან (ძირითადად, მათთან დასაქმებული ფსიქოლოგი). თუმცა სახელმწიფოს ფსიქოლოგიისა და, ასევე, სხვა ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო მომსახურების ძალიან შეზღუდული რესურსი გააჩნია. ფაქტობრივად, არასამთავრობო სექტორში მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაციაა, რომლებიც სპეციფიკურად მუშაობენ ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან: საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი (თუმცა მხოლოდ სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე), ორგანიზაცია „მწვანე ოთახი“ და თამარ გაგოშიძის ცენტრი. მონაწილეთა აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეაბილიტაციის კუთხით უკეთესი კოორდინაცია სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია მულტიდისციპლინური მიდგომა ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობის პროცესში. დამატებით, მონაწილეთა აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების ინფორმირება, თუ ვის მიმართონ და როგორ მოიქცნენ ძალადობის შემთხვევაში.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში დასაქმებული სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და მანდატურების ფოკუს ჯგუფმა ისაუბრა მანდატურის სამსახურის მოვალეობებისა და ფუნქციების შესახებ. კერძოდ, აღინიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სკოლები და მანდატურის სამსახური განათლების მინორდებასა და ბავშვების ძალადობისგან დაცვაზეა ორიენტირებული; მანდატურის სამსახური ავლენს რისკის არსებობას სკოლებში. რისკი, ძირითადად, ბავშვის ქცევით და ემოციურ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ნაკლებად რთულ შემთხვევებში მანდატური თავად ატარებს ბავშვთან გასაუბრებას, თუმცა ამ დონეზე პრობლემის მოუგვარებლობისას შემთხვევას ამისამართებს ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრში.

საჭიროების შემთხვევაში (თუ სიტუაციის განმუხტვა რთულია), მანდატური იძახებს პოლიციას. ასევე, ძალადობის შემთხვევაში გადამისამართება ხდება სოციალური მომსახურების სააგენტოში. ფსიქოლოგიური ცენტრი აფასებს შემთხვევას, სახავს გეგმას და ახორციელებს საჭირო ჩარევას (სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, ფსიქოთერაპევტისა და ფსიქიატრის მეშვეობით). ტარდება ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები და, ასევე, მშობლებსა და ოჯახის წევრებთან ცალკე მუშაობა. ოჯახში ვიზიტების საჭიროების თაობაზე ეცნობება სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელიც ახორციელებს ვიზიტებს.

ზემოთ აღწერილი სქემით მუშაობს მანდატურის სამსახური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან (სთავაზობს მათ ხელთ არსებულ მომსახურებებს). შეზღუდვა აქვთ გონებრივი და ფსიქიკური პრობლემების მქონე ბავშვების შემთხვევაში, რომელთაც ვერ სთავაზობენ მომსახურებებს. მონაწილეების აზრით, სწორედ ამ სეგმენტისთვის ძალადობის შემთხვევაში ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მომსახურებების მიწოდება წარმოადგენს უდიდეს პრობლემას, რადგან უფასო მომსახურებები სახელმწიფოს არ აქვს და არასამთავრობო სექტორშიც ისინი საკმაოდ მწირია.

სამართლის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა პროფესიონალები, აღნიშნავენ, რომ ისინი ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას უზუნველყოფენ საკუთარი სამიზნე ჯგუფებისათვის. მათი აზრით, არასრულწლოვანთან მიმართებით, ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ჩართვა. ამ ეტაპზე პრობაციის სამსახური და სასჯელაღსრულების დანესებულებები ოფიციალურად ვერ მიმართავენ სოციალური მომსახურების სააგენტოს, თუმცა არაოფიციალური მიმართვები მათ განუხორციელებიათ.

მომსახურების მიმღებები - ბენეფიციარები

ეროვნულ კოალიციასთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს წევრები საუბრობენ ბავშვთა შორის ძალადობაზე, რომელიც ხშირად ხდება ქუჩაში და სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებს, განსაკუთრებით ბიჭებს, შორის. მათი აზრით, საჭიროა მოძალადის დახმარება.

ქუჩაში მცხოვრები ბავშვებიც აღნიშნავენ, რომ ხშირია ბავშვებს შორის ძალადობა, ჩხუბი. ხშირად საჭირო ხდება ხოლმე მათი გაშვება, თუ კონფლიქტი დიდ ჩხუბში გადაიზარდა. მათი აზრით, ამ ჩხუბში უნდა ჩაერთოს ნეიტრალური ადამიანი და არა პოლიცია. ბავშვების თქმით, „დიდი ადამიანებიც“ ეჩხუბებიან ბავშვებს, ასევე, ხშირია, როცა უმიზეზოდ სდებენ რაღაცაში ბრალს (მაგ. რამის მოპარვაში). ხშირად ქუჩაში მყოფი ბავშვები სექსუალური ძალადობის მსხვერპლნიც ხდებიან.

მინდობით აღზრდასა და მცირე საოჯახო ტიპის სახლში მყოფი ბავშვების აზრით, ძალადობა შეიძლება ნებისმიერ ოჯახში იყოს. მათ აღნიშნეს, რომ ისინი თავს დაცულად გრძნობენ. თუმცა გვხვდება ბავშვთა შორის გარკვეული ძალადობის შემთხვევები. მათი აზრით, სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს ფსიქოლოგიურად, ჩამოაშოროს მშობელს, თუ იგი მოძალადეა. აღნიშნეს ისიც, რომ მოძალადესაც სჭირდება ფსიქოლოგიური დახმარება. მონაწილეები ფიქრობენ, რომ თუ ოჯახებში ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება, მაშინ ასეთ ოჯახებში ძალადობის უფრო ნაკლები შემთხვევა იქნება. დღეისათვის კი სახელმწიფომ არ იცის, თუ რამდენ ოჯახში ხდება ძალადობა და, შესაბამისად, ვერც ეხმარება მათ ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციაში.

მოძალადე მშობლებმა არ იციან, რომ ძალადობის გამოყენება „ცუდია“. მოძალადეს სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ცნობიერების ამაღლებასა და ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციაში, ასწავლოს მას აღზრდის არაძალადობრივი მეთოდები. „ძალადობის მიზეზია ის, რომ მშობლები ვერ უკვებენ ბავშვებს“.

რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების მშობლების აზრით, ძალადობას, ძირითადად, საფუძვლად უდევს ოჯახში არსებული დაძაბულობა, რისი საფუძველიცაა მატერიალური პრობლემები. როცა მშობლები დაძაბულები არიან, ეს, რა თქმა უნდა, შვილზეც აისახება. გამოითქვა მოსაზრება, რომ **მთავარია, მშობელმა სწორად დასაჯოს ბავშვი, ანუ უმიზეზოდ არ დასაჯოს**. აღინიშნა ისიც, რომ **მოძალადეებს დახმარება არ სჭირდებათ** და ისინი უარეს დღეში უნდა ამყოფონ. მშობლებს **არ აღმოაჩნდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას აკეთებს სახელმწიფო ან არასამთავრობო სექტორი ძალადობის საკითხთან დაკავშირებით**.

დასკვნა

სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლები ხედავენ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების საფუძვლიანი ცვლილებების საჭიროებას. განახლებული რეფერირების პროცედურების შემუშავებაში ყველა დაინტერესებული მხარე უნდა ჩაერთოს, მათ შორის სოციალური მომსახურების სააგენტო, თვითმმართველობა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი, არასამთავრობო ორგანიზაციები. როგორც ცნობილია, გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით ხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლის ფარგლებშიც უფრო დეტალურად გაიწერება რეფერირების პროცედურები, გზამკვლევები და შესაძლებელი გახდება ადრეულ ეტაპზე ძალადობის პრევენცია. ყველა სისტემა უნდა იყოს ჩართული ძალადობის იდენტიფიკაციაში, დაწყებული ოჯახიდან, მეზობლიდან, ნათესავიდან და დამთავრებული ბაღით, სკოლითა და უბნის ექიმით. მხოლოდ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკი არ უნდა იყოს პასუხისმგებელი ძალადობის იდენტიფიკაციის საკითხებზე. ასევე, გამოიკვეთა საჭიროება, რომ გაიზარდოს სოციალური მუშაკების რაოდენობა და გადამზადდნენ ოჯახში ძალადობის მიმართულებით. არასამთავრობო სექტორის ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს, რომ სოციალური მუშაკების სპეციალიზება კონკრეტულ სფეროებში ხელს შეუწყობდა მეტი პროფესიონალიზმით საქმის შესრულებას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ არსებული სისტემის ყველაზე სუსტ რგოლებად შეფასებულია პოლიცია, როგორც ძალადობისგან დაცვის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი და სკოლა, როგორც ბავშვისა და ოჯახის მხარდამჭერი ინსტიტუტი.

ძალიან მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოიკვეთა ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის მიმართულებით, რომელსაც უფრო უკეთ აცნობიერებენ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები. კერძოდ, ეს ეხება ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციის საკითხებს. აღმოჩნდა, რომ ასეთი სარეაბილიტაციო მომსახურების ძალიან დიდი სიმწირეა როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორებში. მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია სპეციალიზდება ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციაზე და ისიც მხოლოდ გარკვეული მიმართულებით (სექსუალური ძალადობა). ასევე, არ არსებობს რესურსი, რომელიც გონებრივი შეზღუდვის და ფსიქიკური პრობლემების მქონე ბავშვებს აღმოუჩენს დახმარებას ძალადობის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს აქვს ფსიქოლოგის მომსახურება, იგი ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც პრაქტიკაში ჩნდება. იკვეთება საჭიროება, ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში დაინერგოს მონიტორინგის სისტემა. დასახელდა სხვა ტიპის სარეაბილიტაციო მომსახურების სახეების დანერგვის აუცილებლობაც, მაგალითად, ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრები, სხვა მხარდამჭერი მომსახურებები, როდესაც მსხვერპლი ტოვებს თავშესაფარს და ა.შ.

გამოიკვეთა ის ძირითადი მიზეზებიც, რომელთა გამოც ვერ მუშაობს ახლანდელი ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) დოკუმენტი. პირველ რიგში, ეს არის საზოგადოების მენტალიტეტი, რის გამოც კარგად ვერ აცნობიერებს, რა არის ძალადობა, რა გამოვლინებები აქვს მას. აღინიშნა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ბავშვების ფიზიკურ დასჯას მისაღებად მიიჩნევს. რასაკვირველია, დაბალია ყველა იმ მნიშვნელოვან რგოლში მომუშავე ადამიანის ცნობიერებაც, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ძალადობის იდენტიფიკაციაზე, ამიტომ ეს უარყოფითად აისახება არსებულ რეალობაზე და ბავშვთა მიმართ ძალადობის ბევრი შემთხვევა რჩება რეაგირების გარეშე. საჭიროა სკოლის მასწავლებელთა, პოლიციის მუშაკთა ცნობიერების ამაღლება, ინფორმირება რეფერირების პროცედურების შესახებ და ა.შ. ხოლო სოციალური მუშაკები კი უფრო მეტი რეგულარობით და ინტენსივობით უნდა ახორციელებდნენ ოჯახში ვიზიტებს, რათა ყველა შემთხვევა ადრეულ ეტაპზე გამოვლინდეს. არასამთავრობო სექტორი საუბრობს ოჯახების მონიტორინგის მექანიზმზეც. ყველა, სამთავრობო თუ არასამთავრობო, სექტორი თანხმდება, რომ ძალიან მოიკოჭლებს მანდატურის სამსახური, ფაქტობრივად, ის ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს. თავად მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები კი არარეალისტურად აფასებენ თავიანთ უფლებამოსილებებს მთლიანად ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების აღსრულების პროცესსა და ბავშვთა დაცვის სისტემაში. ყველაფერ ამას მიყვავართ უწყებათაშორისი თანამშრომლობის პრობლემების განხილვამდე, რასაც უამრავი ექსპერტი ერთხმად აღნიშნავს. საჭიროა უკეთესად კოორდინირებული და სისტემური მუშაობა როგორც სამთავრობო უწყებებს შორის, რომლებიც ოფიციალურად არიან ჩართულნი ამ პროცედურების განხორციელებაში, ასევე, თანამშრომლობა ადგილობრივ მთავრობას, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებს შორის. ასევე, გამოითქვა მოსაზრება მედიის დანიშნულებისა და როლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების შეცვლის მიზნით. აღინიშნა, რომ დღევანდელი მედია საშუალებები

ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას ამ მიმართულებით.

საინტერესოა, რომ ბენეფიციარების დიდი უმრავლესობა საუბრობს ბავშვთა შორის ძალადობაზე და, ასევე, იმ ძალადობაზე, რომელსაც ხვდებიან ბავშვები ინსტიტუციისა და ქუჩაში სხვა ადამიანების მხრიდან. ბავშვები მოითხოვენ, რომ სახელმწიფომ დაანსოს მკაცრი კონტროლი იმ მშობლებზე, რომლებიც ძალადობენ თავიანთ შვილებზე და თუკი შეუძლებელია მათი გამოსწორება, ბავშვები მშობლებს ჩამოაშორონ. ექსპერტების საუბრობენ მოძალადეთა სახელმწიფო სარეაბილიტაციო პროგრამების საჭიროებაზე, თუმცა ამ მხრივ საერთოდ არც ერთი ნაბიჯი არაა გადადგმული. საუბარია სოციალური მომსახურების სააგენტოს, პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან თანამშრომლობაზე, სადაც შესაძლოა, დაინერგოს გარკვეული სარეაბილიტაციო მომსახურებები მოძალადეთათვის. ზოგადად, სოციალურმა მუშაკმა მაქსიმალურად უნდა იზრუნოს ძალადობის პრობლემის მქონე ოჯახის ფსიქოლოგიური გარემოს გაჯანსაღებაზე და მხოლოდ ამკარა ფიზიკური ძალადობის დროს გამოიყვანოს ბავშვი ოჯახიდან.

გამოიკვეთა ორი ყველაზე მონყვლადი ჯგუფი, რომლებიც, მაღალი ალბათობით, ყველაზე მეტად განიცდიან ძალადობას. ესენი არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვები. მათთვის საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

არასამთავრობო სექტორის დანიშნულებაც ძალიან ნათლადაა განსაზღვრული ორივე სექტორის მხრიდან. კერძოდ, ახალი სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომსახურებების შეთავაზება სახელმწიფოსთვის, ასევე, კადრების გადამზადებაში დახმარების აღმოჩენა.

კონტენტ-ანალიზის შედეგები

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასების მიზნით, სისტემაში არსებული ხარვეზებისა და საჭიროებების გამოსაკვეთად, მონაცემების გაანალიზების მეთოდად შერჩეულ იქნა შინაარსობრივი ანალიზის, ანუ კონტენტ ანალიზის, მეთოდი. კერძოდ, გამოყენებულ იქნა შერეული კონტენტ ანალიზი, რომელიც მოიცავს, როგორც თვისებრივ, ასევე, რაოდენობრივ ანალიზს. მას შემდეგ, რაც შეიქმნა ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერვიუების ტრანსკრიპტები, გამოიყო ძირითადი აზრობრივი (კოდირებადი) ერთეულები და მოხდა მათი კლასიფიცირება ძირითად კატეგორიებსა და ქვეკატეგორიებში. ამის შემდეგ, დათვლილ იქნა თითოეული აზრობრივი ერთეულის სიხშირეები. ობიექტურობის მისაღწევად კოდირებას ახდენდა ორი დამოუკიდებელი ექსპერტი.

ტრანსკრიპტები გაანალიზდა ოთხი ძირითადი მიმართულებით: 1. პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება; 2. ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდები; 3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; 4. ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია. ქვემოთ მოცემულია ამ ოთხი ძირითადი მიმართულებით ანალიზის შედეგები.


პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება

პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერების მიმართულებაში გამოიკვეთა კონკრეტული საჭიროებები სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორთან დაკავშირებით.

სახელმწიფო სექტორი

სახელმწიფოს მიმართ ცალ-ცალკე გამოიყო ძირითადი კატეგორიები, როგორიცაა სისტემური საკითხები, ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები. დიაგრამებზე მოცემულია ყველაზე ხშირად დასახელებული ქვეკატეგორიები.


დიაგრამა 1: სისტემური საკითხები



ზემოთ დასახელებული ქვეკატეგორიების გარდა, გამოიყო შემდეგი საკითხები: რეინტეგრაციის და მინდობითი აღზრდის მონიტორინგის სისტემის განვითარება და დახვეწა; სოციალური მუშაკის ვიწრო სპეციალიზაციის საჭიროება სხვადასხვა მიმართულებით; სოციალური მომსახურებების გზამკვლევის შემუშავება გადამისამართების სისტემის გაუმჯობესების მიზნით; საქველმოქმედო ფონდის შექმნა ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის; პირველადი ჯანდაცვის სისტემის გააქტიურება; დასაქმების ხელშეწყობა და დასაქმების ბაზრის განვითარება; საგადასახადო შეღავათების გაზრდა სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის; ზრუნვის სისტემაში მყოფი და მოწყვლადი ახალგაზრდების სექსუალური განათლებით უზრუნველყოფა; სხვადასხვა რელიგიური კონფესიების მფლობელობაში მყოფი ბავშვთა სახლების, თავშესაფრების გაკონტროლება სახელმწიფოს მიერ; ზრუნვას მოკლებული ბავშვების შესახებ მონაცემთა ბაზის დახვეწა, სტატისტიკის წარმოება, მუდმივი განახლება; ჩვილ ბავშვთა სახლის საკითხის გადანაცვლება; თემის მობილიზაცია და განვითარება, მისი განათლების ხელშეწყობა.

ამრიგად, ყველაზე მნიშვნელოვანად არის აღიარებული ამ სფეროში სისტემური მიდგომების მხარდაჭერა, პროაქტიულობა, პრობლემების მრავალმხრივი განხილვა და მულტიდისციპლინური, ეკოსისტემური მიდგომების გამოყენება. არანაკლები ყურადღებაა გამახვილებული ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის საკანონმდებლო ბაზის დახვეწის მიმართულებით. საინტერესოა, რომ დიდია აქცენტი სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ ღონისძიებების გატარების საჭიროებაზე (როგორცაა ოჯახების ფინანსური გაძლიერება, განსაკუთრებით, რეინტეგრირებული ოჯახების სოციალური შემწეობის გაზრდა) და ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკური ფონის გაუმჯობესებაზე. გამოიკვეთა სოციალური მუშაკების კადრების გაზრდის აუცილებლობა, მათი პროფესიული უნარების დახვეწისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების საჭიროება. აშკარად იკვეთება მუნიციპალიტეტების დონეზე სოციალური მუშაობის სამსახურის განვითარების ფოკუსი. ყოველივე ზემოთ დასახელებულის რეალიზაციაში მოსაყვანად კი ხაზგასმულია სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის და კოორდინაციის მნიშვნელობა და მტკიცებულებებზე, კვლევებზე დაფუძნებული საჭირო რეფორმების მხარდაჭერა.


დიაგრამა 2: ოჯახების გაძლიერებასთან დაკავშირებული საკითხები



ასევე, დასახელდა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ოჯახური ძალადობის მედიაკამპის პროგრამების განვითარების საჭიროება; ოჯახებისთვის მცირე ბიზნესის წახალისება; მცირეშემოსავლიანი ოჯახებისთვის ადვოკატობა საბანკო სექტორთან (საბანკო უზრუნველყოფა და საპროცენტო შეღავათების დაწესება); ყველა ღარიბი ოჯახის ჩართვა სიღარიბის პროგრამაში ("ბევრი ოჯახი სიამაყის გამო არ რეგისტრირდება"); რეგიონებში მუნიციპალიტეტების მიერ ღარიბი ოჯახების ბავშვებისათვის დამატებითი მომსახურების განვითარება: სრული დაფინანსება არჩევანის მიხედვით (სპორტული სექცია, მუსიკალური სექცია, მოსწავლე-ახალგაზრდობის წრეები - ინგლისური, კომპიუტერი და ა.შ.); რეგიონებში ოჯახებისთვის ბაგა-ბაღის და სხვა მომსახურებების ხელმისაწვდომობა.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტების მიერ „ოჯახის კატეგორიის“ ცალკე გამოყოფა ან წინ წამოწევა მიუთითებს ოჯახის მხარდაჭერის, გაძლიერების როლზე ბავშვთა კეთილდღეობის, ბავშვზე ზრუნვის ხარისხიანი სისტემის უზრუნველსაყოფად. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახის გაძლიერების ქვეშ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ოჯახების ფსიქოლოგიურ, ცნობიერების დონეზე მხარდაჭერას, ვიდრე მათ მიმართ ფინანსური, მატერიალური ინტერვენციების განხორციელებას. დანახულია იმის საჭიროება, რომ ოჯახი არ გახდეს სახელმწიფოზე ფსიქოლოგიურად მიჯაჭვული და არ „გაზარმაცდეს“. აქცენტები კეთდება მართლწესრიგისა და მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერაზე სხვადასხვა კუთხით. ასევე, გამოიკვეთა მეორე მიმართულებაც, რომ სახელმწიფო დახმარება მიიღონ იმ ოჯახებმაც (მათი ცნობიერების გაზრდა), ვინც სიამაყის გამო არ ცდილობს სოციალური შემწეობის მიღებას და ამის გამო ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში. გამოიკვეთა, რომ პრევენციული მიმართულების გაძლიერება პირდაპირ უკავშირდება ოჯახების გაძლიერებას მათთვის დივერსიფიცირებული (მატერიალური, ფსიქო-სოციალური, სამედიცინო, კვებითი, რეკრეაციული და სხვა დახმარებები), ოჯახზე მორგებული მომსახურებათა განვითარების გზით.

დიაგრამა 3: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები




მრავალფეროვან მომსახურებებში მოიაზრებდნენ დღის ცენტრების განვითარებას, შინ მოვლის სამსახურის განვითარებას, ადრეული ჩარევის მრავალფეროვანი მომსახურების განვითარებას (ადრეული დიაგნოსტიკა, სკრინინგი და სხვა), რაც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და მათ ოჯახებთან დროული მუშაობის დაწყებას, რითაც შესაძლებელი გახდება ამ ბავშვების ინკლუზია და მათი მდგომარეობის სწორი მართვა. კანონმდებლობის დახვეწაში კი გულისხმობდნენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი და სოციალურად დაუცველობის სტატუსი არ უნდა იყოს ერთმანეთზე მიბმული.

ასევე, დასახელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ინსტიტუციების საკითხის მოგვარების საჭიროება - ინსტიტუციაში მყოფი შშმ ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესება მათი საჭიროებების ძირეული შესწავლის საფუძველზე; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სექსუალური განათლების საჭიროება და გარემოს ფიზიკური ადაპტირების პრობლემები.

ამრიგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მიმართებაში ჩანს იმის საჭიროება, რომ განვითარდეს მათთვის მრავალფეროვანი და ეფექტიანი მომსახურებები, ასევე, ფორმალურად არსებული ინკლუზიური განათლება უკვე რეალურად განხორციელდეს როგორც რურალურ, ასევე, ურბანულ დონეზე. ხაზგასმულია სკოლამდელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ადრეული ჩარევების განვითარების მნიშვნელობა, მათთვის სკოლამდელი დღის ცენტრებისა და ბაგა-ბაღების განვითარების საჭიროება და ამ მომსახურებებში მათი ჩართულობა. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტების დიდი უმრავლესობა აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საჭირო მომსახურებების ცოდნის გაღრმავების მნიშვნელობას.


დიაგრამა 4: ქუჩაში მომუშავე და მცხოვრებ ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები



ამრიგად, აშკარაა, რომ ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან დაკავშირებით აღიარებულია „ამ ბავშვების არსებობის პრობლემა“, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრის გზები ნათლად არაა გააზრებული. ძირითადად, თავად ბენეფიციარებისგან არის წამოსული იდეა, რომ საჭიროა მათი ოჯახების დახმარება ფინანსური, მშობლის უნარების სწავლების, მოძალადის რეაბილიტაციის, დახმარების გზით. ქუჩაში მყოფი ბავშვებისგანვე არის ხაზგასმული, რომ მათთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხო, ძალადობისაგან დაცული გარემოს უზრუნველყოფა. ამასთან, ძალადობრივი გარემო არსებობს არა მხოლოდ მათ ბიოლოგიურ ოჯახებში, ასევე, ქუჩაში, სადაც მათ უხდებათ ცხოვრება. ძალადობა მოდის საზოგადოების თითქმის ყველა ფენისგან, განსაკუთრებით პოლიციისგან. დანახულია იმის საჭიროება, რომ ასეთი ბავშვები იქნენ იდენტიფიცირებულნი, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეები და მათთვის სახელმწიფომ ამ მიმართულებით განახორციელოს პროგრამები.

არასამთავრობო სექტორი

დიაგრამა 5: არასამთავრობო სექტორთან დაკავშირებული საკითხები




ოჯახების პრევენციულ ღონისძიებებში გულისხმობდნენ პრევენციული მექანიზმების შემუშავებას, ოჯახების ინტელექტუალურ დახმარებას, საგანმანათლებლო კუთხით მუშაობას (ტრენინგები, ხელობის სწავლება), ფსიქოლოგიურ დახმარებას, ბავშვების რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის პროგრამების ხელშეწყობას.

ამრიგად, არასამთავრობო სექტორის როლი დანახულია დაუცველი ჯგუფებისათვის მრავალფეროვანი მომსახურებების, ოჯახების პრევენციული პროგრამების პილოტირების კუთხით. ხაზგასმულია, იმის საჭიროება, რომ გაიზარდოს არასამთავრობო სექტორის პროფესიონალიზმი და დაფინანსების წყაროები, განსაკუთრებით, ხაზგასმულია, კერძო ბიზნესის ჩართულობის მნიშვნელობა.

ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ახალგაზრდებთან მუშაობა

ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ახალგაზრდებთან დაკავშირებით გამოიკვეთა კონკრეტული საჭიროებები, ძირითადად, სახელმწიფო სექტორის მიმართ.

დიაგრამა 6: ზრუნვის სისტემიდან გასულ ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხები



ამრიგად, გამოიკვეთა ზრუნვიდან გასული ახალგაზრდებისთვის მენტორობის ტიპის პროგრამების შეთავაზების საჭიროება. მენტორობაში გულისხმობდნენ მხარდაჭერას, მონიტორინგს, ადვოკატობას, ფულის განაწილების სწავლებას, ფინანსური მართვას, ახალ გარემოსთან ადაპტირებას, ოჯახებთან მუშაობას, ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას, პროფესიულ ორიენტაციას, იურიდიულ დახმარებას დოკუმენტაციის მონესრიგებაში, ჯანმრთელობის პრობლემების მონესრიგებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას, სპორტულ აქტივობებში ჩართვას და ა.შ. ასევე, საზგასმულია თანატოლთა მხარდაჭერის პროგრამების განვითარება. მომსახურებაში ჩარევა ძირითადად მოიაზრებდა სოციალური მუშაკის მხრიდან ბავშვის ოჯახთან გაძლიერებულ თანამშრომლობას ზრუნვის პერიოდში, მშობლისა და შვილის მიჯაჭვულობის გაძლიერებას, ხოლო ცალკე ქვეკატეგორიაში მოხვდა დამოუკიდებლობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება, რომელზეც მუშაობა აუცილებელია სწორედ ზრუნვაში ყოფნის პერიოდისა და.


სახელმწიფო პოლიტიკაში მოიაზრებდნენ სხვადასხვა მოდელის განვითარების საჭიროებას, კერძოდ, ზრუნვის შუალედური, ნახევრად დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცხოვრების მრავალფეროვანი მომსახურებების/პროგრამების განვითარებას. ამ პოლიტიკით უნდა განისაზღვროს, რომ ბავშვზე ზრუნვა სახელმწიფოს მხრიდან გახდეს უწყვეტი პროცესი. თითქმის ყველა რესპონდენტის მხრიდან ცალსახად განისაზღვრა, რომ სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდების დახმარება უნდა გრძელდებოდეს 18 წლის ზემოთ და ამისათვის უნდა არსებობდეს სახელმწიფოში სხვადასხვა მომსახურებები. თუმცა გამოიკვეთა საინინააღმდეგო აზრიც, რომ „ზრუნვიდან გასული ახალგაზრდის სტატუსი“ ასეთი ბავშვებისთვის რაიმე მომსახურებით სარგებლობის უპირატესობას არ უნდა განსაზღვრავდეს, არამედ სახელმწიფოში ყველა ბავშვის მომზადება ისე უნდა მოხდეს (ზრუნვის სისტემის ბაზაზე, ზოგად საგანმანათლებლო სისტემაში და ა.შ.), რომ მათ ეს დამატებითი შეღავათები არ სჭირდებოდეთ. ეს ზრდის ასეთი ბავშვების სტიგმატიზების რისკს საზოგადოებაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით გამოიკვეთა კონკრეტული საჭიროებები სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის მიმართ.

სახელმწიფო სექტორი

დიაგრამა 7: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხები



ამრიგად, გამოიკვეთა, რომ საჭიროა არასრულწლოვანზე ორიენტირებული სასამართლო სისტემის განვითარება (ციხის ფიზიკური მოწყობა არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიის თავისებურებების გათვალისწინებით, სოციალური მუშაკის ან პრობაციის ოფიცერი უნდა მონაწილეობდეს სასამართლო გადაწყვეტილების წინა პროცესში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არასრულწლოვანის აქტიური ჩართვა სწავლაში, შრომაში, სპორტულ აქტივობებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნას მოზარდის ფსიქოლოგიური ასაკი ინდივიდუალური გეგმების უკეთ შესაბამისად, ბრალდებული არასრულწლოვანების სრულწლოვანებისაგან განცალკევებით განთავსება; არასრულწლოვანთა მოსამართლეების დანიშვნა და ა.შ). ასევე, ზოგადად, აქცენტი გაკეთდა კანონმდებლობის დონეზე ცვლილებების საჭიროებაზე, როგორცაა ყოფილი პატიმრების წახალისების მექანიზმების დანერგვა რესოციალიზაციის მომსახურებებში ჩართვის საპასუხოდ, განრიგების მეორე შანსის მიცემა, პირობითი სასჯელის დახვეწა, ალტერნატიული სასჯელების ამოქმედება (შინა პატიმრობა, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, არასრულწლოვანებისათვის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება, რომელიც მათ გათავისუფლებისათვის მოამზადებს და სხვ).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით განსაკუთრებით გამოიკვეთა პირველ დონეზე პრევენციული ღონისძიებების გატარების საჭიროება. ამ კუთხით გამოიყო სკოლის, საგანმანათლებლო სექტორის გააქტიურების როლი, მაგალითად, ბანაკის მოწყობა, ლაშქრობები, სხვადასხვა გამაჯანსაღებელი, საინფორმაციო ღონისძიებების დანერგვა, სამართლებრივი განათლების კომპონენტისა და პროფესიული ორიენტაციის გაძლიერება, სკოლაში სოციალური მუშაკის ინსტიტუტის შემოღება. აქცენტი კეთდება სკოლის შემდგომი, გახანგრძლივებული მომსახურებების განვითარებაზე.


საინტერესო პარალელები იქნა გავლებული ოჯახების ფსიქო-სოციალურ პრობლემებსა და ბავშვების ანტი-სოციალური ქცევის რისკებს შორის. ამ მიზნით, ხაზი გაესვა ოჯახების სოციალური ფონის გაუმჯობესებას და, ასევე, ოჯახის ფსიქოლოგიური, ემოციური გარემოს გაჯანსაღებას.

მესამე დონეზე პრევენციის დროს მნიშვნელოვანია ბავშვის გათავისუფლებისათვის წინასწარი მომზადება, რაშიც, ძირითადად, მოიაზრებენ სოციალური მუშაკების მიერ ოჯახებთან ადეკვატურ მუშაობას, დანაშაულის პრევენციის ცენტრის, პრობაციის ეროვნული სააგენტოს და სასჯელაღსრულების დანესებულების სოციალური მუშაკების ეფექტიანი თანამშრომლობის და კოორდინაციის განვითარებას. მსჯავრდებულებთან მუშაობის დროს აქცენტი კეთდება მათი მოტივაციის გაზრდაზე, გათავისუფლებისათვის მიზნების დასახვაზე, პროფესიულ განათლებაზე, ხელობის შეთავაზებაზე, რომელიც მორგებულია შრომითი ბაზრის მოთხოვნებზე. მესამე დონეზე პრევენციისათვის, ასევე, დანახულია რესოციალიზაციის მრავალფეროვანი და ადეკვატური მომსახურებების განვითარების საჭიროება (მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამკლავება, ნივთიერებაზე დამოკიდებულების მიმართ ეფექტიანი პროგრამები, საცხოვრისით დაკმაყოფილება, რეგიონული პროგრამები, ადგილობრივი მთავრობის პროგრამები და ა.შ.), ასევე, ყოფილი პატიმრების პროფესიული გადამზადება და დასაქმება. ამის გაკეთება კი შესაძლებელია, კვლევების ჩატარებით, რომელიც მტკიცებულებებზე დაფუძნებული მომსახურებების განვითარების შესაძლებლობას მოგვცემს.

ასევე, გამოიკვეთა სასჯელაღსრულების სისტემაში სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების კვალიფიციური გადამზადების საჭიროება; ახალი კვალიფიციური კადრების დაქირავების და მათთვის უფრო მეტი შესაძლებლობების მიცემის საჭიროება. საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების შეცვლის მიზნით ხაზი გაესვა მასობრივი საშუალებების როლს. ყურადღება გამახვილდა, პრევენციის მექანიზმების განვითარების დროს პოლისტური, მულტიდისციპლინური მიდგომების გამოყენებაზე, რომელშიც ყველა სისტემაა ჩართული: სკოლა, ოჯახი, მეგობრების წრე და მთლიანად სოციუმი.

არასამთავრობო სექტორი

დიაგრამა 8: არასამთავრობო სექტორთან დაკავშირებული საკითხები




ამრიგად, გამოიკვეთა, თუ რა როლი აქვს არასამთავრობო სფეროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით. გარდა იმისა, რომ არის დაკვეთა მაღალი ხარისხის და მრავალფეროვანი მომსახურებების განვითარებაზე, ასევე, დასახელდა, თუ რა ტიპის, შინაარსის მომსახურებების განვითარების მოლოდინია. ეს არის საგანმანათლებლო, სპორტული, გამაჯანსაღებელი აქტივობების შეთავაზება, არასრულწლოვანების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული საქმიანობები, სკოლის გარეთა აქტივობების დანერგვა, დროის ეფექტურად დაგეგმვის ტრენინგები.

ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გამოიკვეთა კონკრეტული საჭიროებები სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის მიმართ.

სახელმწიფო სექტორი

დიაგრამა 9: ძალადობასთან დაკავშირებული საკითხები



ამრიგად, ძირითადად გამოიყო შემდეგი საჭიროებები: ძალადობასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება (განსაკუთრებით, რეგიონებში, ასევე, ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ბავშვების ინფორმირება იმის შესახებ, თუ ვის მიმართონ ძალადობის შემთხვევაში), ძალადობის რეფერირების პროცედურებისა და რეაგირების მექანიზმების გამართვა (რეფერირების პროცედურების დახვეწა, გზამკვლელების დაზუსტება, რომლითაც შესაძლებელი იქნება ადრეული პრევენციული ჩარევა და სხვა). ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოიყო მასწავლებლებისთვის

რეფერირების პროცედურების სწავლება, მათი ცნობიერების ამაღლება, მათთვის ტრენინგების ჩატარება ბავშვების ძალადობისგან დაცვისა და, ზოგადად, ბავშვის უფლებების დასაცავად; ამ კუთხით მნიშვნელოვანია მანდატურის სამსახურის გააქტიურება. საინტერესოა, რომ კვლავ ხდება აპელირება სკოლაში არსებულ ძალადობაზე ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მხრიდან. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ კრიტიკულია პოლიციელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება და მათთვის ზედმინევენით დეტალური სახელმძღვანელო გზამკვლევების შემუშავება ბავშვთა დაცვის მექანიზმის ეფექტიანად ასამუშავებლად.

საინტერესოა, რომ ოჯახში ძალადობასთან მუშაობის მიმართულებით, განსაკუთრებით გამოჩნდა სოციალური მუშაკების კადრების გადამზადების საჭიროება და მათი ვალდებულებების დიფერენცირების საჭიროება. ძალადობის ადრეულ იდენტიფიკაციაზე, ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და მოძალადის დახმარებაზე ორიენტირებული სოციალური მუშაკი მეტი ინტენსივობით შეძლებს ძალადობის მსხვერპლთა ოჯახებთან მუშაობას ისე, რომ ხელი შეუწყოს ოჯახების ფსიქოლოგიურ და მატერიალურ გაჯანსაღებას (ეს უკანასკნელი ხშირად დანახულია, რომ ინვესტია ძალადობას), მოძალადის ოჯახში შენარჩუნებას მისთვის სტრესის მართვისა და პრობლემის გადაჭრის არაძალადობრივი მეთოდების სწავლების გზით. გამოიკვეთა, ძალადობის მსხვერპლთათვის, განსაკუთრებით ბავშვებისათვის, სარეაბილიტაციო მომსახურებების სიმწირე (განსაკუთრებით ფსიქოლოგიის მომსახურება), მოძალადისთვის მომსახურების არ არსებობა როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სექტორში.

ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ ხორციელდებოდეს სისტემური მიდგომა, რომელშიც მთლიანად იქნება ჩართული ბავშვის სოციალური გარემო: ბაღი, სკოლა, ოჯახის ექიმი, მეზობელი და ა.შ. შესაბამისად, ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობის დროს გამოყენებულ უნდა იქნას მულტიდისციპლინური მიდგომები.


საჭიროა, არსებობდეს კოორდინირებული მუშაობა და ეფექტიანი უწყებათაშორისი თანამშრომლობა. განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭა სოციალური მომსახურების სააგენტოს, პრობაციის ეროვნული სააგენტოს და სასჯელაღსრულების დანესებულებების კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფას, როდესაც ადგილი აქვს არასრულწლოვანი დამნაშავის შემთხვევაში ძალადობის ფაქტს. ასევე, ხაზი გაესვა ძალადობის იდენტიფიკაციას ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დონეზე სოციალური მუშაკის სამსახურის განვითარებაზე დაყრდნობით და პირველადი ჩარევის შესაძლებლობას, სანამ მოხდება მისი გადამისამართება სოციალური მომსახურების სააგენტოში.

გამოიკვეთა ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ძირითადი ჯგუფები. ეს არის ქუჩაში მცხოვრები ბავშვები, რომლებიც განიცდიან ძალადობას საზოგადოების სხვადასხვა ფენის მხრიდან, განსაკუთრებით პოლიციის მხრიდან და, ასევე, თავიანთი მშობლების და თანატოლების მხრიდან. გარდა ამ ჯგუფისა, გამოჩნდა, რომ ძალადობის მსხვერპლის როლში ხვდება, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი. აღინიშნა, რომ გონებრივი შეზღუდვის და ფსიქიკური პრობლემების მქონე ბავშვებისთვის არ არსებობს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მომსახურებები.

ასევე, მნიშვნელოვან ჯგუფად გამოიყო ძალადობის მსხვერპლი ქალები. ხაზი გაესვა იმას, რომ საჭიროა ძალადობის მსხვერპლთათვის მრავალფეროვანი მომსახურების განვითარება მათი რეალური დაცვის მიზნით; თავშესაფრიდან გასვლის შემდგომი მხარდამჭერი ეფექტიანი მექანიზმების არსებობა, თავშესაფრების მონიტორინგი, თუ რამდენად შეესაბამება მათ მიერ მიწოდებული მომსახურება საერთაშორისო სტანდარტებს; მეტი თავშესაფრების გახსნა განსაკუთრებით რეგიონებში; ძალადობის კრიზისული ცენტრების დაარსება.

არასამთავრობო სექტორი

დიაგრამა 10: არასამთავრობო სექტორთან დაკავშირებული საკითხები



ამრიგად, გამოიყო, თუ რა როლი უნდა შეასრულოს არასამთავრობო სექტორმა ძალადობის შემცირების კუთხით. პირველ რიგში, უნდა ფოკუსირდეს სარეაბილიტაციო პროგრამების/სერვისების შეთავაზებაზე, ასევე, პრევენციულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სახელმწიფოს დაეხმაროს კადრების გადამზადებაში.

გამოიკვეთა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს შორის მეტი სისტემური თანამშრომლობის საჭიროება ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეაბილიტაციის კუთხით, ასევე, თავად არასამთავრობებს შორის მეტი კოორდინაციის და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის აუცილებლობა.

შემაჯავებელი მსჯელობა და დასკვნები

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა უნდა ეყრდნობოდეს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ღირებულებას. სისტემის აქტორების გაზიარებული ხედვები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ძირითად პროცესებს. ამ მხრივ, სიტემაში არსებობს პრობლემები, რომლის ერთი მაგალითი არის **ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის დისკრიმინაცია** ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში. სისტემას, აგრეთვე, აქვს ხარვეზები როგორც რესურსების, ასევე პროდუქტების (მომსახურების) თვალსაზრისითაც.

პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება

აქტორების საერთო ხედვები და მიდგომები

სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს **მსგავსი ხედვები აქვთ ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული პრობლემების თაობაზე**. ამას ხელს უწყობს ამ სექტორებს შორის კოორდინირებული მუშაობის გამოცდილება. მათი ხედვების საერთო საფუძველია ბავშვის უფლება, გაიზარდოს ოჯახურ ან ოჯახთან მიახლოებულ გარემოში.

ამ მხრივ განსხვავებული სურათი გვაქვს **საპატრიარქოს სოციალურ სამსახურში, რომლის მიდგომებში ვლინდება მეტი აქცენტი ბავშვთა ოჯახის ჩანაცვლებაზე** ვიდრე ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე ოჯახის კონტექსტში, მოიუხედავად, იმისა, რომ აღიარებენ ოჯახის ჩანაცვლებელ როლს ბავშვის აღზრდის პროცესში. მეორე მხრივ, დადებით შეფასებას იმსახურებს ბოლო დროს საპატრიარქოს მზაობა თანამშრომლობისათვის და განვითარებული დიალოგი საპატრიარქოს სოციალურ სამსახურსა და ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მოღვაწე სხვა აქტორებს შორის.

სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები თანხმდებიან იმასთან დაკავშირებითაც, რომ **ბავშვთა კეთილდღეობის მომსახურებები უნდა ეყრდნობოდეს კვლევასა და მტკიცებულებებს**, ზუსტად უნდა პასუხობდეს ადგილობრივი ბენეფიციარების საჭიროებებს და არ უნდა იყოს მექანიკურად გადმოღებული საერთაშორისო პრაქტიკიდან. საჭიროა საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება ადგილობრივ კონტექსტში და წარმატებული ნაბიჯების ეტაპობრივად დაგეგმვა.

მოიუხედავად ხედვების სიახლოვისა და თანამშრომლობის გამოცდილებისა, **სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობას პრობლემებიც** ახლავს. ხშირად სახელმწიფო ვერ ხარჯავს სხვადასხვა სოციალურ პროგრამაზე გამოყოფილ ფულს, მაგრამ არ ქირაობს არასამთავრობო ორგანიზაციების მომსახურებას. თავად არასამთავრობოებს შორის კოორდინაციაც არაა სათანადოდ გამართული, რაც ხელს უშლის ეფექტიან თანამშრომლობას.

ბავშვთა და ახალგაზრდების კეთილდღეობის შესახებ გადანაცვლებების მიღება მონაწილეობითი უნდა იყოს. ეს პრინციპიც აღიარებულია როგორც სამთავრობო, ასევე, არასამთავრობო აქტორების მიერ. თუმცა ამ მხრივ არსებობს პრობლემები, რაც ვლინდება იმაში, რომ ახალგაზრდები გამოთქვამენ უკმაყოფილებას მათი **მონაწილეობის ხარისხის** შესახებ მათივე ცხოვრების დაგეგმვაში.

სისტემის ხარვეზები რესურსის (Input) თვალსაზრისით

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ხერხემაღს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული 250-მდე სოციალური მუშაკი, რომლებიც 22 მიმართულებით ახორციელებენ მუშაობას. მოიუხედავად ამისა, **სოციალური მუშაკის ინსტიტუტი საჭიროებს განვითარებას**. დღეს აღნიშნული სამსახური ვერ პასუხობს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის წინაშე არსებულ გამოწვევებს. სოციალური მუშაკების, **როგორც რესურსის**, არასაკმარისი რაოდენობა, რთული სამუშაო პირობები, კადრების გადინება და უწყვეტი განათლების ხელმიუწვდომლობა ხშირად განაპირობებს მათი ინტერვენციების სისუსტეს. სოციალურ მუშაკთა სახელმწიფო მოხელის ბიუროკრატიული ფუნქცია ზღუდავს მათი ინტერვენციების მრავალფეროვნებას.

სისტემის ხარვეზები პროცესის თვალსაზრისით

პრევენციული მიდგომა

დღევანდელი **ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა რეაქტიულია**. სახელმწიფოს მხრიდან ვერ ხერხდება რისკის ჯგუფის ბავშვებისა და ოჯახების გამოვლენა. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ დღევანდელი მდგომარეობით, სოციალური მომსახურების **სააგენტოს სოციალური მუშაკის ინსტიტუტს აქვს რეაქტიული ხასიათი**. იგი ახდენს რეაგირებას მხოლოდ შემოსულ მომართვებზე და არ მიმდინარეობს მუშაობა ახალი მომართვების მოსაძიებლად თემში. ეს, თავის მხრივ, ზღუდავს რისკჯგუფის ბავშვთა დროულ იდენტიფიკაციასა და პრევენციულ საქმიანობას.

ვლინდება, ასევე, პირველადი ჯანდაცვის და სამშობიარო სახლების ჩართულობის საჭიროება ოჯახისგან ბავშვის დაშორების პრევენციის უზრუნველყოფაში. წლების განმავლობაში სამედიცინო პერსონალის მიერ მანკიერ პრაქტიკას ლომის წილი ჰქონდა და აქვს ბავშვების ოჯახებისგან დაშორების საქმეში (განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობისა და ჯანმრთელობის პრობლემების არსებობის შემთხვევაში).

პრევენციული კომპონენტის გაძლიერების კუთხით გამოიკვეთა სკოლების ჩართულობის საჭიროებაც. სკოლა ერთ-ერთი სუსტ რგოლად გვევლინება ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში, სადაც პრევენციული მიმართულები მუშაობა საერთოდ არ მიმდინარეობს. სკოლებში ვლინდება პრობლემები რთული ქცევის ბავშვების მიმღებლობასთან დაკავშირებითაც.

დისკრიმინაციის პრობლემა

ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის პრევენციული მიდგომის განხორციელების პროცესში პრობლემაა ბავშვთა ბიოლოგიური ოჯახების დისკრიმინაცია. ერთი მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკა მთავარ ამოცანად სახავს ბავშვის ოჯახში შენარჩუნებას და ოჯახის გაძლიერების მექანიზმების განვითარებაზე მუშაობას. ამ დროს საქართველოში ბავშვების დეინსტიტუციონალიზაციისა და ოჯახურ გარემოში აღზრდისთვის **ბიოლოგიური ოჯახი, მეურვე ან მზრუნველი იღებს თითქმის ხუთჯერ ნაკლები ოდენობის თანხას⁴** მინდობით აღზრდელ ოჯახთან შედარებით. ეწინააღმდეგება რა კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორო მოპყრობის პრინციპს, სახალხო დამცველის ოფისმა ეს შეაფასა კიდევ **უთანასწორო მოპყრობის** თვალსაჩინო შემთხვევად. თუ სახელმწიფოს დეკლარირებული მიზანი ბავშვის კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში მათი დეინსტიტუციონალიზაცია და მიტოვების პრევენციაა, აშკარაა, რომ ამ მიზნის მისაღწევად მშობლისთვის უფრო ცუდი პირობების შეთავაზება, ვიდრე უცხო ოჯახისთვის, მიზნის მიღწევის გონივრულ საშუალებას არ წარმოადგენს (სახალხო დამცველის განცხადება).

მეორე მხრივ, **დადებით შეფასებას იმსახურებს სახელმწიფოს მიერ „რეინტეგრაციის წესის“ დამტკიცება**. აღნიშნული წესის მიხედვით, რეინტეგრირებული ოჯახები მინიმუმ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად მიიღებენ სახელმწიფოსგან შემწეობას. ასევე, პოზიტიური ნაბიჯია სახელმწიფოს მიერ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი დახმარების ფონდის შექმნა, რომლის მიზანია კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა ბავშვზე ზრუნვის პროცესში.

არსებობს სხვაგვარი ტიპის დისკრიმინაციის პრობლემა. ბოშა ბავშვების, მათი ოჯახებისა და სხვა **ეთნიკური ჯგუფის დისკრიმინაცია** გავრცელებული პრაქტიკაა და გამოიხატება სახელმწიფო მომსახურებებზე მათთვის ხელმისაწვდომობის შეზღუდვაში სხვადასხვა მიზეზის გამო.

სახელმწიფო ზრუნვის თვალსაზრისით, **მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები დისკრიმინირებულნი** არიან მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბავშვებთან შედარებით. განსხვავებით მინდობით აღსაზრდელებისაგან, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბავშვებს ხელი მიუწვდებათ მართალია მწირ, მაგრამ რიგ მომსახურებებზე ზრუნვის სისტემიდან გასვლისთვის მოსამზადებლად. არასამთავრობო

4 ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებისას, რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობა წარმოადგენს თვეში 90 ლარს ჯანმრთელი ბავშვისთვის, ხოლო 130 ლარს – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის. თუ ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების ნაცვლად ბავშვი გადაყვანილი იქნება მინდობით აღსაზრდელად, ანაზღაურება წარმოადგენს 15 ლარს ერთ კალენდარულ დღეზე (თვეში 450-465 ლარი) ჯანმრთელი ბავშვისთვის და 20 ლარს ერთ კალენდარულ დღეზე (თვეში 600-620 ლარი) – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის.

ორგანიზაციები, რომლებიც მართავენ მცირე საოჯახო ტიპის სახლებს, უფრო აქტიურად ცდილობენ იზრუნონ აღსაზრდელების მომავალი ცხოვრების შესაღებლობების შექმნაზე, ვიდრე ამას აკეთებს სახელმწიფო, რომელიც მართავს მინდობით აღზრდას. საჭიროა, სახელმწიფო სთავაზობდეს ამ ბავშვებს დამატებით მომსახურებებს, რაც მათ ოჯახებს დაეხმარებოდა აღსაზრდელების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებაში.

დეცენტრალიზაციის საჭიროება

იკვეთება მუნიციპალური სოციალური მომსახურების რეფორმირების აუცილებლობაც, კერძოდ, რისკგუფების იდენტიფიცირებისა და პრევენციული, ოჯახის მხარდაჭერით მომსახურების განვითარების მიმართულებით. დღეისათვის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური ნაკლებად პასუხობს მოქალაქეთა განსხვავებულ საჭიროებებს. იკვეთება აუცილებლობა, რომ სოციალური მუშაკები არა რაიონულ⁵, არამედ სოფლებისა და თემის დონეზე მუშაობდნენ, რათა მათ ადრეულ ეტაპზე გამოავლინონ რისკი და ბავშვს და ოჯახს ადეკვატური მხარდაჭერა აღმოუჩინონ. აღსანიშნავია, რომ თავად მუნიციპალიტეტის სამსახურის წარმომადგენლები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სოციალური მუშაკის მომსახურების დეცენტრალიზაციას შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერით უზრუნველყოფის პირობებში.

სისტემის ხარვეზები მომსახურებების (Output) თვალსაზრისით

რისკის ჯგუფების ბავშვთა მომსახურება

სახელმწიფოს მხრიდან რისკის ჯგუფების ოჯახთათვის შეთავაზებული მხარდაჭერით მომსახურებები საკმაოდ მწირი და ძნელად ხელმისაწვდომია. ეს პრობლემა მეტად გამოხატულია თბილისის გარეთ რეგიონებში, განსაკუთრებით კი - მაღალმთიან რეგიონებში. ამავე დროს, სოციალური მომსახურების პრაქტიკოსები და თეორეტიკოსები თანხმდებიან, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საჭიროებაა მშობლებისთვის ისეთი გამაძლიერებელი მომსახურების მიწოდება, რომელიც დაეხმარება ოჯახებს მშობლის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

ამ საჭიროებებს აღიქვამენ როგორც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, ასევე, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფნი. მათ სურთ მშობლებთან ერთად ცხოვრება და, ამასთან, უნდათ, რომ სახელმწიფო ზრუნავდეს მათი ოჯახების გაძლიერებაზე. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს დასაქმებასა და პროფესიულ მომზადებას. ბავშვები და ახალგაზრდები დიდ აქცენტს აკეთებენ აღზრდის საკითხებში მშობლების ცნობიერების ამაღლების საჭიროების შესახებ.

დეინსტიტუციონალიზაცია და ალტერნატიულ მომსახურებათა სიმწირე

ალტერნატიულ მომსახურებათა სიმწირე მნიშვნელოვან სირთულეს ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების პრობლემას არასათანადო ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს მხრიდან. რეგიონებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ეფექტიანი იდენტიფიკაცია და მათთვის დიდი ზომის დაწესებულებების დახურვა უდავო პრობლემაა. გადაუდებელ აუცილებლობად იკვეთება, ასევე, ჩვილ ბავშვთა სახლის დახურვის და ალტერნატიული ზრუნვის შესაძლებლობების შეთავაზებაც ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ჩვილებისთვის.

დასაქმების ხელშეწყობა მომსახურებათა საჭიროება

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ეფექტიანობის მიღწევისათვის მნიშვნელობა აქვს როგორც ქვეყანაში ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე, სახელმწიფოს როლის გაძლიერებას სამიზნე ოჯახების დასაქმების მიმართულებით. ხშირად სოციალური დახმარების მიმღები ოჯახები უარს ამბობენ დასაქმებაზე. ძირითადად ამგვარი „სიზარმაცის“ მიზეზი სოციალური

5 როგორც ეს არის დღეს ადმინისტრირებული სოციალური მომსახურების სააგენტოში

დახმარების მოხსნის შიშია. მათ მიერ წამოწყებული მცირე ეკონომიკური აქტივობა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, მდგრადი ვერ იქნება, შესაძლოა, გახდეს სოციალური დახმარების დაკარგვის მიზეზი. ამ პრობლემის გადაწყვეტის გარდა საჭიროა ისეთი **აქტიური სამუშაო ბაზრის პროგრამები**, რომლებიც ხელს შეუწყობს ოჯახების გააქტიურებას, მათი ცნობიერების შეცვლას, მცირე ბიზნესში ჩართულობას და ჯამში მათ გაძლიერებას.

ზრუნვის სისტემიდან გასულ ახალგაზრდებთან მუშაობა

ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების **სამოქმედო გეგმა** მოიაზრებს პასუხისმგებლობას⁶ ბავშვებისა და ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებისა და სოციალური ინტეგრაციის შესახებ. ეს დოკუმენტი ქმნის ჩარჩოს ამ მიმართულებით როგორც სახელმწიფო, ასევე, არასამთავრობო სექტორის აქტივობისათვის.

სისტემის ხარვეზები რესურსის (Input) თვალსაზრისით

ახალგაზრდები, რომელთაც შეეხოთ დეინსტიტუციონალიზაცია, ცალსახად უპირატესობას ოჯახურ გარემოს ანიჭებენ ინსტიტუციებთან შედარებით. უდავოა, რომ ბავშვებს უნდათ ოჯახურ გარემოში ცხოვრება. იმათაც კი, ვისაც არავე უნდათ, რომ მათზე ზრუნვა მაქსიმალურად ოჯახური ტიპის გარემოში მიმდინარეობდეს. თუმცა, ასევე, საუბრობენ **აღმზრდელების, სოციალური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების კვალიფიკაციის გაზრდის საჭიროებაზე**. ისინი ხედავენ შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების შემუშავების საჭიროებასაც.

სისტემის ხარვეზები პროცესის თვალსაზრისით

დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი ტინეიჯერებისთვის კრიტიკულად რთული აღმოჩნდა. ვერ მოხერხდა მათი მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. მიუხედავად დეინსტიტუციონალიზაციისა ბავშვზე ზრუნვის სისტემის ბენეფიციარებისათვის **საზოგადოებაში ინტეგრაცია მთავარ გამოწვევად რჩება**.

არასამთავრობო სექტორს აქვს მოლოდინი და მზაობა, რომ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო შეიმუშავებს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულების **აღსრულების მექანიზმებს**, არასამთავრობო სექტორი იზრუნებს ზრუნვის სისტემიდან **გასული ბავშვებისთვის მრავალფეროვანი მომსახურების/პროგრამების განვითარებაზე**. სახელმწიფო აღნიშნული საკითხების გადაჭრისას საჭიროა დაეყრდნოს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არსებულ გამოცდილებას. ეროვნული გამოცდილება, მართალია, ძალიან მწირია, მაგრამ პრაქტიკოსები დადებითად აფასებენ ასოციაციის „ჩვენი სახლი - საქართველო“ და ფონდ „ნატახტარის“, ასევე, „ეს-ო-ეს“ ბავშვთა სოფლის გამოცდილებას და მიღწევებს. მნიშვნელოვანია, **აღნიშნული გამოცდილების გაზიარება** და გავრცელება სხვადასხვა რეგიონში.

სკოლის როლი უმნიშვნელოვანესია ბავშვისთვის **ისეთი განათლების მიცემაში**, რომელიც მას **დასაქმებაში დაეხმარება**. მანდატურის სამსახურს ჰყავს პროფესიული ორიენტაციის სპეციალისტები, რომელთა პირდაპირი დანიშნულებაა პროფესიული კონსულტირება მაღალი კლასის მოსწავლეებისთვის. თუმცა სახელმწიფო **ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების პრობლემები არ აღიქმება საჯარო სკოლის საზრუნავად** და ბევრი თვლის, რომ მათზე ზრუნვა ცალკე სტრუქტურებს, სამსახურებს უნდა დაეკისროს. აღნიშნული ტენდენცია სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვების გარიყვის საფრთხის შემცველია. რიგ შემთხვევებში გვხვდება ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვებისადმი **დისკრიმინაციული დამოკიდებულების პრაქტიკა**, რაც ამ რისკს კიდევ უფრო ამწვავებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მიღმა დარჩა, რამაც შეუძლებელი გახადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სოციალური აბილიტაცია ტრანზიციის პროცესში. 18 წლის შესრულების შემდგომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაყვანა სამედიცინო მოდელზე დაფუძნებული პანსიონის ტიპის სახელმწიფო დაწესებულებებში

6 პუნქტი (3.6)

ხდება. განსხვავებულ ალტერნატივას წარმოადგენს სათემო ორგანიზაციები. თუმცა, **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ისევე, როგორც სათემო ორგანიზაციების მოუმზადებლობის გამო**, ახალ გარემოში ხშირია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობის დამძიმება. ამ სფეროში მოღვაწე თეორეტიკოსებს, ისევე, როგორც პრაქტიკოსებს, **არ აქვთ მკაფიო მოსაზრება** იმის შესახებ, თუ **რა სტრატეგია უნდა აირჩიოს სახელმწიფომ** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ტრანციზიული პერიოდის ხელშესაწყობად.

სისტემის ხარვეზები მომსახურებების (Output) თვალსაზრისით

როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ხედავენ სახელმწიფოს მიერ სტრატეგიის განსაზღვრის საჭიროებას იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც 18 წლის შესრულების შემდეგ ტოვებენ სახელმწიფო ზრუნვას. ისინი აღიარებენ, რომ დღესდღეობით **არ არსებობს ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების პოლიტიკა და ზრუნვიდან გასვლის ეტაპზე მყოფი და უკვე გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამები/მომსახურებები**.

თავად ბენეფიციარებიც თვლიან, რომ მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს **დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას, პროფესიულ განათლებას და ფიქრობენ**, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მათი შემდგომი ადაპტაცია გარემოსთან (საცხოვრისი, დასაქმება, ფულადი დახმარება და სხვა სოციალური ბენეფიტები). ახალგაზრდებისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ პრობლემად **საცხოვრისის არარსებობა** იკვეთება, რაც მეტი სოციალური საცხოვრისის საჭიროებას აყენებს დღის წესრიგში.

ამ ფონზე მწვავე პრობლემაა ის, რომ **არ არსებობს ერთიანი მონაცემთა ბაზა** იმ ბენეფიციარების შესახებ, **რომლებმაც დატოვეს სახელმწიფო ზრუნვის სისტემა** და დახმარება სჭირდებათ დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად. შესაბამისად არ ხდება ზრუნვის სისტემიდან გასული ბენეფიციარების საჭიროებების სისტემური ანალიზი.

დღეისათვის სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ სრულდება ბავშვთან მუშაობა, როდესაც მას 18 წელი შეუსრულდება. არის შემთხვევები, როდესაც არაფორმალურ რეჟიმში, სახელმწიფო სოციალური მუშაკი საკუთარი ინიციატივით აგრძელებს ახალგაზრდასთან კონტაქტს, თუმცა **არ არსებობს ფორმალური „მიდევნების“ მექანიზმი**.

ამ სფეროში მოღვაწე თეორეტიკოსებს, ისევე, როგორც პრაქტიკოსებს, **არ აქვთ მკაფიო მოსაზრება** იმის შესახებ, თუ **რა ტიპის მომსახურებები უნდა განვითარდეს** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ტრანციზიული პერიოდის ხელშესაწყობად.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

სისტემის ხარვეზები რესურსის (Input) თვალსაზრისით

რეფორმის წარმატებულად განსახორციელებლად იკვეთება სპეციალისტთა კვალიფიკაციის გაზრდის კრიტიკული აუცილებლობა. კერძოდ, პრობაციის მუშაკების პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერება, სამართლის სფეროში სოციალური მუშაკთა რაოდენობის გაზრდა და, ასევე, არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზებულ მოსამართლეთა ინსტიტუტის დამკვიდრება.

სისტემის ხარვეზები პროცესის თვალსაზრისით

რეფორმები, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მიმდინარეობს დადებითად ფასდება როგორც სამთავრობო, ასევე, საერთაშორისო და არასამთავრობო აქტორების მიერ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პრაქტიკოსები უფრო კრიტიკულად აფასებენ ვითარებას და არსებულ პრობლემებზე უფრო ცხადად საუბრობენ. რეფორმის ძირითადი თავისებურება ეხება ბავშვის ეკოსისტემურ პერსპექტივაში განხილვას. ბავშვის აღზრდა უნდა მოიაზრებოდეს ოჯახთან, სკოლასთან, მეგობრების წრესთან და სოციალურ გარემოსთან მიმართებაში. შესაბამისად, როდესაც განვიხილავთ დანაშაულის რისკფაქტორებს და მისი პრევენციის სამიზნეებს, **იკვეთება ოჯახის გაძლიერების აუცილებლობა** როგორც მატერიალური,

ისე ფსიქო-სოციალური კუთხით. საჭიროა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, მათ შორის სკოლის გააქტიურება, რათა უფრო მეტად იზრუნოს მოსწავლეების სულიერ და ფიზიკურ გაჯანსაღებაზე, მათი დროის მართვაზე და ა.შ. მაშასადამე, დანაშაულის **პრევენციის მიზნით ჩარევა საჭიროა იყოს სისტემური და მოიცავდეს მულტიდისციპლინური მიდგომების გამოყენებას** სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

თვალსაზრისით პრობლემა არის **სამართალდაცვის სფეროში ბავშვთან მომუშავე უწყებებს შორის არაეფექტური კომუნიკაცია** (საქმეები არ გადადის ან დაგვიანებით გადადის სასჯელაღსრულებიდან პრობაციაში ან დანაშაულის პრევენციის ცენტრში). **ეს აფერხებს დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკების მიერ ბავშვის ოჯახთან მუშაობის დაწყებას.** ამგვარი შეფერხება ხშირად იმით მთავრდება, რომ არასრულწლოვანი კვლავ ციხეს უბრუნდება.

დანაშაულის პირველ დონეზე პრევენციისათვის ექსპერტთა წრეში მიზანშეწონილად მიიჩნევა **სამუშაო ჯგუფების ორგანიზება მანდატურის სამსახურთან**. თავად მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები ამ ინციატივის მიმართ ნაკლებ ინფორმირებულები არიან და სკეპტიკურ განწყობას ავლენენ. მეორე მხრივ, იკვეთება სკოლის გააქტიურების საჭიროება, რასაც ამ ინციატივამ უნდა შეუწყოს ხელი. ეს გააქტიურება გულისხმობს **მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას ექსტრაკურიკულურ, გამაჯანსაღებელ აქტივობებში.**

ვლინდება გარკვეული დისკოორდინაცია **სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სკოლას შორის. ხშირად სააგენტო არ მიჰყვება შემთხვევას სიღრმისეულად და არ რეაგირებს** ეფექტიანად. მეორე მხრივ, სკოლის მანდატურის სამსახური ძალზე **იშვიათად ახდენს ძალადობის პრობლემის იდენტიფიკაციას და სააგენტოში რეფერირებას.** ამ დროს სწორედ "უსაფრთხო სკოლის პრინციპების" გამტარებელმა სკოლამ უნდა შეასრულოს **აქტიური როლი რისკის ქცევების მქონე ბავშვების გამოვლენასა და სათანადო ჩარევების დანერგვაშიც**, მაგალითად, მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრის ჩარევით. თუმცა ამ ცენტრის სპეციალისტები, მათ შორის სოციალური მუშაკები, საერთოდ არ მუშობენ ოჯახებთან და თითქმის **არ თანამშრომლობენ სააგენტოს** სოციალურ მუშაკებთან.

დღევანდელი მდგომარეობით, **რთული ქცევის მქონე ბავშვებთან მუშაობის პასუხისმგებლობას არც ერთი უწყება პირდაპირ არ იღებს თავის თავზე**, ხოლო რაც შეეხება სამტრედიის სკოლის მოდელს, მის შესახებ ექსპერტებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ და ცალსახად პოზიტიურად არ არის შეფასებული. ამ მიმართულებით აშკარაა ხარვეზი, რისი აღმოფხვრაც აუცილებელია პრევენციის პირველ და მეორე დონეზე.

მეორე დონის პრევენციის კონტექსტში უნდა განვიხილოთ **ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვების საკითხიც, რომელთა მიმართაც რეფორმა ძალიან შეფერხებით მიმდინარეობს.** ამ დროს სწორედ ეს კონტიგენტი ითვლება პოტენციურ დამნაშავედ და მომავალ კრიმინალად. მეორე მხრივ, საზოგადოების მიერ მათი სტიგმატიზაცია მხოლოდ ამძაფრებს პრობლემას. საზოგადოება მოელის, რომ ისინი ჩაიდენენ დანაშაულს. ასეთი მოლოდინის რეჟიმში მყოფი ბავშვიც ცდილობს ამ მოლოდინის გამართლებას.

პრევენციის პრობლემაა ისიც, რომ **ექსპერტთა წრეშიც კი არ ვლინდება იმ როლის გაცნობიერება/ აღიარება, რომელიც შეიძლება ადგილობრივ მთავრობას ჰქონდეს პრევენციის ამა თუ იმ დონეზე.** თუმცა ადგილობრივი მთავრობები გამოთქვამენ ამ როლის შესრულებისათვის მზაობას. მეორე მხრივ, მიუხედავად სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებს შორის თანამშრომლობის პარაქტიკის არსებობისა, **ვლინდება უფრო მეტი თანამშრომლობისა და კოორდინირებული მოქმედების საჭიროება პრევენციის თვალსაზრისით.**

ექსპერტებისაჭიროდ მიიჩნევენ **არასრულწლოვანზე ორიენტირებული სამართალდამცავი სისტემის განვითარებას.** ამგვარ ორიენტაციაში იგულისხმება ციხის ფიზიკური მოწყობა არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიის თავისებურებების გათვალისწინებით, სოციალური მუშაკის ან პრობაციის ოფიცრის მონაწილეობა სასამართლო გადაწყვეტილების წინა პროცესში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არასრულწლოვნის მაქსიმალური ჩართვა სწავლაში, შრომაში, და სპორტულ აქტივობებში. აქვე იგულისხმება მოზარდის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინება, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოზარდის ფსიქოლოგიური ასაკის გათვალისწინება (განსაკუთრებით როდესაც ხდება სრულწლოვანი და საჭიროა მისი სრულწლოვანთა ციხეში გადაყვანა), არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე სპეციალური

მოსამართლეების დანიშვნა და ა.შ. მთავარი აქცენტი საჭიროა გაკეთდეს იმაზე, რომ მაქსიმალურად **თავიდან ავიცილოთ მოზარდის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხვედრა.**

დადებით შეფასებას იმსახურებს სტანდარტების შექმნა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურების მიმწოდებელთათვის, რომლებიც მუშაობენ კანონთან კონფლიქტში მყოფ ან დევნიაციური ქცევის მქონე მოზარდებთან. აღნიშნული სტანდარტები დაამტკიცა, როგორც სარეკომენდაციო ხასიათის, სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისმა სააკოორდინაციო საბჭომ. ჯერჯერობთ არ არსებობს სახელმწიფო მონიტორინგისა და მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდების კონტროლს.

სისტემის ხარვეზები მომსახურებების (Output) თვალსაზრისით

იკვეთება ოჯახის გაძლიერების მომსახურების განვითარების აუცილებლობა როგორც მატერიალური, ისე ფსიქო-სოციალური კუთხით, როდესაც განვიხილავთ დანაშაულის რისკფაქტორებს და მისი პრევენციის სამიზნეებს. პრობაციის სამსახური, ძირითადად, აფასებს ოჯახის საჭიროებებს, მაგრამ **სათანადოდ ვერ მუშაობს ოჯახების გაძლიერებაზე მომსახურებათა ნაკლებობის** ან, ზოგ შემთხვევაში, არაადეკვატურობის გამო. ფაქტობრივად, არასრულწლოვანი ბრუნდება იმავე ტიპის პრობლემურ ოჯახურ სისტემაში, რომელმაც ლომის წილი შეიტანა მის ციხეში მოხვედრაში. იკვეთება, ასევე, **რესოციალიზაციის მრავალფეროვანი მომსახურების განვითარება.**

არასამთავრობო სექტორი აღიქმება, როგორც მნიშვნელოვანი რგოლი მომსახურების განვითარებასა და მიწოდებაში, თუმცა ჯერჯერობით **არაა სათანადო დონეზე, რომ უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მომსახურებები** (საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობები, სკოლის გარეთა აქტივობები, დროის ეფექტურად, ჯანსაღად დაგეგმვის ტრენინგები და ა.შ.).

მოზარდის **სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხვედრის პრევენციის თვალსაზრისით** ძალიან კარგი გამოცდილებაა ე.წ. მედიაციისა და განრიდების პროგრამა, მაგრამ საჭიროა მეორე შანსიც მივცეთ მოზარდს. ვლინდება იმის საჭიროებაც, რომ სახელმწიფო დონეზე დაინერგოს ახალგაზრდებისათვის **სკოლის შემდგომი გახანგრძლივებული მომსახურებები.**

ძალადობისაგან დაცვა

სისტემის ხარვეზები რესურსის (Input) თვალსაზრისით

არსებული სისტემის ყველაზე **სუსტი რგოლია პოლიცია, როგორც ძალადობისაგან დაცვის მთავარი მექანიზმი და სკოლა, როგორც ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერი ინსტიტუტი.** პოლიცია ვერ ახერხებს ძალადობის ფაქტებზე ადეკვატურ რეაგირებას სპეციალიზებული კადრების არარსებობის გამო, ხოლო სკოლის პედაგოგებისა და მანდატურების ცოდნა და მზაობა ბავშვის ძალადობისაგან დაცვის მიმართულებით დაბალია.

ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის კუთხით, ასევე, გამოიკვეთა საჭიროება, რომ **გაიზარდოს სოციალური მუშაკების რაოდენობა და გადამზადდნენ** ოჯახში ძალადობის მიმართულებით. ექსპერტთა აზრით, სოციალური მუშაკების სპეციალიზება კონკრეტულ სფეროებში ხელს შეუწყობდა მათი პროფესიონალიზმის გაზრდას და ეფექტიან მუშაობას.

სისტემის ხარვეზები პროცესის თვალსაზრისით

ბავშვთა დაცვის **მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები საფუძვლიან ცვლილებებს საჭიროებს.** მნიშვნელოვანია ახალი რეფერირების პროცედურების შემუშავებაში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა. გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივის ფარგლებში უფრო დეტალურად გაიწერება რეფერირების გზამკვლევები და პროცედურები. ამან შესაძლებელი უნდა გახადოს ადრეულ ეტაპზე ძალადობის პრევენცია. ბავშვის ყველა სისტემა უნდა იყოს ჩართული ძალადობის იდენტიფიკაციაში - დაწყებული ოჯახიდან, მეგობლიდან, ნათესავიდან და დამთავრებული ბაღით, სკოლითა და უბნის ექიმით. მხოლოდ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკი არ უნდა იყოს პასუხისმგებელი ძალადობის იდენტიფიკაციის საკითხებზე.

საჭიროა სკოლის მასწავლებელთა, პოლიციის და პირველადი ჯანდაცვის მუშაკთა ცნობიერების ამაღლება, **ინფორმირება რეფერირების პროცედურების შესახებ**. სოციალური მუშაკები კი საჭიროა უფრო მეტი რეგულარულობითა და ინტენსივობით ახორციელებდნენ ოჯახში ვიზიტებს, რათა ყველა შემთხვევა ადრეულ ეტაპზე გამოვლინდეს. იკვეთება მათ მიერ ოჯახების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავების საჭიროებაც.

ხშირ შემთხვევაში **მანდატურის სამსახური ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს**. თავად მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები კი **არარეალისტურად აფასებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს** ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების აღსრულების პროცესსა და ბავშვთა დაცვის სისტემაში. ყველაფერ ამას მიყვავართ **უწყებათაშორისი თანამშრომლობის პრობლემამდე**. საჭიროა უკეთესად კოორდინირებული და სისტემური მუშაობა როგორც ცენტრალური მთავრობის უწყებებს შორის, ასევე, თანამშრომლობა ადგილობრივ მთავრობას, არასამთავრობო და სახელმწიფო სექტორებს შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ **მედია ვერ ასრულებს თავის როლს** ძალადობისაგან დაცვის კუთხით საზოგადოების განათლებისა და ცნობიერების შეცვლის თვალსაზრისით.

სისტემის ხარვეზები მომსახურებების (Output) თვალსაზრისით

მნიშვნელოვანი **ხარვეზები გამოიკვეთა ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის მიმართულებით**, რასაც კარგად აცნობიერებენ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები. კერძოდ, ეს ეხება ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციის საკითხებს. აღმოჩნდა, რომ ასეთი **სარეაბილიტაციო მომსახურების ძალიან დიდი სიმწირეა** როგორც სამთვრობო, ისე არასამთავრობო სექტორებში. მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია სპეციალიზდება ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციაზე და ისიც მხოლოდ გარკვეული მიმართულებით (სექსუალური ძალადობა). **არ არსებობს სერვისი, რომელიც გონებრივი შეზღუდვის და ფსიქიკური პრობლემების მქონე ბავშვებს აღმოუჩენს დახმარებას** ძალადობის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს აქვს ფსიქოლოგის მომსახურება, იგი ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც პრაქტიკაში ჩნდება.

ხშირ შემთხვევაში გართულებულია ძალადობის მსხვერპლთათვის **თავშესაფრებით** სარგებლობა ბიუროკრატიული პროცედურების გამო. **საჭიროა მონიტორინგის სისტემის დანერგვა, რომელიც შეაფასებს თავშესაფრების მიერ ბენეფიციარებისათვის მიწოდებული მომსახურების ხარისხს**. არ არსებობს თავშესაფრიდან გასვლის შემდგომი ეფექტიანი მხარდაჭერა. მსხვერპლი არ უნდა კარგავდეს სტატუსს თავშესაფრიდან გასვლის შემდეგ. არ არსებობს სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო მომსახურების სახეები სწრაფი რეაგირების უზრუნველსაყოფად: ძალადობის მსხვერპთა კრიზისული ცენტრები, სხვა მხარდამჭერი მომსახურებები. ასევე, არ არსებობს სარეაბილიტაციო მომსახურებები მოძალადეებისთვის.

რეკომენდაციები

პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება

კოორდინაცია

კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა უნდა ჩაუყარონ საფუძველი **სისტემატურ დიალოგს სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს შორის ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული გამოწვევების დაძლევის პოლიტიკის საკითხებზე**. უნდა მოხერხდეს ამ დიალოგში **საპატრიარქოს წარმომადგენლების ჩართვა**, რამაც უნდა მიგვიყვანოს სახელმწიფოს, არასამთავრობო ორგანიზაციების და საპატრიარქოს სოციალურ სამსახურებს შორის კოორდინაციის გაძლიერებასთან.

კოალიციამ უნდა შეასრულოს სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს შორის თანამშრომლობის ფასილიტატორის როლი და შექმნას აღნიშნული მიმართულებით პოზიტიური და კონსტრუქციული გარემო. მნიშვნელოვანია კოალიციის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტში აისახოს თანამშრომლობის შედეგიანი მექანიზმები და გაიწეროს შესაბამისი გეგმა ამ მექანიზმების პრაქტიკული იმპლემენტაციისათვის.

სახელმწიფომ უნდა შემოიღოს ყველა პროვაიდერის (მათ შორის, ეკლესიის) მიერ შეთავაზებულ 24 საათიანი ზრუნვის მომსახურებებში ბავშვების განთავსების რეგულირება (“გეითქიფინგის” ეფექტიანობის უზრუნველყოფა).

უნდა გაუმჯობესდეს კოორდინაცია ოჯახის დამხმარე მომსახურებებსა და რეფერალურ სისტემას შორის, რათა სისტემა გახდეს პროაქტიული და შეძლოს პრობლემისადმი სისტემური მიდგომის განხორციელება. ამის მისაღწევად, რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა მოხდეს რისკგუჯის წარმომადგენელი ბავშვებისა და მათი ოჯახების გამოვლენა.

რისკგუჯების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად იდენტიფიკაციის სისტემა უნდა გახდეს მულტისექტორული. მასში უნდა მონაწილეობდნენ, როგორც მუნიციპალური მომსახურებები (რწმუნებული) და პირველადი ჯანდაცვის ერთეულები (პოლიკლინიკა, სოფლის ექიმი), ასევე, სკოლა. რისკგუჯი ბავშვებისა და ოჯახების იდენტიფიცირების ფუნქცია უნდა გაიწეროს სოციალური აგენტის სამუშაო აღწერილობაშიც.

მომსახურებათა განვითარება

უნდა განვითარდეს **ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებებზე მორგებული ოჯახების მხარდაჭერი დივერსიფიცირებულ მომსახურებები** და უზრუნველყოფილ იქნას მათზე ხელმისაწვდომობა. მათი განვითარება უნდა დაეყრდნოს ოჯახის საჭიროებების სისტემურ ანალიზს. იკვეთება ქვემოთ აღწერილი მომსახურებების საჭიროება.

- **სკოლის ბაზაზე არსებული ოჯახის მხარდაჭერი მომსახურებების, კერძოდ კი, ოჯახის კონსულტირების მომსახურების განვითარება** რეკომენდირებულია განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც მომსახურებების სიმწირეა. ეს იქნებოდა იმ პრევენციული მუშაობის ნაწილი, რაც უნდა გააკეთოს განათლების სამინისტრომ ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკის მხარდაჭერისათვის, მოსწავლეთა და მათი ოჯახების სკოლის ცხოვრებაში ჩართვის გზით. აღნიშნულის მისაღწევად უნდა დაინერგოს **სკოლის სოციალური მუშაობა**. ამ მუშაობის კონცეფცია უნდა აღიარებდეს ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვან სამკუთხედს – ოჯახი, სკოლა და სამემობლო - შორის თანამშრომლობის განვითარების აუცილებლობას. ბავშვის კეთილდღეობის მისაღწევად ეს ერთი-ერთი საუკეთესო პრევენციული მექანიზმია.

სკოლის ბაზაზე ოჯახების კონსულტირებით უნდა მივაღწიოთ მშობელთათვის აღზრდის დადებითი მეთოდების გაცნობას, მათი აღმზრდელობითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, ბავშვების რთულ ქცევაზე მშობელთა მხრიდან სწორ რეაგირებას. ეს ხელს შეუწყობს როგორც ოჯახისათვის შესაძლო დახმარების აღმოჩენას ბავშვის აღზრდის პროცესში, ასევე, რისკგუჯის ბავშვთა დროულ იდენტიფიკაციას და მათი დაცვის უზრუნველყოფას. რეკომენდებულია, რომ აღნიშნული მომსახურების შეძენა განხორციელდეს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ არასამთავრობო სექტორისგან „აუტოსტრინგის“ მექანიზმის გამოყენებით. აუცილებელი წინაპირობაა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელოს სიტუაციური ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს გამოავლინოს სამიზნე სკოლები.

ასევე, რეკომენდებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურების სამსახურში მომუშავე მუშაკების როლის გააქტიურება, მათი სამუშაო აღწერილობის გადახედვა და შესაბამისი პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფა.

- **დღის ცენტრის მომსახურების განვითარება 2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის** (ბაგა-ბაღის ტიპის მომსახურება) სოფლების დონეზე უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტების მიერ არასამთავრობო სექტორიდან აღნიშნული მომსახურების შესყიდვის პრაქტიკის დამკვიდრებით. სახელმწიფოსთან აღნიშნულ რეკომენდაციაზე მუშაობის დროს ერთ-ერთი შეთავაზება შეიძლება იყოს საბავშვო ბაღებში ე.წ. ბაგის კომპონენტის დამატება. ამ მომსახურების ასამოქმედებლად არასამთავრობო სექტორმა და დონორმა ორგანიზაციებმა შეიძლება, თავის თავზე აიღონ ინფრასტრუქტურის გამართვა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამის შემუშავება.

მუნიციპალიტეტების დონეზე უნდა განვითარდეს **პრევენციული და მხარდაჭერი სოციალური მუშაობის მომსახურებები და შემოღებულ იქნას სოციალური მუშაკის ინსტიტუტი**. აღნიშნულ სამსახურებში დასაქმებული სოციალური მუშაკები ხელს შეუწყობენ თემში რისკგუფის ბავშვთა იდენტიფიკაციას, რეფერირებას განახორციელებენ თემში არსებულ პრევენციულ მომსახურებაში და უზრუნველყოფენ ბავშვის მიმართვას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალურ მუშაკთან (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო).

ზოგადად, თემის მობილიზაციაზე, განათლებასა და განვითარებაზე ორიენტირებული **სათემო სოციალური მუშაობა შესაძლოა, განავითაროს მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურმა**. მისი მთავარი ფუნქცია იქნება გასვლითი მუშაობა თემში (outreach) და პრევენციული ღონისძიებების გატარება. ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული სოციალური მუშაობის ინსტიტუტი უნდა განვითარდეს სპეციალობების მიმართულებით (მაგ. ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა ძალადობისგან დაცვის საკითხებს მომუშავე სოციალური მუშაკები, მინდობით აღზრდაზე მომუშავე სოციალური მუშაკები და ა.შ.).

მომსახურებათა ეფექტიანი სისტემის განვითარება უნდა დაეფუძნოს კვლევასა და მტკიცებულებებს. ახალი მომსახურებების პილოტირება და ამოქმედება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ბენეფიციართა ჯგუფების საჭიროებებთან. მომსახურებათა შეფასება და საჭირო ცვლილებების დანერგვა ყოველწლიური მონიტორინგის სისტემით უნდა განხორციელდეს. ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული რისკების გამოვლენის ეფექტიან გზად მეტი კვლევითი საქმიანობის განხორციელებაა მიჩნეული.

სოციალური დახმარების გაზრდა

სახელმწიფომ უნდა გაზარდოს ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებისთვის ფინანსური დახმარება, კერძოდ:

- **რეინტეგრაციის შემწეობის გაზრდით** ბავშვის ბიოლოგიური ოჯახისათვის სახელმწიფომ უნდა აღმოფხვრას უთანასწორო მოპყრობის არსებული პრაქტიკა. პარარელურად, უნდა გაძლიერდეს რეინტეგრირებული ოჯახების მონიტორინგისა და მხარდაჭერის მექანიზმი სახელმწიფო სოციალური სამსახურის მიერ.
- **24 საათიან ზრუნვაში მოხვედრის პრევენციის მიზნით სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახებისთვის უნდა დაწესდეს ბავშვზე ცალკე ფულადი სარგებელი (ბენეფიტი)**. სიღარიბის საზომად შეიძლება იქნეს აღებული სიღარიბის დაძლევის პროგრამის ქულა (მაგ. 57000-ს ქვემოთ). მსგავსი სარგებლის მიმღებ ოჯახებს მონიტორინგი უნდა გაუწიოს სახელმწიფო სოციალურმა მუშაკმა.
- მიზანშეწონილია, **მართხელა და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის** სახელმწიფოს მხრიდან დაწესდეს **ფულადი დახმარება**. იგი სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული პრევენციული პაკეტის

მხოლოდ ერთ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს და, **მონყვლადი ოჯახების მხარდამჭერ სხვა მომსახურებასთან ერთად**, მუდმივ სახელმწიფო მონიტორინგს უნდა ექვემდებარებოდეს.

დასაქმების ხელშეწყობა მომსახურებათა განვითარება

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ეფექტიანობის მისაღწევად უნდა გაძლიერდეს **სახელმწიფოს როლი სამიზნე ოჯახების დასაქმების მიმართულებით**. კერძოდ, უნდა განვითარდეს **აქტიური სამუშაო ბაზრის პროგრამები**, რომლებიც ხელს შეუწყობს ოჯახების გააქტიურებას, მათი ცნობიერების შეცვლას, მცირე ბიზნესში ჩართულობას, და ჯამში მათ ეკონომიკურ გაძლიერებას.

განათლება და ცნობიერების გაზრდა

უნდა გაღრმავდეს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში ჩართული სახელმწიფო და არასახელმწიფო **აქტორების ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საჭირო მომსახურებების სპეციფიკის თაობაზე**. უნდა გაიზარდოს საზოგადოების ცნობიერება თემზე დაფუძნებული ალტერნატიული მომსახურებების განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

საჭიროა ბოშათა და სხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ოჯახებისა და ბავშვების მდგომარეობის შესწავლა და სიტუაციური ანალიზი. ეს საშუალებას მისცემს სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, გაზარდონ საკუთარი ცნობიერების დონე და უკეთ ჩამოაყალიბონ ამ უმცირესობათა ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის სტრატეგია. წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანწილად გაზრდის ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის ალბათობას.

სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები ხშირად იცვლიან ზრუნვის ფორმას. ზრუნვის ფორმის ხშირი ცვლილება უარყოფითად აისახება ბავშვის განვითარებაზე. ამ პრობლემის დასაძლევად საჭიროა მისი მიზეზების შესწავლა და კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება.

უნარების განვითარება

უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო სოციალური მუშაკის ინსტიტუტი, რაც გულისხმობს როგორც **სოციალური მუშაკის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას, ასევე, მათი კვალიფიკაციის გაზრდას**. მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს სოციალური მუშაკების ადეკვატური რაოდენობის, ანაზღაურების, სამუშაო პირობების, უსაფრთხოების, და პროფესიული სუპერვიზიის საკანონმდებლო უზრუნველყოფის ადვოკატობა.

მიღწეულ უნდა იქნას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევა სოციალური მუშაკის როლის გაფართოებისთვის, რისთვისაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას სოციალური მომსახურების სააგენტოში **სოციალური მუშაკების ხარისხიანი პრაქტიკა და ადეკვატური, თემზე დაფუძნებული, მომსახურებების განვითარება**.

უნდა გაძლიერდეს **საპატრიარქოს სოციალური სამსახურის პროფესიული შესაძლებლობები**, მათ შორის გამოცდილების გაზიარებით ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მიზნებისა და ამოცანების მიღწევის საქმეში.

გადანყვეტილებაზე ზეგავლენა

უნდა იქნას უზრუნველყოფილი **ბავშვის მონაწილეობა და ჩართულობა** ყოველდღიური ცხოვრების ყველა დონეზე (ინდივიდუალური, ჯგუფური, თემის). მისასაღმებელია კოალიციის ფარგლებში, ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ ბავშვთა და ახალგაზრდების მრჩეველთა საბჭოებისა თუ საკონსულტაციო ჯგუფების არსებობა, თუმცა მსგავს მონაწილეობას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა **თავიდან იქნას აცილებული მათი ჩართულობით მანიპულირების რისკი**.

აუცილებელია, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული მომსახურების გეგმებისა თუ ინდივიდუალური **განვითარების გეგმებში აისახოს ბავშვის აქტიური მონაწილეობა**. შესაძლებელია, ბავშვი თავისი

ხელით გაკეთებული ჩანაწერებით ამდიდრებდეს გეგმას და თავად გეგმის ფორმა იყო ბავშვზე მორგებული.

უნდა დაიწყოს სოციალური დაცვის უფლების ადვოკატობა კოალიციის ფორმატში, რაც ფუნდამენტურია ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში წარმატების მისაღწევად. სოციალური დაცვის უფლება მოიცავს ხელმისაწვდომობის უფლებას საბაზისო შემოსავალსა და ჯანდაცვის ძირითად მომსახურებებზე, თავშესაფარსა და საცხოვრისზე, წყალსა და სანიტარული პირობებზე, საკვებსა და განათლების ყველაზე საბაზისო ფორმაზე. შესაბამისად, სოციალური დაცვის უფლების განხორციელება შესაძლებელია ისეთი სოციალური დაცვის სისტემის უზრუნველყოფით, რომელიც ძირითადი ბენეფიტების მინიმალურ დონეს სთავაზობს ყველა ადამიანს და ოჯახს.

ზრუნვის სისტემიდან გასულ ახალგაზრდებთან მუშაობა

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა

სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს **ზრუნვის სისტემიდან გამსვლელი და გასული ახალგაზრდების** დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გადასვლის და **საზოგადოებაში ინტეგრაციის კონცეფცია და შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტი** კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. კონცეფციაში გააზრებული უნდა იქნას ახალგაზრდების ძირითადი საჭიროებები. **კონცეფციამ უნდა გაითვალისწინოს ახალგაზრდასთან სახელმწიფო სოციალური სამსახურის თანამშრომლობა მინიმუმ 23 წლამდე**⁷.

აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე უნდა მოხდეს ზრუნვის შუალედური, ნახევრად დამოუკიდებელი და დამოუკიდებელი ცხოვრების მრავალფეროვანი მომსახურებებისა და პროგრამების განვითარება ისევე, როგორც დონორი ორგანიზაციების ჩართვა მომსახურებათა პილოტირებისა და მიწოდების პროცესში.

აუცილებელია, შეიქმნას **ზრუნვის სისტემიდან გამსვლელი მოზარდების მონაცემთა ბაზა**, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მხრიდან მათი საჭიროებების ზუსტ იდენტიფიკაციას. ეს უკანასკნელი კი საფუძველი იქნება საჭიროებებზე დაფუძნებული მომსახურების პაკეტის შემუშავებისთვის, პილოტირებისათვის, და ჩარევის მონიტორინგს განხორციელებისათვის.

არსებითია, რომ სახელმწიფომ **ბავშვის სისტემაში ყოფნის ეტაპზე, ადრევე დაიწყოს მუშაობა მათთან დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პროფესიული ინტერესების გაღვივებაზე**. აღნიშნულია, რომ ამ მხრივ ეფექტიანი იქნება მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობა (სოციალური მუშაკი, აღზრდელი, ფსიქოლოგი, პედაგოგი და ა.შ.). მნიშვნელოვანია, წინდანინ შესწავლილ იქნას ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვები თუ რა ისეთი სირთულეების წინაშე დგანან სკოლებში, რაც შესაძლოა ართულებდეს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს.

ახალგაზრდებთან თანამშრომლობის პროცესში მნიშვნელოვანია **ტრანზიციის გეგმის არსებობა**, რომელზეც მულტიდისციპლინური გუნდი იმუშავებს და რომლის შემუშავებაშიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს თავად ახალგაზრდა.

მომსახურებათა განვითარება

აუცილებელია **მენტორული მხარდაჭერის სხვადასხვა პროგრამების შემუშავება და ამოქმედება**, რომელიც მიმართული იქნება ახალგაზრდების მომზადებაზე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. ზრუნვის სისტემიდან გამსვლელი და გასული ახალგაზრდების ხელშეწყობის საკვანძო მიმართულებას წარმოადგენს ახალგაზრდების მუდმივი ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა და მათი მდგომარეობის მონიტორინგი (ფინანსების განკარგვის, პროფესიული გადამზადების, სამუშაოს მოძიების კუთხით და სხვა). აღნიშნულ საკითხში რეკომენდებულია სოციალური მუშაკის გააქტიურება და ახალგაზრდობასთან მომუშავე მუშაკის როლის დანერგვა, რომელიც განახორციელებს სისტემატურ მონიტორინგს და დაეხმარება ახალგაზრდებს ყოველდღიური პრობლემების მოგვარებაში. თავად ახალგაზრდები უფრო დიდ აქცენტს აკეთებენ **თანატოლთა მხარდაჭერის მექანიზმების განვითარებაზე**.

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ერთ-ერთი სამიზნე უნდა გახდეს ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერა დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გარდამავალ პერიოდში. 18 წლის

7 ამაჟამად სმს ბავშვზე ზრუნვის სამსახური ახალგაზრდასთან მუშაობას ამთავრებს როგორც კი მას 18 წელი შეუსრულდება

შემდეგ ამ ახალგაზრდების საქმის მართვა შესაძლოა გადაეცეს სწორად ამ სამინისტროს.

უნდა ხდებოდეს **ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების საცხოვრისით მხარდაჭერა**. საცხოვრისის პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტა შეიძლება იყოს მოკლევადიანი ტრანზიტული საცხოვრისის ან ბინის დაქირავების შეთავაზება. ტრანზიტული საცხოვრისები უნდა იყოს მაქსიმალურად თემში ინტეგრირებული და ინდივიდუალური განვითარების საჭიროებებს მორგებული. ამ მიმართულებით ქმედებათა დაგეგმვამდე უნდა დადგინდეს, თუ რამდენი ბავშვი შედის ამჟამად 24 საათიან ზრუნვაში უსახლკარობის პრობლემის გამო. საკითხის ადვოკატობა კოალიციამ უნდა განახორციელოს.

როგორც სახელმწიფო, ასევე, არასახელმწიფო აქტორებმა უნდა **გაიღონ ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საჭირო მომსახურებების სპეციფიკის თაობაზე**. სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წელს ზემოთ ახალგაზრდების ცხოვრების ხარისხის ასამაღლებლად უნდა ამოქმედდეს სოციალური და ყოველდღიური ცხოვრების უნარების შეფასებისა და გაძლიერების პროგრამები.

კოორდინაცია

კრიტიკულია უწყებათაშორისი **თანამშრომლობის განვითარება ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებისა და სოციალური ინტეგრაციისათვის**. ვინაიდან აღნიშნული საკითხი გამჭოლია, **რეკომენდებულია, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდებიან დაინტერესებული აქტორები** (შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დანაშაულის პრევენციის ცენტრი, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და სხვა) და მოახდენენ რესურსებისა და შესაძლებლობების კოორდინაციას.

ახალგაზრდების მხარდაჭერისათვის უნდა იქნას გამოყენებული ინდივიდუალური მიდგომა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში გაჩენილი ტრანზიციის პრობლემების აღმოსაფხვრელად და ამ მხარდაჭერის დაფინანსების სახელმწიფო მექანიზმის უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და მისი საქვეუწყებო ერთეულების აქტიური თანამშრომლობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის სამინისტროსთან.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

მომსახურებათა განვითარება

უნდა განვითარდეს **დანაშაულის პრევენციის მომსახურება ეკოსისტემური პერსპექტივის გათვალისწინებით**. პრევენციული სერვისები უნდა ეფუძნებოდეს პოლისტურ მიდგომას და აგებული იყოს ისეთ ინტერვენციებზე, რომლებიც არასრულწლოვნის უშუალო გარემოს პოზიტიური ცვლილებისა და რისკ-ფაქტორების მინიმუმამდე დაყვანისაკენ იქნება მიმართული.

დანაშაულის **პირველ დონეზე პრევენციის კუთხით** მიზანშეწონილია სკოლისა და, კერძოდ, მანდატურის სამსახურის როლის გააქტიურება. სკოლებში უნდა დაინერგოს ახალგაზრდების **სკოლის შემდგომი გახანგრძლივებული მომსახურება, რომლის** მთავარი მიზანი იქნება ახალგაზრდის თავისუფალი დროის სწორი ორგანიზება, სოციალური უნარების გაუმჯობესება და მისი ჯანსაღ გარემოში ზედამხედველობის უზრუნველყოფა. **უნდა განვითარდეს და გამრავალდფეროვნდეს დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებები სკოლის ბაზაზე**, კერძოდ, როგორებიცაა საინფორმაციო აქტივობების დანერგვა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლებრივი განათლების კომპონენტის შეტანა, სპორტული აქტივობებისა და ლაშქრობების ორგანიზება და პროფესიულ ორიენტაციაზე ყურადღების გამახვილება. ამრიგად, **სკოლა არის პირველი დონის პრევენციის დასაწერად ყველაზე შესაფერისი გარემო**, სწორედ უსაფრთხო სკოლამ უნდა ჩამოუყალიბოს ახალგაზრდას სამოქალაქო ცნობიერება. საჭიროა შემუშავდეს საგანმანათლებლო სისტემაში მობარდთა დანაშაულის პრევენციის კონცეფცია. დანაშაულის პრევენციის ცენტრი და პრობაციის სამსახური კი მეტ ყურადღებას უნდა ამახვილებდნენ ოჯახებთან მუშაობის საკითხებზე, რათა დანაშაულის პრევენციის პროცესში ოჯახის როლი მნიშვნელოვნად გააქტიურდეს.

კრიტიკულია ფსიქო-სოციალური მომსახურების განვითარება პრევენციის მეორე და მესამე დონეზე. დანაშაულის პრევენციის მეორე დონისათვის საჭიროა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის მრავალფეროვანი მომსახურების განვითარება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებში უნდა მოიაზროს “ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები”, რომელთაც აღენიშნებათ სერიოზული აკადემიური ჩამორჩენა⁸. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განმარტებაში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დამატება შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს მეტი ყურადღება და რესურსი მიმართოს ამ ბავშვების პრობლემების აღმოსაფხვრელად. ასევე, აუცილებელია ახალგაზრდების **რესოციალიზაციის პროცესისათვის მომზადება და ამ მიმართულებით მრავალფეროვანი მომსახურების განვითარება.**

ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე საჭიროა სოციალური მუშაკის ინსტიტუტის განვითარება, რასაც კრიტიკული როლი შეიძლება, პქონდეს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ყველა დონეზე. თვითმმართველობებში სოციალურმა მუშაკებმა უნდა უზრუნველყონ რისკგუფის არასრულწლოვანთა გამოვლენა და მათი დაკავშირება შესაბამის პრევენციულ სერვისებსა თუ რესურსებთან.

მისასალმებელია, რომ შეიქმნა სტანდარტები ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურებების მიმწოდებელთათვის, რომლებიც მუშაობენ კანონთან კონფლიქტში მყოფ ან დევნიაციური ქცევის მქონე მოზარდებთან, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს ამ სტანდარტების პრაქტიკული გამოყენების მექანიზმი, კერძოდ, უნდა განვითარდეს მონიტორინგისა და მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ სტანდარტებთან მომსახურებათა შესაბამისობაში მოყვანას.

კოორდინაცია

სამართლის სფეროში ბავშვებთან მომუშავე უწყებებს შორის ეფექტიანი კომუნიკაცია, ფუნქციების ნათელი განაწილება და კოორდინაციის გაუმჯობესება კრიტიკულია, კერძოდ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრს შორის. დანაშაულის პირველ და მეორე დონეზე ეფექტიანი პრევენციის მისაღწევად უნდა ჩამოყალიბდეს თანამშრომლობისა და კოორდინირების მექანიზმები მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრების სოციალურ მუშაკთა და სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკებს შორის.

სასჯელაღსრულების, პრობაციის და იუსტიციის სისტემაში დასაქმებული სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა პრაქტიკოსები უფრო რეალურად აფასებენ სიტუაციას და გამოკვეთენ არსებულ პრობლემებს, რომლებსაც ხვდებიან სისტემაში. მაღალი საფეხურის მენეჯმენტის წარმომადგენლებმა უფრო მეტად უნდა მოუსმინონ პრაქტიკოსებს, რათა უკეთ დაინახონ და გაანალიზონ ის სირთულეები, რომლებიც თან ახლავს რეფორმის განხორციელებას. პოლიტიკისა თუ მომსახურების დაგეგმვისა და განვითარების ყველა სამუშაო ჯგუფში უნდა იყოს უზრუნველყოფილი პრაქტიკოსების მონაწილეობა.

ინსტიტუციური ცვლილებები

უდა განხორცილდეს **სასამართლო სისტემის ისეთი რეფორმა, რომელიც არასრულწლოვანთა ინტერესებზე იქნება მორგებული.** სოციალური მუშაკის ან პრობაციის ოფიცრის ჩართულობა სასამართლოს გადაწყვეტილების წინა პროცესში საშუალებას უნდა აძლევდეს არასრულწლოვანს, თავს დაცულად გრძნობდეს. ასევე, აღსანიშნავია არასრულწლოვნების საკითხზე მომუშავე სპეციალური მოსამართლეების ინსტიტუტის შემოღების საჭიროებაც. ასეთი მოსამართლეების სპეციალური კვალიფიკაცია არასრულწლოვნებთან მუშაობის ფსიქო-სოციალურ ასპექტებში გახდის სასამართლო პროცესს ბევრად უფრო მგრძნობიარეს და მაქსიმალურად მორგებულს არასრულწლოვანთა ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებაზე.

8 დღეისათვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებში იგულისხმება, ბავშვები 1. ფიზიკური და გონებრივი განვითარების დარღვევით; 2. მხედველობისა და სმენის დარღვევით; 3. მეტყველების, ქცევისა და ემოციური განვითარების დარღვევით; 4. რომელთაც აქვთ გრძელვადიანი მკურნალობის/ პოსპიტალიზაციის საჭიროება; 5. რომლებიც წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობებს; 6. რომლებიც არიან სოციალურად დაუცველნი და 7. რომელთაც სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვა ემუქრებათ.

ასევე, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს არსებული კანონმდებლობა, რომელიც შეეხება პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში ბავშვის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების რეგისტრაციის, შენახვის, გაცვლის და განადგურების წესს.

ძალადობისაგან დაცვა

კოორდინაცია

უნდა მოხდეს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების საფუძვლიანი ცვლილება, როგორც ძალადობის შემთხვევათა იდენტიფიკაციის, ასევე, განხორციელებული რეაგირების კუთხითაც. რეფერირების ბრძანებაში ჩართული უწყებების გააქტიურება და განახლებული რეფერირების ბრძანების შემუშავებაში ყველა დაინტერესებული უწყების ჩართვა ხელს შეუწყობს რეფერირების პროცედურების დახვეწას. ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის და დაცვის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა, შეიქმნას მარტივი და გასაგები სახელმძღვანელო ინსტრუქციები ყველა პროცესში ჩართული პროფესიონალის მოსამზადებლად. ეს გაუადვილებთ მათ ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციას და შესაბამის რეაგირებას. პრობლემურია და, ფაქტობრივად, ვერ ხდება ძალადობის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ადეკვატური გამოვლენა სისტემის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა კომუნიკაციის უნარის შეზღუდვის გამო. რეფერირების დოკუმენტი და დაცვის მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს ამ თავისებურებას.

საჭიროა შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნას ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც იმუშავებს ძალადობის საკითხებზე. ეს იქნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ამ თემის პრიორიტეტიზაციის გამოხატულება. სანამ სამინისტროს ამგვარი პრიორიტეტი არ იქნება სტრუქტურულად უზრუნველყოფილი, სხვა აქტორების ინტერვენციები იქნება მნიშვნელოვანწილად აზრს მოკლებული, დღეს დღეობით სამინისტროს ამ საკითხებზე პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად არ აქვს გამოყოფილი სათანადო რესურსები (ადამიანურის ჩათვლით).

უნარების გაძლიერება

აუცილებელია **საპატრულო პოლიციის და სამართალდამცავი ორგანოების, პირველადი ჯანდაცვის მუშაკებისა და პედაგოგების ცნობიერების ამაღლება** რეფერირების ბრძანების განხორციელებისა და ძალადობის შემთხვევებზე სათანადო რეაგირების კუთხით. სოციალური მუშაკები კი საჭიროა, უფრო მეტი რეგულარულობითა და ინტენსივობით ახორციელებდნენ ოჯახში ვიზიტებს, რათა ყველა შემთხვევა ადრეულ ეტაპზევე გამოვლინდეს. სოციალური მუშაკებისთვის კრიტიკულია ეფექტიანი პროფესიული ზედამხედველობაზე ხელმისაწვდომობა, რაც მათ დაეხმარებათ ძალადობის იდენტიფიცირების პროცესში. არასამთავრობო ორგანიზაციათა როლი სწორედ სათანადო ტრენინგების მომზადებასა და ჩატარებაში მდგომარეობს, რათა პედაგოგებმა, ექიმებმა, სოციალურმა მუშაკებმა და სამართალდამცავი სფეროს წარმომადგენლებმა მკაფიოდ გაანალიზონ თავიანთი ფუნქციები ძალადობის შემთხვევათა იდენტიფიკაციასა და რეაგირების საკითხებში.

მნიშვნელოვანია, მომზადდეს შესაფერისი კადრები და შეიქმნას ბავშვთა და ოჯახში ძალადობისგან დაცვის საკითხებზე მომუშავე სპეციალიზებულ პოლიციელთა გუნდები. სკოლაში, პედაგოგებისა და მანდატურების ცნობიერების გაზრდის გარდა, ბავშვის ძალადობისაგან დაცვის ეფექტიანი მექანიზმში იქნებოდა **სკოლის სოციალური მუშაკის ინსტიტუტის** დანერგვა.

მომსახურებათა განვითარება

აუცილებელია **ძალადობის მსხვერპლი ბავშვების სარეაბილიტაციო მომსახურებების შექმნა და განვითარება**. შეთავაზებული მომსახურებები უნდა ფუნქციონირებდეს როგორც ძალადობის პრევენციის, ასევე, მსხვერპლთა რეაბილიტაციის კუთხითაც. ამ მომსახურებათა შექმნაში უდიდესი როლი აქვთ ძალადობისადმი განსაკუთრებით მოწყვლადი ბავშვების (ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები) ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებაც.

მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში უნდა ხდებოდეს მსხვერპლის გამოყვანა ოჯახიდან, ხოლო

სარეაბილიტაციო მომსახურებები მოძალადისთვისაც უნდა იყოს ხელმისაწვდომი. მაშასადამე, აუცილებელია **მოძალადეთათვის მომსახურებების დანერგვა-განვითარება**. საჭიროა **სოციალური მომსახურების სააგენტოსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში არსებული ფსიქოლოგის მომსახურების შემდგომი განვითარება, რომლებიც იმუშავენ როგორც ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან, ასევე, მოძალადეებთანაც**.

ცნობიერების გაზრდა

აუცილებელია ძალადობასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ზოგადი ამაღლებაც. აღნიშნულთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი როლი შეიძლება ჰქონდეს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ კოალიციას, რომელმაც უნდა განავითაროს **საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების სტრატეგია** ადვოკატობის, უწყვეტი განათლების, ოჯახის მხარდამჭერ მომსახურებათა გაძლიერების და გარე მონიტორინგის კუთხით. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს კვლევები, ძალადობის მიზეზთა შესასწავლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - რეფორმის სტრატეგია, 2013 წ.
2. ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-59/ნ, 2012 წლის 30 აგვისტო, ქ. თბილისი
3. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება №152/ნ-№496-№45/ნ, 2010 წლის 31 მაისი, ქ. თბილისი
4. ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა, საქართველოს მთავრობის განკარგულება, # 762, 2012 წლის 24 აპრილი, ქ. თბილისი
5. ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, გაეროს ბავშვთა ფონდი, ივლისი, 2012 წ.
6. ბავშვის უფლებათა კონვენცია
7. ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ
8. ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი ბავშვების ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ
9. ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი შეტყობინებების პროცედურის შესახებ
10. გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციები ახალ მთავრობას, ოქტომბერი, 2012 წ.
11. „გეითიფინგის“ პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები, სოციალური მომსახურების სააგენტო
12. ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლואატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ
13. ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების განხორციელების შესახებ
14. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი დახმარების შესახებ გადანყვეტილების მიმღები კომისიის შექმნა და მუშაობის ორგანიზება, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, # 01-122/ო, 2014 წლის 22 მაისი
15. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმა, საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 17 ივლისის N17/07/01 განკარგულება
16. რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-20/ნ, 2014 წლის 20 მარტი, ქ. თბილისი
17. რეინტეგრირებული ოჯახების საჭიროებათა შეფასება, კვლევის ანგარიში, „გადავარჩინოთ ბავშვები“, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, გაეროს ბავშვთა ფონდი, ნოემბერი, 2013 წ.
18. საქართველო: ბავშვთა სიღარიბის შემცირება, სადისკუსიო დოკუმენტი, გაეროს ბავშვთა ფონდი, ივლისი, 2012 წ.

19. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წ.
20. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 აგვისტოს, #1608 განკარგულება
21. სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი მოზარდების მდგომარეობის კვლევა ბავშვზე ზრუნვის სისტემის დატოვების შემდგომ პერიოდში (სიტუაციური ანალიზი), საჯარო პოლიტიკის კვლევისა და ტრენინგების ცენტრის პოლიტიკის ანგარიში, 2014 წ.
22. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია- რესოციალიზაციის სტრატეგია, 2014-2015 წწ.
23. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია- რესოციალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, 2014-2015 წწ.
24. სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის ბარიერების კვლევა, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2010 წ.
25. სტანდარტები ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურებების მიმწოდებელთათვის, რომლებიც მუშაობენ კანონთან კონფლიქტში მყოფ ან დევიაციური ქცევის მქონე მოზარდებთან, 2014 წ.
26. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა, #76, 2014 წლის 20 იანვარი, ქ. თბილისი
27. Bilson, A. & Harwin, J. (2003). *Gatekeeping Services for Vulnerable Children and Families*. A Concept Paper. UNICEF Innocenti Research Center
28. Butler. I. & Roberts. G. (2004). *Social Work with Children and Families*. Jessica Kingsley Publishers. London and Philadelphia
29. Child rights situation analysis of children at risk of losing parental care & children who have lost parental care , 2012, SoS Children's Village Georgia, Georgian Association of Social Workers
30. Creswell J., (2003) *Qualitative Inquiry and Research Design*. Sage Publication, Inc.
31. Cresswell, J., Plano Clark, V. (2011). *Designing and Conducting Mixed Methods research*. SAGE Publication , Inc
32. Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child, 3rd Edition, UNICEF, 2007

დანართი: დეტალური ინფორმაცია კვლევის მონაწილეთა შესახებ

ცხრილი 1: გამოკითხვაში მონაწილე ექსპერტთა სია

#	ექსპერტი	დანესებულება	თანამდებობა
1	მარი წერეთელი	სოციალური მომსახურების სააგენტო	მეურვეობისა და მზრუნველობის დეპარტამენტის უფროსი
2	მარინა მესხი	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	დირექტორი
3	გია მამრიკიშვილი	თბილისი მერია	სოციალური სამსახურის უფროსი
4	ნინო შატერაშვილი	პრობაციის ეროვნული სააგენტო	რეაბილიტაციის სამმართველოს უფროსი
5	ლევან ზარდალაშვილი	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი და სსიპ საგანმანათლებლო დანესებულების მანდატურის სამსახური უფროსის მოადგილე
6	ეკა დგებუაძე	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი
7	მერი მალაფერიძე	ბავშვებისა და ახალგაზრდების ეროვნული ცენტრი	სამოქალაქო განათლებისა და ინტეგრაციის დეპარტამენტის სამოქალაქო ინტეგრაციის სამსახურის უფროსი
8	ჯონი კვინიკაძე	დანაშაულის პრევენციის ცენტრი	ხელმძღვანელი
9	ინგა სარჯველაძე	სასჯელალსრულების დეპარტამენტი	სასჯელალსრულების დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილე
10	ნათია ფირაშვილი	სახალხო დამცველის აპარატი	შშმპ უფლებათა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი
11	მაია გედევანიშვილი	სახალხო დამცველის აპარატი	ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი
12	ქეთი მელიქაძე	გაეროს ბავშვთა ფონდი	სოციალური კეთილდღეობის პროგრამის ხელმძღვანელი
13	თეონა კუჭავა	გაეროს ბავშვთა ფონდი	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროგრამის ხელმძღვანელი
14	მაკა ფერაძე	შინაგან საქმეთა სამინისტრო	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროექტების სამმართველოს უფროსი

15	ზურაბ ვარაზი	საპატრიარქო	სოციალური საკითხების დეპარტამენტის უფროსი
----	--------------	-------------	--

ცხრილი 2: ფოკუს ჯგუფებში მონაწილე პრაქტიკოსებისა და მენეჯერების სია

#	ფოკუს ჯგუფები	მონაწილეების რაოდენობა	ექსპერტიზის სფერო
1	საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური	7	სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და მანდატურები
2	არასამთავრობო სექტორი (პირველი ნაბიჯი, ვორლდ ვიუნი, „ეს ო ეს“ ბავშვთა სოფელი, ცხოვრების შანსი, ანიკა, გადავარჩინოთ ბავშვები)	9	სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა პროფესიონალები
3	სამართლის სფერო (დანაშაულის პრევენციის ცენტრი, პრობაციის ეროვნული სააგენტო, არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულება)	8	სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა პროფესიონალები
4	სოციალური მომსახურების სააგენტო (ძველი თბილისის, ვაკე-საბურთალოს, ისანი-სამგორის, გლდანი-ნაძალადევის, დიდუბე ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრები)	7	სოციალური მუშაკები, მობილური სოციალური მუშაკები
5	კოალიციის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები (საქართველოს ბავშვები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში, „ეს-ო-ეს“ ბავშვთა სოფელი, ვორლდ ვიუნი)	6	პროგრამის დირექტორები და კოორდინატორები
სულ		37	

ცხრილი 3: ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ბენეფიციართა სია

#	ბენეფიციარები	რაოდენობა	ასაკი
1	ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები ბავშვები	12	11 წლის ზემოთ
2	რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების მშობლები	3	-
3	რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვები	5	11 წლის ზემოთ
4	მცირე საოჯახო ტიპის სახლსა და მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვები	11	11 წლის ზემოთ
5	ეროვნულ კოალიციასთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს წევრი ახალგაზრდები	13	-
სულ		41 ბავშვი და 3 მშობელი	

